

N7 2016

# ქართული

1852



ჰოვანა//პროზა//ესაი//თარგმანი//არტი



2016/7

ცდგულთფიუტი ლიციტაცუტიულ –  
საწმგადღობტიფი აქუტნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
ბალათერ არაბული  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე:  
იაკობ ნიკოლაძე – ჩახრუხაძე

გარეკანის მეოთხე გვერდზე:  
ფოტო ხატვის საბავშვო სტუდიიდან

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე  
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი  
ნაირა ბეპიევი  
ლევან ბრეგაძე  
დავით თედორაძე  
ზვიად კვარაცხელია  
ესმა კოკოსკერია  
გიორგი ლოზუანიძე  
ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
ნინო სადლობელაშვილი  
თამაზ ტყემალაძე  
თემურ ქკუასელი  
ბესიკ ხარანაული

აქუტნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიციცის  
ფინანსუტი მსატდაქუტი

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

მოსე გოგიბერიძე სკულპტორ იაკობ ნიკოლაძეს (ფრაგმენტი წერილიდან)	3	თარგმანი ერნესტ ჰემინგუეი მონოლოგი მაესტროსთან: წერილი შუაგულ ზღვიდან ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარელმა	70
<b>ვოეზია</b> ანდრო ბუაჩიძე ზაზა ქინქლაძე სოფო ღლონტი	6 10 15		
<b>ვროზა</b> ალეკო შულღაძე დაუსრულებელი ამბის გაუსაძლისობა მოთხრობა	19	თეატრალური მიმოხილვა გიორგი ყაჯრიშვილი „ან ხვალინდელი დღე რას მპირდება“	76
<b>ესაისტია</b> მანანა პაიჭაძე სირანო დე ბერჟერაკი – ისტორიული, ლიტერატურ- ული და სინემატოგრა- ფიული	49	ქართული მხარალი აფხაზურად ნოდარ დუმბაძე Hellados მოთხრობა	82.95
<b>ლიბერატორული ნარკვევი</b> ლევან ბრეგაძე, ამირან გომართელი ნეონატურალისტური მარ- კერები პაოლო იაშვილის პოეზიაში	63	არბრევი ალინა ქადაგიშვილი გაფერადებული რეალობის კონტურები	108

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

---

## მოსე გოგიბერიძე

### სკულპტორ იაკობ ნიკოლაძეს (ფრაგმენტი წერილიდან)

პატივცემულო იაკობ!

თქვენი მეგობარი, ხშირი სტუმარი თქვენი ატელიესი, ვგებულობ, რომ თქვენთვის მაღალი ჯილდო უბოძებიათ, მესიამოვნა.

ვინც პირველად მეოცე საუკუნის საქართველოში ქართული მარმარილო ფორმისა და პერსპექტივის უტყვი ენით აამეტყველა, ვინც ქვაში აზრი განახორციელა, ვინც ქვაზე აღბეჭდა ეროვნული სული საქართველოსი, იგი ცხადია, პატივისცემისა და უმაღლესი ჯილდოს ღირსია...

ორიოდე დღის წინათ ჟურნალ „ოგონიოკში“ ვნახე ფოტორეპროდუქცია ჩახრუხადის პორტრეტისა. დამიჯერებთ, რომ ნახულმა აღმაფრთოვანა, თქვენი ალალ ხელოვნების ასეთმა გამარჯვებამ მაღალი სიამოვნება მომგვარა.

ჩემი ცნობიერება მოგონებათა მდინარედ იქცა. მომაგონდა თქვენი პატარა ბალი და კოხტა ატელიე ნიკოლაძის ჩიხში, სადაც მე ეს დიდებული ქმნილება ვნახე მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ახლად შეძენილი იყო თიხისაგან...

ამ წერილით მინდა გიჩვენოთ, რომ თქვენ ხელოვნების დიდი ტრადიციისა და კლასიციზმის წარმომადგენელი ბრძანდებით ჩვენში.

სკულპტურის ისტორიის არქაული



ლეგენდა ამბობს, რომ კიპროსის მეფეს პიგმალიონს, რომელიც ამავე დროს იყო გამოჩენილი სკულპტორი, იმდენად მოეწონა თუ შეუყვარდა საკუთარი სკულპტურა, რომ ოლიმპს სთხოვა ქვის გაცოცხლებაო. მშვენიერების ქალღმერთს აფროდიტას შებრალებია მეფე-ხელოვანი და მარმარილოსათვის სიცოცხლე მიუნიჭებია...

ვფიქრობ, თითოეული ქართველი, წამკითხველი ამ წერილისა, დაინახავს რა მაღალ რაციონალიზმს და ეროვნულ შინაარსს თქვენი შემოქმედებისა, ლეგენდარულ პიგმალიონსავით უზენაესს შეევედრება და ჩახრუხადის მარმარილოს გაცოცხლებას სთხოვს.

თქვენ, ბ-ნო იაკობ, მარმარილოს უტყვი ფორმით ამეტყველეთ აზრი და ქველობა საქრთველოს ისტორიული წარსულისა. გამოჩენილ ქართველთა მიერ შექმნილ კრებულს უკვდავების მონუმენტებისა ახალი წევრი შეჰმატეთ. მე კი ამ წერილით მსურს დავინახო და დაგანახოთ რაციონალური შინაარსი ამ შემოქმედებისა.

ქართველები უცნაური ხალხი ვართ. გვაქვს დიდი შესაძლებლობა. ჩვენ წინაპართა თავზე მრავალმა გრიგალმა გადაიარა, მაგრამ ეროვნული ენერჯია იმდენად მძლე აღმოჩნდა, რომ ვერავითარმა ძალამ ვერ გაგვაძევა დედამიწის იმ ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხიდან, რომელზედაც ამ სამი ათასი წლის წინათ დამკვიდრდნენ ჩვენი წინაპარნი. ეს კი ყველაზე უდიდესი საწინდარია ეროვნული უკვდავებისა...

შემოქმედებისა და ადამიანური ურთიერთობის ყველა დარგში დაუდვია თავის თავი ქართველ კაცს და არსად არც თავის თავი და არც თავისი ტომი არ შეურცხვენია. ქართველობა გადაარჩინა ისტორიის წინა რიგებისაკენ სამი ათასი წლის მანძილზე დაუშრეტელმა ლტოლვამ, მშობლიური მიწის შენარჩუნებისა და მასზე მარადისობის დამკვიდრების წყურვილმა. ამიტომ საქართველოს ისტორია სავსეა გამოჩენილ ქართველთა მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლებით და ეროვნული უკვდავების მონუმენტებით.

არაბთა ცივილიზაციის მსოფლიოში ბატონობის დროს ჩვენ რუსთაველით შევეჯიბრეთ სასანიდების იმპერიის პოეზიას. ჭულევის, ზარზმისა და მცხეთის ტაძრებით ვეკამათეთ ბიზანტიონის ხუროთმოძღვრებას, ხოლო ურბნისის კედლის მხატვრობით ზმანება და ამოცანა შევექმენით იტალიური გენიალური ფერწერის პრეისტორიისათვის...

ეს მოვლენა არის თავისებური და ამავე დროს ისტორიულად გამართლებული. საკაცობრიო კულტურა ქართვე-

ლებმა ქრისტიანიზმის სახით მივიღეთ, ქრისტიანობამ კი, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობით მიიღო რა ანტიკურობისაგან ცივილიზაციის ყველა ფორმა და ხელოვნების მრავალი დარგი, სკულპტურა სპეციფიკურად წარმართულ სათნოებად გამოაცხადა, ამიტომ უკუაგდო, გაანადგურა და დათრგუნა იგი.

კლასიკური ცივილიზაციის არც ერთ დარგს ისეთი დევნა და განადგურება არ განუცდია, როგორც განიცადა სკულპტურამ. იმ ხანაში, როცა ანტიკური ქვეყანა ილუპებოდა და ქრისტიანობა ბატონდებოდა, უკანასკნელი მორწმუნენი ძველი ღმერთებისა და კლასიკური ცივილიზაციის თაყვანისმცემელნი გმირული თავდადებით ცდილობდნენ კლასიკური სკულპტურის უდიდესი ქმნილებანი გადაერჩინათ. ბნელ ღამეში იპარავდნენ აფროდიტესა და აპოლონის ქანდაკებებს, შორეულ ქვეყანაში გაჰქონდათ ისინი ხომალდებით, მინაში ფლავდნენ და ისე ინახავდნენ, თვითონაც არ იცოდნენ ვისთვის და რისთვის! ბელვედერული აპოლონის გენიალური მონუმენტი ნაპოლეონის მეომრებმა ნახეს მინაში ჩაფლული მცირე აზიაში...

ქრისტიანობის გაინტელექტუალების ხანაში, როცა ბევრი პირვანდელი ქრისტიანობიდან უკუგდებული შემოქმედება აღდგენილი იქნა, ქრისტიანობის სამსახურში განვრთნილი სკულპტურა მაინც წინადროინდელი ენთუზიაზმით იდევენება და მისი გადარჩენილი ნაშთების განადგურება გრძელდება...

პატივცემულო იაკობ! ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს საქართველოს წარსულის კვლევა. მე მსურს გესაუბროთ თქვენ, როგორც ფუძემდებელს სკულპტურის მაღალი ხელოვნებისა საქართველოში.

როგორ ავხსნათ, რომ ხალხმა, რომლის შვილმა ააგო გელათის ტაძრის გუმბათი, იატაკის მოზაიკა ბაგრატის ტაძრისა 1003 წელს ქალაქ ქუთაისს, ბეთანიის, ზარზმისა თუ მცხეთის ტაძ-

რების შემდეგ საუკუნეები იცადა, რათა პირველად 1946 წ. კაცობრიობისათვის ეჩვენებია სკულპტურის მონუმენტი.

ჩვენ გვყავდა პეტრე იბერიელი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი, ბევრი გენიალური ხუროთმოძღვარი და ოქრომჭედელი, – ოქროქსოვილი, დაცული ჩვენს მუზეუმებში, ნიმუშია მსოფლიო ხელოვნებისა ამ დარგში, – მაგრამ ჩვენ არ გვყოლია მათი ბადალი სკულპტორი.

ორიოდე ქვალოდი, წარმართული შინაარსისა, გადარჩენილი ჩვენში, სოფელ დუბაზუს (გურიისში) თუ ჭულევს, თუ ორიოდე სხვა, ივანე ჯავახიშვილი რომ აგვიჩვენოს, წარმოადგენს ნაშთს იმ დროებისა, თეთრი გიორგი რომ იყო ღმერთად ლაზიკაში და არმაზი – მცხეთას. ისტორიულ ეპოქაში სკულპტურა არ ყოფილა წამყვანი საქართველოში... ქართველს თავისი ნიჭი წარსულში სკულპტურის დარგში ნაკლებად გამოუცდია.


ქრისტიანული სული და გული ქართული ეროვნული ცივილიზაციისა იმდენად რელიეფური და იმდენად ხაზგასმულია ჩვენი ისტორიული წარსულის მიერ, რომ იქაც კი, სადაც იგი არაბულ ტანთსამოსელში გვევლინება, სინამდვილეში თავიდან ბოლომდე ქრისტიანულია...

აი რატომ მოხდა ის, პატივცემულო იაკობ, რომ თქვენ, მეოცე საუკუნის

კაცს, დასავლეთის დიდი სკულპტორის მოწაფეს, წილად გხვდათ, იყოთ უბაღლო სკულპტორი საქართველოში.

დამეთანხმებით, რომ ხელოსნობა არ არის ხელოვნება. ხელოსნობისათვის საჭიროა ტექნიკური სკოლა და განვრთნილი ხელმარდობა, ცოდნა და უნარიც შეიძლება იყოს საჭირო. ხელოვნებისათვის კი, უპირველესად ყოვლისა, სულია აუცილებელი, იდეა არის მისი მასაზრდოებელი.

ამიტომ იმაშიც უნდა დამეთანხმოთ, რომ უამრავ ნაწარმოებთ შორის, რომლებიც თქვენ ამ ორმოცი წლის მანძილზე შექმენით საქართველოში, ალალ ხელოვნებას ორი ნამოქმედარი ეკუთვნის. „აკაკი წერეთელი“, როგორც პირველი ცდა და პირველი გამარჯვება ქვაქცეული იდეისა ჩვენს ქვეყანაში.



თქვენი ჩახრუხაძე კი არის შედეგრი, კლასიციზმის სულით და ქართული გულით ქვაქცეული იდეა რაციონალიზმისა და სიბრძნისა...

შემოქმედების ინტუიცია დიდი შემეცნებაა. ხშირად იგი უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან, ვიდრე დასკვნები მოანგარიშე აზრისა და ნარკვევი ისტორიკოსისა.

თუ ეს მართალია. მე მწამს, რომ ჩახრუხაძე იყო არა პოეტი, არამედ ფილოსოფოსი.

ანდრო ბუაჩიძე

**უპურნებელი**

ჯერ არ ჩამქრალა არსად სინათლე,  
ებრძვი არყოფნას და ერკინები,  
ჯერ ხომ ადრეა დაძინებამდე,  
ანთია მაღალ სახლში ბინები.  
შენ ხომ აქამდე არ შეგხვედრია  
უნდო წურბელა, რა ქნა, არ იცი,  
შენი არყოფნა შენი ხვედრია,  
მარტო შენია, სხვა არავისი.  
ჯერ არ ჩამქრალა არსად სინათლე,  
ებრძვი ტკივილებს და ერკინები,  
ქუჩაში მთვრალი ტანს ძლივს მიათრევს  
და წყვილადს იკლებს მწარე გინებით.

**გაზაფხული მოდის ღამეში**

ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო,  
ხომ შეიძლება, რომ დავტოვო მე სახლის ზღურბლი  
და გადავიდე იმ სივრცეში, სადაც ანთია  
მკრთალი სინათლე – განფენილი კიდეებამდე.  
ჩემს საწოლში ჩაძინებულმა თუ გასულმა  
ჩემი თავიდან, მე მირჩევნია, ასე ვიარო,  
ვიარო არა გამიზნულად, არა ხილულად,  
არამედ როგორც მთვარეულმა ან უსინათლომ,  
რომელიც გარეთ იყურება, ხედავს კი შიგნით,  
აი, სარკეს რომ თავის თავის ხედვა შეეძლოს,  
დაახლოებით იმნაირად და იმგვარადვე.  
დავეშვებოდი ნუცუბიძის პლატოდან ქვემოთ  
და შევიგრძნობდი, გაზაფხული მოდის ღამეში,  
ედება ხეებს და სახლებსაც ეპოტინება.  
ის უფორმოა, უსხეულო, უმისამართო  
და ამ ღამეში უხილავიც არის, უჩინოც...  
მაგრამ მე ვხედავ, ბავშვობიდან ვხედავდი რადგან,

ის დგას ჰაერში და თუმცა კი ხელს ვერ შეავლებ,  
მაინც შეიგრძნობ, როცა ღამის ნიავთან ერთად  
ჩრდილი ან ტოტი შეირხევა, როცა ვიტრინის  
ან ღამის შუქი დაეცემა ქვაფენილებზე...  
მე მიმატოვა ყველაფერმა და ყოველივემ,  
ჩემმა წარსულმა გაიშრიალა ხესავით და მერე დამტოვა,  
სხვებიც წავიდნენ, მეგობრები, ნივთები, მთვარე,  
ისე, რომ თითქმის არც უცდიათ დამშვიდობება,  
და ახლა, როცა ამ ღამეში ვეძებ გაზაფხულს,  
მე იმათ სულებს ვეგებები და ვეძრახები,  
მინდა შევავლო ხელი, მაგრამ ვერ შევხები,  
ვიცი და მხოლოდ ფიქრითა ვარ მათკენ დახრილი.

გადავჭრი ქუჩებს. მოედანი ცარიელია.  
დგანან ძეგლები უმიზნოდ და უსურვილებოდ,  
იმ მიზანსცენის გაცვეთილი რეკვიზიტები,  
რომელთაც უკვე ველარ არჩევს თითქმის ვერავინ.  
შუქნიშნებიც კი აზრს კარგავენ და ინთებიან  
თუ ქრებიან, არ დაგიდევენ ქრობა-ნათებას...  
ხომ შეიძლება, რომ ღამეში ვიმოგზაურო,  
გადავჭრა ქუჩა და წავიდე თრიალეთისკენ,  
ბაგებისაკენ... ტყისპირების უკუნი ხომ მიმზიდველია!  
გაზაფხული მოდის ღამეში... და სასჯელივით  
ვინც იხდის ყოფას, იმისთვისაც ჩუმი ნათება  
ტყის კორომში შემღვრეული გაზაფხულისა  
მაინც რაღაცის მჩუქებელია...

არა, არ წავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,  
უფრო კიდეებს მივაშურებ და მივენდობი;  
ზურგი ვაქციე წიგნებსა და ადამიანებს,  
რომელთაც სძინავთ მძიმე ძილით და იხსენებენ  
იმას, რაც სულის ფსკერზე ეწყობა და კვლავ  
უნწყიათ. და თუნდაც ზემოთ ამოზიდონ  
ეს ყოველივე, მაინც ვერაფერს ვერ შეძრავენ,  
ვერ შეაღებენ იმ კარს, რომელიც სამუდამოდ დალუქულია...  
აქ, ამ ქალაქში მე ვცხოვრობდი, აქ დავდიოდი,  
აქ ვავლებდი ხელს ნივთებს, ქუჩებს აქ მივყვებოდი  
და ჰო, რისი მაქნისია ეს სიარული, ეს ფეთება,  
ეს წრიალი თუ ვნებათღელვა...  
ღამეში დგას მთელი ქალაქი, ვით მუზეუმი,  
ვით მუზეუმი, რომელშიც ერთმა კაცმა იცხოვრა  
იმდაგვარად, რომ დაესწრო თავის ცხოვრებას  
და ახლა დადის ღამის ქალაქში, მის კიდეებს ათვალიერებს...  
დიდი ხანია გავეცალე ამ ქალაქს, როგორც  
ხმელი ფოთლები ეცლება ხეებს, ჩამოვეცალე,  
ჩამოვშორდი და მის კიდეებს ვათვალიერებ.

მის გარეუბნებს ვესწრები და ვისწრებ თვითონვე.  
არადა, ადრე ჯერ კიდევ ბავშვი აქ დავდიოდი,  
აქ ავახილე და მერე კი შევაველე თვალი ამ ყოველივეს...  
გამიუცხოვა ამ ქალაქმა და თვითონაც უცხოდ ვიქეცი  
და იშვიათად თუ დავდივარ, ვით უსინათლო,  
უფრო იმიტომ, რომ შევიგრძნო, ჩემი წარსული  
როგორ შეერწყა ქვაფენილებს და აიკრიფა.  
არა, არ ნავალ მე ქალაქის შუაგულისკენ,  
იქ აღარავინ არ მიხსენებს, სადარბაზოებს აღარ ვახსოვარ,  
არ ახსოვთ, როგორ ავდიოდი საფეხურებზე,  
როგორ ვრეკავდი ზარს, მძიმე კარს როგორ მიღებდნენ  
და, ვინც მიღებდა, იმათ უკვე ვერ ვეხსომები,  
სახლიც სხვისია, სიზმარშიც კი მეუცხოვება.

დრომ გაიარა და თითქოს მეც შემახო ხელი,  
მაგრამ რატომღაც ვერ ვიგრძენი ხელის შეხება  
და კვლავ მეგონა, დამხვდებოდა რაღაც ნაცნობი,  
რაღაც ნაცნობი და ძველთაგან შემორჩენილი.  
არა, არ ნავალ მე ქალაქის შუაგულისკენ.  
ქალაქის კიდეს მივენდობი, მივესწრაფები.  
ბაგებისაკენ ტყისპირებს და ცარიელ ტრასას  
სუნი ძრავს ჯერარშემოსული გაზაფხულისა  
და მეც მივდივარ იმ სასურველ ადგილებისკენ.

## **ბურუსში გაფანტული ძმების გახსენება**

როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა  
ნასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე  
ან ხმელ კუნძზე. თუნდაც ტყისპირას  
ქალაქგარეთ, სადმე წყნეთის მიდამოებში,  
როცა ლამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს,  
ქალაქის ტაფობს, დამწუხრებულს ამოვებით.  
სერობა, ქვაზე ძველ გაზეთში გამოხვეული  
პური, ყველი, ძეხვის ნაჭერი და თან მდელოზე  
იქ, ტყისპირას, სადმე წყნეთის მიდამოებში  
სულ სამი ბოთლი, სამი ბოთლი კახური ღვინო.  
უბერავს სიო, მახლობელი ტყის წიაღიდან  
აღწევს გრილი წყვილი სუნი. მაგრამ  
ჯერ არ დაღამებულა. როგორღაც მოვხვდით აქ  
შემთხვევით. და ასე ვსხედვართ ზოგი ქვაზე  
და ზოგი კუნძზე. ალბათ ახლა არა აქვს აზრი,  
რაზე ვსაუბრობთ და არც ჰქონია აქამდისაც.  
ჩვენ ბურუსის ნაფლეთში მოვხვდით და ამ  
ბინდბუნდის თხელ გარსში ვართ გამოხვეული,  
თბილისის ახლოს, აქვე წყნეთის მიდამოებში...  
ხანგამოშვებით ჩაიქროლებს გზაზე მანქანა

და უცაბედად გადაისვრის ჩვენს ხმებს ბურუსში,  
ხოლო მერე კი ჩვენ ხელახლა ვინყებთ ცხოვრებას,  
ხელახლა ვამბობთ სათქმელს, თითქოს წარსულს ვიხსენებთ.  
თითქოს ვიცინით, თითქოს ვტირით, თითქოს ვკამათობთ.  
თითქოს არ გვინდა ჯერაც წასვლა და აქ ვახანებთ,  
თითქოს რალაცა ერთი სიტყვა ავიკვირებთ  
და გამუდმებით ვუტრიალებთ ამ სიტყვას ირგვლივ,  
ველარც კი ვამჩნევთ, ირგვლივ როგორ შემოგვალამდა,  
როგორ აინთო გზისპირებზე ელნათურები,  
რომლებიც ქალაქს მოთმინებით გადასცქერიან.  
და თითქოს წამით, თითქოს წამით ვწყდები საუბარს  
და გადავყურებ ელნათურას, იმ ვინრო სივრცეს,  
იმ ტყისპირსა და გზატკეცილის მომცრო მონაკვეთს,  
ეს ელნათურა ზედ რომ აფენს ყვითელ სინათლეს.  
ხომ შეიძლება, რომ აქ დარჩე გაქვავებული  
და აქ რომ იდგე სიყვითლეში მთელი ცხოვრება,  
იქნებ ეს არის მონაკვეთი მარადისობის –  
ყოველივეს და ყველას მიმართ განურჩეველი,  
მაგრამ ეს აზრი იმავე ნუთს ჩამომცილდება  
და ვუბრუნდები მე ბურუსში მოსაუბრეებს...  
უკვე დავლიეთ დასალევი, დროც გადავიდა,  
გამოვეფინეთ ტრასაზე და გზას დავადექით,  
თითქოს ჯერ კიდევ ადრე იყოს, ნელა მოვდივართ,  
თავქვე ვეშვებით გაფანტულნი ქალაქისაკენ,  
უკან, ტყის თავზე რჩება დიდი, ბრდღვიალა მთვარე,  
რომელიც არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუმჩნევია.  
და ჩვენ ვბრუნდებით ვინრო გზაზე გამოფენილნი.  
მაგრამ მითხარით, სად მივდივართ, გზა საით გვიდევს  
შელვინებულებს, დაფანტულებს, ფეხარეულებს,  
ჩვენ ხომ შინ უკვე ვერასოდეს ვერ დავბრუნდებით,  
რადგან შინ ყოფნა აღარასდროს არ გვიწერია  
მას აქეთ, რაც კი ბავშვობიდან გამოგვაძევეს.  
იქნებ სახლია ჩვენთვის მთელი ყოფიერება  
და ამიტომაც უკვე არსად არ გვეჩქარება...  
ტყის ნიალიდან აღწევს გრილი წყვდიადის სუნი  
და გაზაფხულის სუნთქვაც იძვრის იმავე წყვდიადში –  
ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ მაინც უკვე საგრძნობი,  
ალბათ, ვილაც ღვთისნიერი წამოგვეწევა,  
ალბათ, მანქანას გამოვეყვებით ქალაქისაკენ,  
მაგრამ არ ვჩქარობთ, მივუყვებით ფეხით გზატკეცილს...  
როგორ მომინდა, მომესურვა თქვენთან სერობა  
წასალამოვებს, თქვენთან ჯდომა უბრალოდ ქვაზე  
ან ხმელ კუნძზე, სადმე ტყისპირას,  
ქალაქგარეთ, აქვე, წყნეთის მიდამოებში,  
როცა ღამდება და ბურუსი ეცემა ტაფობს.  
სადა ხართ, ძმებო, სად წახვედით ამ ბურუსიდან?

## ზაზა ქინქლაძე

### სიმინდობა

ყანა უკვე საყვირშია, ოქროს ჭოჭებიანი,  
მწვანე ჩოხით, წითელ ქოჩრით, უღვაშფოჩებიანი:

ზოგი ყრმას ჰგავს, ზოგი ქალწულს – ჭყინტ მკერდს  
რძე მოსწოლია;  
ვინ ხაპერას ჩაჰხვევია, ვინ ლობიოს ცოლია;

ზოგი ცერცვის, ზოგი კიტრის მწყემსი და ჩობანია;  
ზოგს ჟურულა წყაროს წყალში ფეხი ჩაუბანია;

ზოგი წამოჩოქილია, ქარის დანატორალი;  
ზოგი ერთურთს ჩაჰხვევია, შაშვის განაჭორალი;

ჩუმად! რალაც შუშუნია, შმაშუნია გვიმრაში –  
ბიჭი გოგოს ჩაჰყოლია სიყვარულის გვირაბში;

სიმინდების ისინდია, გუნდი გუნდზე რინდდება,  
„ნადური“ და „ოდოია“ მალე ამოფრინდება;

გაქარულო ნალიებო, თქვე ნელკავიანებო,  
მოემზადეთ, უქმად დგომას დროა თავი ანებოთ;

ტაროების ღიმილია – თეთრ კბილების კრაჭუნი,  
ჭრიჭინების ჭრიჭინია, ურმის თვლების ჭრაჭუნი,  
ჭური მაჭრით ავსებულა, ჭური, მერე რა ჭური;

თავწაკრულნი კრამიტების ყაბალახით, ბლონდებით  
საკვამურთა ყალიონებს აბოლებენ ოდები.

გაიხარე, ყანისკაცო – ჯარისკაცო ბუნების,  
შენი ნაჭირნახულებით, უფლის კეთილ გუნებით!

ჩხავერო და ადესაო, ყველა დამიპატიჟეთ,  
ახლა თამაშს რაღა გვიჯობს ბაბუებს და ბადიშებს.

აგუნაო, ელესაო, ოდოია, დელია,  
ყველა მონვეულები ხართ, ჭურისთავზე გელიან.

შენც ჩამოდი, დაგვენვიე, მზეო, შენ გენაცვალე,  
შენს ნამნიფარ ჭირნახულზე თითო ყანნი დაცალე;

ყანა უკვე საყვირშია! გულიც, გულიც მყვირალობს!  
მაშ, დასჭექე ლექსის ფიშტო, პოეზიის ფირალო!

## **ჩვენ ჯარისკაცებად გვზრდიდნენ**

ჩვენ ჯარისკაცებად გვზრდიდნენ  
და ჩვენ გვასწავლიდნენ თმენას,  
ბრძოლას და სიკვდილს და კიდევ  
მტრების და მოყვრების წყენას.

ბუნებამ მაისით მოგვრთო,  
შეგვაკლეს იანვრის თვალებს,  
ფოთოლი დასტირის ფოთოლს,  
ქარები გლოვობენ ქარებს.

გადმოდის გრიგალთა ლავა,  
რომ გერბთა დაფაროს მტვერი,  
მსოფლიო კვლავ იქით წავა,  
სადაც მტერს დაარბევს მტერი.

და ისევ მიხმობენ ახლა:  
„შენ ჩვენი კურთხევა გახლავს!  
მოშორდი მშობლიურ კერას,  
შენ იხსნი მეფეს და გლახას!“

ერთხელაც დანწავენ გვირგვინს,  
დროშით და არშით მოვლენ,  
მოვლენ სალუტების გრგვინვით,  
ტყვიით რომ სიცოცხლეს მოვლევ.

გადმოდის გრიგალთა ლავა,  
რომ გვამთა დაფაროს მტვერი,  
მსოფლიო კვლავ იქით წავა,  
სადაც მტერს დაარბევს მტერი...

იკივლე, იკივლე, ზარო,  
თუ, გულო, გინებას ბედავ:  
მე მახსოვს, ო, კარგად მახსოვს,  
მიტირა ცოლმა და დედამ.

თან გვალმერთებდნენ და გვყიდდნენ,  
თან გვაგმირებდნენ და გვრყვნიდნენ,  
ჩვენ ხომ სულ სისხლის ზღვად გვღვრიდნენ,  
ჩვენ ჯარისკაცებად გვზრდიდნენ.

ჩვენ დღესაც სიცოცხლეს, სიყრმეს  
შევწირავთ ომების გუგუნს,  
ოღონდაც გამოჩნდეს ვინმე,  
უშველოს მსოფლიოს უგნურს.

## სამზეოს ვითვარეული

მტრედებივით, სიჭაბუკის იმედებო,  
ფრთებს გამსხვრევენ თქვენ ცხოვრების ქარები,  
გწამდით და არ მთხოვდით, ნუ გაგვიმეტებო,  
მე კი ბოლოს მოგიხურეთ კარები.

რომ მეგონა, ავისრულე ოცნებები,  
თურმე მხოლოდ დავამინე ისინი,  
რომ ვფიქრობდი, ეშმას ქსელში არ ვებმები,  
თურმე მღერად მესმის მისი სიცილი.

არ მეგონა ეს სამყარო ასე ავი,  
ამიყოლა, ზოგჯერ გამაგულისა,  
ეშმას მაინც არ ვნებდები, არ მსურს ზავი  
და ჯიუტად იმედი მაქვს უფლისა.

ხან შევნატრი სიჭაბუკეს, ხან სიბერეს,  
დავისვენო, დავიკრიფო ხელები,  
ხან სამზეოს ვითვარეულობ და მის ფერებს,  
ხან ბებუის სურათს მოვეფერები.

თუ ივანშმა, არ ახსოვდა მოხუც ბებოს,  
ხელმეორედ მოსურვილეს ჩაის სმის,  
სახელებიც ერეოდა ახლობლების,  
როგორც ბავშვი ერთხელ კალთას ჩავისვი,

გადვუშალე ძველისძველი „დედაენა“,  
რითაც ერთ დროს ბავშვი მახედნიერა,  
უცებ მკითხა: „როდის მიშობთ კლასში, ნენა?..“  
მაშინ გულში რალაც ჩამწყდა ძლიერად.

რა „კლასშია“ ახლა შენ ხარ, ბებელია,  
დღეს თუ ხვალე მეც მელის და ჰაიდა,  
მომენყინა, ეს თუ წუთისოფელია,  
ალარ მინდა დაბადება თავიდან.

ალარ მინდა ღმერთისაგან გამოცდები,  
მით უმეტეს – ეშმაკისგან ჩაჭრები,  
თუ, სამყაროვ, ჩემნაირთა გამო ცდები,  
დალოცვილო, მომიხურე ფანჯრები.

მუდმივობას თუკი ნიშნავს უკვდავება,  
მუდმივ კარგი-ცუდი ორივე ერთია,  
დაუჭკნობლად არაფერი არ ყვავდება,  
უეშმაკოდ ღმერთი განა ღმერთია?!

როგორც ცაში მწყრები და მიმინოები,  
ირევიან ეჭვიანი ფიქრები,  
ნატვრისთვლები გახდნენ უამინოები,  
ღირს თუ არ ღირს?! ვიქნები?! არ ვიქნები?!

უცებ ჭიშკარს მოდგა ჩემი შვილიშვილი,  
ამღერდა და აზეიმდა სამყარო,  
შევცდი, ღმერთო, მომიტევე, მე შეშლილი  
ღირსი არ ვარ, ასე რომ გამახარო.

რა თქმა უნდა, ისევ მინდა დაბადება,  
ეს შლეგი და ცქაფი წუთისოფელი,  
არაფერი არც იწყება, არც მთავრდება –  
ფერიცვალობს სული მარადმყოფელი.

## **როდის კვდებიან პოეტები?!**

*ვინც გულს ზოგავს, ის ღირსებას აცვედანებს ჭიხვინისას,  
გვირგვინმოსილს ის სჯობია, ვინც ღირსია გვირგვინისა.*

**ბებლისგან განაგონი**

როდის კვდებიან პოეტები?! –  
როცა ტკივილები უთავდებათ,  
როცა გული არ ძგერს გამეტებით,  
როცა მუზა ფულზე ხურდავდება,

როცა იდეალებს დაივინყებს,  
როცა შემოსავლის მალვას იწყებს,

როცა თვალს არიდებს ხალხს დანამშვევს,  
სცენაზე ნერონივით ცრემლმდენია,  
კალამს ფალიკურად ათამაშებს,  
რადგან ზნეობით ცვედანია;

როცა სიყვარულის განასერზე  
შური, სიძულვილი აიცრება,  
რაშის უნაგირი – სავარძელზე,  
რაში კი მანქანაზე გაიცვლება,  
როცა თებო ჩნდება მათ ნანერზე  
და სიტყვა მაღლისგან დაიცვლება;

შეიცნობთ მზერის გაცივებით,  
მოპარულ რითმა-პრემიებით,  
ყოფილი ნიქარები, ღვინიები  
როცა გახდებიან ფინიები,

ცაში ღალატობენ ანგელოზებს,  
მინად შეხარიან ანგალ ბოზებს;

მაშინ გახდებიან მოეთები,  
მაშინ უწყალდებათ სონეტები,  
როცა ავინყდებათ, რომ არიან  
ენის და მუზის მაგნატები,

ერთ მეტაფორად რომ არა ღირს  
ლარებ-დოლარებ-მანათები,  
მაშინ ნახშირდება მზის ვარაყი,  
ქრება სული ცისთვის ანანთები,

მაშინ იქცევიან ცის სვეტები,  
ღმერთი აღარ დგება მათ თავმდებად,  
ჰო, მაშინ კვდებიან პოეტები,  
როცა ტკივილები უთავდებათ.

### სოფო ლლონტი



შემომადნა ზამთრისაგან ნასესხები თოვლი,  
დაიგრგვინა გაზაფხულის ნანამებმა ელვამ,  
ახლა მინდა, რომ შევიგრძნო დასაბამი ყოვლის,  
ახლა მინდა, გადამედოს ტალღებისგან ლელვა...  
შემოფრინდეს ჩემს სარკმელში მოლულუნე მტრედი,  
ანტიკური საოცრება შევიმეცნო მითად,  
არ ვირწმუნო დანერილი ბედისწერა ბედის,  
უხმაურო ხმაურისგან რომ ავანყო რითმა...  
შემომადნა გაზაფხულის ანაცრემლი თრთვილი,  
მომენატრა გარიჟრაჟის სიოს ნაზი თრთოლა,  
ამ შეუცნობ სანუთროში შუქ-ჩრდილებით ვივლი,  
სანამ ქვეყნად ავბედითი აღსასრული მოვა...



რატომ გვევსება თვალები ცრემლით?  
რატომ კიაფობს დღეს ჩვენში სევდა,  
სად დაეკარგა ძველ საყდარს მრევლი,  
უნინ რომ ქრისტეს ნათელი სდევდა...  
რისთვის დამიდგა ჟამი მტირალი,  
დღეს მუქთა ფული იბნევა ხურდად,  
დღე ღამეს ესხმის, როგორც ფირალი,  
რადგან უბინოდ თენება სურდა...  
დილას ცრემლებად ეღვრება ნამი,  
ღამით კი ურჩად გაჰყმუის ტურა.  
ბევრი რამაა აქ ასატანი –  
ბრბოსგან მოძღვნილი ტაში და ურა...  
ფეხით ნათელი რწმენა და მრწამსი  
და შენიღბული სატანის სახე,  
მივიწყებული შოპენი, ბრამსი  
უნიჭოების აღლუმზე ვნახე...  
აქ ყველაფერი – ისევ ამაო,

თვალზე ამიტომ მიშრება ცრემლიც,  
ამაოდ ლოცავს მამულს მამაო,  
მიძინებულა ურწმუნო მრევლი...



ნუ გამანადგურებ, ვერ შემქმნი ახლიდან...  
ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,  
მეგონა, ადამი ჩემ წინ თავს დახრიდა,  
ახლა კი გათელილს სიკვდილი მაცალეთ.  
ქალებს ხომ თან დაგვყვა პრინციბზე ოცნება,  
მოგონილ რაინდებს წაექცათ რაშები,  
ქალწულის შემქმნელი უფალი ოცდება,  
მოგვძახის: „ო, ადამ, შეჩერდი, რას შვრები“.  
ნუ გამანადგურებ... ამით ხარ ძლიერი,  
მე ბევრი არ მინდა, მსურს მხოლოდ ქალობა,  
მხოლოდ ჩემს რაინდთან ვიყო ბედნიერი,  
ველოდო სამოთხეს, როგორც ღვთის წყალობას...  
ნუ გამანადგურებ, ვერ შემქმნი ახლიდან...  
ისედაც ქალური სისუსტით ვბანცალებ,  
მეგონა, ადამი ჩემ წინ თავს დახრიდა,  
ახლა კი გათელილს სიკვდილი მაცალეთ...



მე ახლა აჩრდილი, უფერო ლანდი ვარ,  
თან დამდევს ზეციურ სამყაროს ჩრდილები,  
შენს სახლთან უჩუმრად, ნუხილით დავდივარ,  
მინიერ სურვილებს არ ვემორჩილები...  
მესროლე, თუ გინდა, ხომ ხედავ, სხეული  
არა მაქვს, სული კი ისედაც მძიმეა,  
ამ სამყაროსაგან ვარ ზურგშექცეული,  
რადგანაც ეს მინა, „ცრემლების მღვიმეა“.  
რა ნეტარებაა ფარფატა სხეული,  
მე, უსხეულო, ავყვები აღმართებს,  
ჩემი სული კი, მძიმე და ეული,  
აჩრილთა სამყაროს ლექსებით აანთებს...  
მე თითქოს უფერო ლანდი ვარ, აჩრდილი,  
მივხვდი, რომ ჰაერი მინაზე მეტია,  
დედამინაზე არ იყო ადგილი  
და ჩემი არსება იქ ვერ დაეტია...  
მე ახლა აჩრდილი, უფერო ლანდი ვარ,  
თან დამდევს ზეციურ სამყაროს ჩრდილები,  
შენს სახლთან უჩუმრად, ნუხილით დავდივარ,  
მინიერ სურვილებს არ ვემორჩილები...



დრო მიჰქრის, აკლდება სანუთროს ნამები,  
 ჟამთასვლა ავბედით ცხოვრებას იბრალებს,  
 ო, რაბი, დასრულდა ეპოქა ნამების –  
 კვლავ მოსე სჭირდება ქართველს და ებრაელს...  
 ამ ძმობით გამთბარი მივინდე ხეტიას,  
 თან მზარავს ფიქრები, წარსულიც მანვალებს,  
 თავისუფლება თვით სულზე მეტია,  
 ცრემლები ტკივილად აშრება ამ თვალებს...  
 ო, შალომ, იზრაელ, სჯული მაქვს საფიცრად,  
 ამ ძმობას, ერთობას ვერავინ ვერ ნაშლის,  
 დღეს სინაგოგის და ტაძრისკენ დავიძრათ –  
 ჩვენი მეგობრობა გადანყდა ზეცაში...  
 დრო მიჰქრის, აკლდება სანუთროს ნამები,  
 ჟამთასვლა ავბედით ცხოვრებას იბრალებს,  
 ო, რაბი, დასრულდა ეპოქა ნამების,  
 კვლავ მოსე სჭირდება ქართველს და ებრაელს...



მიმიძიმს, ვუცქირო ქარიშხლიან, უმთვარო ღამეს,  
 არდაბრუნების ბუნდოვანი ფიქრები მაკრთობს,  
 ანგელოზებო, მფარველებო, გთხოვთ, მამცნოთ რამე  
 და ნუ დამტოვებთ ამ ღამეში მარტოსულს მარტოდ...  
 მიმიძიმს, ვუცქირო უღიმღამო ნისლიან დილას,  
 მონატრებისგან გატანჯული ისევ შენ გელი,  
 გთხოვ, ღმერთო ჩემო, დღეს ცოდვილი მიმიღე შვილად,  
 ვგრძნობ, თავგზას მიბნევეს, ევას მსგავსად,  
 გრძნეული გველი...  
 მიმიძიმს აქ ყოფნა, გადაღლილი გავყურებ არეს,  
 გრძნობამორეულს მიჭირს ძველი ცოდვების ძღვევა;  
 სიყვარულისგან ზურგშექცეულს სევდა მკლავს მწარე  
 და ცოდვებისგან დაცემული ქვითინებს ევა...

## მუზას

გთხოვ, მოდი ჩემთან, მარტოობას ვერაფერს ვშველი...  
 მოდი და განდობ, პალიტრაზე რაც გსურს, დანერე,  
 დღეს უჩვეულოდ გამიავდრდა, ქუჩაა სველი,  
 აბდაუბლობა შეეპარათ ლექსებს, ნანერებს...  
 ოღონდაც მოდი და ფიქრები გამითბე ისევ,  
 ამ უბილიკო ბილიკებზე მომკიდე ხელი,  
 ჩემს დამშეულ სულს შენ გარეშე ვერაფრით ვივსებ,

მსურს, დავივიწყო ის ტკივილი და სევდა ძველი...  
უნდა მოფრინდე, დღეს წარსულიც მომტაცო უნდა,  
ანმყოც არა მსურს, უშენობით ქრება ფერები,  
უფალმა უწყის, შენს წიაღში ცხოვრება მსურდა,  
მომწონდა სიტყვა, შენი აზრით შენაფერები...

## **ოგონი დაღუპული ბიჭის სიტყვები**

სახელოვანი დავბრუნდები, დედი, იცოდე,  
მე საქართველო გულზე მანევს დარდად, იარად  
და თუ მოვკვდები, ნურც მაგისტვის ნუ შემიცოდებ,  
ლაჩრობა მიმძიმს, სიკვდილი – არა!..

## **არდაბადებულ ბავშვს**

იცო, მე ვარსკვლავს მოგიწყვეტ ციდან,  
უკვდავების წყალს შეგასმევ პეშვით,  
შენ სამყარო ხარ, სულ ერთი ციდა,  
დედის მუცელში და ღმერთის ხელში...

ალექო შულღაძე

## დაუსრულებული ამბის გაუსაქლისობა

ამბავს მოგიყვებით, ინდოეთის მთიანეთში, ქალაქ მანალიში რომ მოვისმინე ჯერ კიდევ 2004 წელს, ერთი ჩრდილოირლანდიელი პლანაქეშისგან, ვინმე რობ გორმანისგან. მისი გვარი ადვილად დავიმახსოვრე, რადგან ჩემი ბავშვობისდროინდელი რომანის პერსონაჟის, ირლანდიელი მეზღვაურის მოგვარე იყო. სხვა სახელებისა და ამბის დეტალების დამახსოვრება ნამდვილად გამიჭირდებოდა, გამთენიისას სასტუმროს ნომერში დაბრუნებულს, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალური სიზუსტით რომ არ ჩამეწერა. ვვარაუდობდი, ისტორია თავისი მკაცრი სინამდვილით ზემოქმედებას მოახდენდა მკითხველზე. იმავდროულად, არ მინდოდა მოდას ავყოლოდი და რეალური ამბავი სპეკულირების საგნად მექცია.

კრიმინალური ისტორიის ცოცხალ გმირს, ნამდვილ ირლანდიელს პირველად გადავანწყდი მაშინ. მსურდა მისი ტკივილი სხებისთვისაც გამეზიარებინა. მაგრამ წერისთვის თავი მქონდა დანებებული და მკითხველის მიმართ პასუხისმგებლობა არ აღმოჩნდა საკმარისი ჩემში, თუნდაც ხელოვნურად, შექმნილი გულგრილობის გადასალახად. როგორც ბევრი სხვა ამბავი, ესეც გონებაში ჩავიმარხე და დავინწყება ვცადე...

ვერაფრით დავივინყე, ვერ გავაქრე. არც სიღრმეში მიდიოდა და არც ზემოთკენ სურდა ამოსვლა. წლების შემდეგ კი მაინც ამომიტივტივდა. ძველი აუდიოჩანაწერიც ვიპოვე, რომელიც გორმანთან დაშორებისთანავე გავაკეთე. ირლანდიელის ამბავს კიდევ ერთხელ ვუყვებოდი საკუთარ თავს – თავიდან ბოლომდე. ახლა, როცა, ათი წლის შემდეგ, ჩემს ხმას ვუსმენდი, ვგრძნობდი, მონათხრობს ისეთივე სიმძაფრით აღვიქვამდი, როგორც მაშინ, ღამით, სმენადქცეული აღსარებას რომ ვიბარებდი მისგან. უფრო მეტიც, სამწერლო პაუზამ ამ შემთხვევას ერთგვარი განსაკუთრებულობა შესძინა. წერას თავიდან ვინწყებდი და თითქოს ახალბედა მწერლისთვის დაგებულ ხაფანგში ვებმეოდი – ნებისმიერი ამბის განუმეორებლობით რომ არის აღფრთოვანებული. ეჭვი არ მეპარებოდა, ირლანდიელის მონაყოლმა დროს გაუძლო და აღარ ღირდა დაყოვნება. გადავწყვიტე, სიუჟეტი გამემდიდრებინა და ისე გამომეცა. მაგრამ გულმა მიკარნახა – არ ღირდა ჩარევა და ფანტაზიორობა. ყველაფერი ხელუხლებელი უნდა დამეტოვებინა. და როცა საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე, ავდექი და დავწერე.

რობ გორმანი „ბობ მარლის“ მუდ-

მივი სტუმარი იყო (ზემო მანალიში ასე ერქვა კაფეს, რომელიც დასაბოლოებელი საშუალებების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა). სასტუმრო, რომელშიც ვიყავი გაჩერებული, მთის ძირში მდებარეობდა და ზემოდან დასცქეროდა „ბობ მარლის“. ჩემი ფანჯრიდან კარგად ჩანდა კაფეს კლიენტების მუდმივად ჩაკაიფებული სახეები. რიტუალის დაწყებამდე გარე სივრცე მათთვის არ არსებობდა. მოსაწვევის შეკეთება და ღრმა ნაფაზები საქმიან იერს სძენდა მარიხუანასა და ჰაშიშის მოყვარულებს. მხოლოდ მთელი ამ პროცედურის მერე, გაღიმებულნი და მოშვებულნი, ისინი თავიდან აღმოაჩენდნენ ხოლმე გარე სამყაროს და ხელახლა აბამდნენ მასთან ურთიერთობას. საათი საათს მისდევდა, დღე – დღეს, მათი არაფრისმთქმელი სახეები კი მხოლოდ რაკურსებს იცვლიდა. ორ მოგრძო, მუდამ ღია ფანჯარას, შუაში ხის ვინრო ჩარჩო ტიხრავდა და ამდენად, მთელი ოთახი ხელისგულივით მოჩანდა. რობს ფანჯარასთან თავისი ადგილი ჰქონდა: იატაკზე დაგებულ ხალიჩაზე იჯდა ზურგით ხის მოაჯირს მიყუდებული. როცა იღლებოდა, იდაყვით ბალიშს ეყრდნობოდა და ფანჯრის ჩარჩოდან სამყაროს უჭვრეტდა. არასოდეს იღიმებოდა. ხანდახან მეორე იდაყვს ეყრდნობოდა. ანდა, ოდნავ შეტრიალებული, ზურგზე გადაწვებოდა ხოლმე. ასე გრძელდებოდა, სანამ იქ ვცხოვრობდი, თითქმის ოცი დღე – გათენებიდან დაღამებამდე.

მას მერე, რაც შემამჩნია, ხელის აწევით მესალმებოდა... მელოდა, სანამ მეც ხელის აწევით არ ვუპასუხებდი. ხელს დაბლა ზანტად უშვებდა და გვერდით იხედებოდა.

რამდენჯერმე ქვემო მანალის კაფეში შევხვდით ერთმანეთს და ნელ-ნელა დავუახლოვდით. ბელფასტიდან იყო, თორმეტი წლით ჩემზე უფროსი.

იქაურ ამბებს ვაყოლებდი – დაძაბული ვუსმენდი, კმაყოფილი. ეჭვი არ

მეპარებოდა, ყველა ირლანდიელი ჩართული უნდა ყოფილიყო თავისუფლებისთვის ბრძოლაში. სხვანაირად, აბა, როგორ?

თურმე, არა. მისი ცხოვრების მთავარი ამბავი, რომელიც იმ ღამით მომიყვა, გამათავისუფლებელ მოძრაობასა და დროშების ქნევას საერთოდ არ შეეხებოდა. საუკუნოვანი დაპირისპირება ირლანდიელებსა და ინგლისელებს შორის რობ გორმანისთვის სინამდვილეში ზედაპირულ რამედ იყო ქცეული, სულ არ ადარდებდა. უბრალოდ, ხათრს არ მიტეხდა, ამ თემებზე როცა მესაუბრებოდა. მიყვებოდა იმას, რაც ახსენებოდა. თვითონაც გულს აყოლებდა.

გორმანს სხვა დაპირისპირება ჰქონდა – საკუთარ თავთან და სინდისთან. ტანჯავდა იარა, რომელიც აღარ უხორცდებოდა და ეტყობოდა, არც არასოდეს შეუხორცდებოდა.

ერთ საღამოს – უფრო ალკოჰოლის ქვეშ მყოფმა, ვიდრე დაბოლილმა – გული გადამიშალა და გამანდო საიდუმლო, რომელიც, წესით და რიგით, არავისთვის არ უნდა მოეყოლა.

## I

### უგულო გარეშარი

სხვა გზა არ იყო, მილიგანი უნდა მოეკლათ. რაც თავი ახსოვდათ, სულ მუდამ ამცირებდა რობსა და მის მეგობარს. იმ ნაბიჭვარმა ცხოვრება გაუმწარა, სიცოცხლე ჩაუშხამა, ბავშვობიდან დასცინოდა და აბუჩად იგდებდა.

არა მარტო მათ, მთელ უბანს ატერორებდა. ხელი ვერავინ აწია, ვერავინ დაუპირისპირდა, ყველამ ჩაიფვა. მილიგანი უგულო გარეშარი იყო, ყველანი ფეხებზე ეკიდა, საკუთარი ცოლიც ეკიდა. მისი ეშინოდა დიდსა და პატარას. ვერავინ გაურბოდა, პირიქით – ყველა იქით ეტენებოდა.

ვიღაცის იმედად ველარ იქნებოდ-

ნენ. თვითონ უნდა ეფიქრათ საკუთარ თავზე და ამიტომ აბრაჩამ დოილს და რობ გორმანს შონ მილიგანი უნდა მოეკლათ, სხვა გამოსავალი არ იყო.


გვერდიდან ადამიანი ვერც მიხვდებოდა, ასე სერიოზულად თუ იყო საქმე. ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთისადმი გაუცხოება, ღლაბუცი, სიუხეშე, თუნდაც ბავშვური სისასტიკე – წესით, მაინც არ უნდა ქცეულიყო ასეთი უკიდურესი ქმედების წინაპირობად. ზედაპირული დამკვირვებელი იკითხავდა: განა ასე რთულად იყო საქმე, აუცილებლად ვინმეს მოკვლით რომ დასრულებულიყო? გაიზრდებოდნენ და ერთმანეთისადმი ტკივილის მიყენების სურვილს გაცნობიერებული ლმობიერებით ჩანაცვლებდნენ. ჰო, გასაგებია, ირლანდიელები ემოციურნი არიან, ხშირად უხეშნიც. მაგრამ ადრე თუ გვიან, წლების მომატებასთან ერ-

შესაძლებლობები გაუმრავალფეროვანდა.

ყველაფერი ერთ რაიონში ხდებოდა, ბელფასტის ცენტრში, ოდნავ აღმოსავლეთით: ნიუტაუნარდსა და ელბერტრიჯს შორის.

რობი და აბრაჩამი თანატოლები იყვნენ. 1953-ში დაიბადნენ ორივენი, გვერდიგვერდ სახლებში ცხოვრობდნენ და ერთ სკოლაში დადიოდნენ. შონი სამი წლით უფროსი იყო ბიჭებზე. ეს კი, დამეთანხმებით, ბავშვებში დიდი სხვაობაა. სხვებიც იზრდებოდნენ იმავე უბანში, თუმცა მილიგანი თავიდანვე გამოირჩეოდა ფიზიკური სიძლიერით და უშიშრობით. სულ რაღაც ცხრა წლის იყო, ნაგაზს პირიდან კატა რომ გამოსტაცა და თვითონ დაახრჩო იქვე, ბიჭების თვალწინ – მიკბინა ამ უნამუსომ, ასე გადამიხადა მადლობა და რა მექნაო.

არ იფიქროთ, რომ ჭკუასუსტი მოძალადე იყო – სხარტი გონება ჰქონდა.



თად, უმრავლესობა მაინც დინჯდება.

აი, შონი კი ვერაფრით დადინჯდა. რაც იყო ათი წლის ასაკში, ოცდახუთისაც იგივე დარჩა. როგორც ამცირებდა თავის მეგობრებს ყმანვილკაცობაში, იმავე შემართებით და დაუნდობლობით ძალადობდა გარშემომყოფებზე, როცა შუახნის მამაკაცად იქცა – პლუს ფანტაზია და

სწორედ ინტელექტისა და საღიზმის ნაზავი იყო მის მიმართ შეუგუებლობის საფუძველი აბრაჩამისა და რობის მხრიდან. თორემ ერთუფჯრედიანი ლენჩი თვითონვე გაიფუჭებდა თავს და სადმე გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა დიდი ხნით. მილიგანი სულაც არ იყო სულელი, ყოველთვის ჭკვიანურად

მოქმედებდა. და ბედიც წყალობდა.

რობის და აბრაჩამის ჩაგვრაც ბავშვობიდან დაიწყო. დაუძაბავად გამოსდიოდა, თამაშ-თამაშით. ბიჭები გვიან მიხვდნენ, თავმოყვარეობა რომ ელახებოდათ.

აბრაჩამი ცხრა წლის იყო, შონმა მშენებლობაზე ქვიშაში რომ ჩაფლა ყელამდე. ბოლომდე ჩამარხავდა სიცილ-სიცილით, მათი მეგობრის, ტიბოტ მაკმაჰონის მამას, მისტერ მაკმაჰონს რომ არ მიესწრო სულზე. აბრაჩამის გაცეცხლებულმა დედამ, მისის დოილმა, შონი ყურით მიათრია დედამისთან. იმან კი ხელები გაასავსავა და მთელი საღამო ბოდიშები იხადა. მერე მისის მილიგანი მისის დოილს ჩაით გაუმაჰინძლდა და პატარა საჩუქარიც გაუკეთა – ყელსაბამი, რომელიც ლამაზ ზარდახშაში იდო.

ამ ამბიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, ტიბოტ მაკმაჰონი გაილახა მაგრად – შონს გულში ჩადება უყვარდა.

პატარა მოძალადემ დანდობა არ იცის, ის ულმობელია. მისი სწრაფდმცემი გული ვერ იკარებს და ისხლეტს ნანამები თანატოლის ემოციებს და განცდებს. დამცირებულის უმწეობა ყოველი მომდევნო შეხვედრისას მექანიკურად უბიძგებს ახალ-ახალი ძალადობისკენ. თამაშსაც ჰგავს ეს, სადაც მჩაგვრელი ზღვარს არ გადადის, დროულად წყვეტს თანატოლის წამებას. ამის გაკონტროლება რთული არ არის: მსხვერპლი ცხარე ცრემლით თუ ატირდა – უნდა შეეშვა. შეეშვა მომავალ თავდასხმამდე. ასე შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, გარედან ვინმე თუ არ ჩაერიო. არადა, მოძალადეც მსხვერპლია უხილავი ბოროტი ძალისა – როგორც ბიჭუნა კაი ანდერსენის ზღაპრიდან, გულში ყინულის ნატეხი რომ ჩაუვარდება.

წამების პირველ ეტაპზე დაჩაგრული ბავშვი ვერ აცნობიერებს ძალადობის სისტემატურობას. მოკლე მესხიერება და განწყობის სწრაფი ცვლილება, გარ-

თობისკენ სწრაფვა, გულუბრყვილობა და სხვა რამ ავიწყებინებს მას დამცირებას და ტკივილს. აუხსნელ ეპიზოდებს ცნობიერების შორეულ სივრცეებში მალავს. ბავშვმა შეიძლება ვერც გაიხსენოს ჩაგვრის გუშინდელი სცენა, სანამ მოძალადეს უშუალოდ არ გადაწყვეტა. აქ ის სწრაფად აღიდგენს წარსულის განცდებს, თუმცა არ გაურბის მოძალადეს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისტემატურობის და სქემის დანახვა უჭირს. ჩაგვრის ობიექტი იმედოვნებს, რომ დღევანდელ ეპიზოდში ადგილი აღარ ექნება თავდასხმას. აცნობიერებს: განახლებულ მეგობრულ ურთიერთობას გულის კუნჭულში ჩამარხული სირცხვილი შეუძლია გაუქროს. უღიმის, ხელს ართმევს, ეხუტება კიდეც თავის მჩაგვრელს სწორედ ამის იმედად. და მალევე იმედგაცრუება ეუფლება, რადგან დღესაც დამცირებული და შეურაცხყოფილი რჩება. ის ამოჩემებულია, სათამაშოდ არის ქცეული. მწვანეებელი თავისი ნებით არ შეეშება. გამოდის, ჩაგრულის ფიქრებისა და ემოციების წრებრუნვასაც არ უჩანს ბოლო, თუ გარედან არ მოვა შეველა.

ცუდი განცდები ქვეცნობიერში იღექება. ამ ნაღვეზე კი აღმოცენდება ის, რაც მომავალში ადამიანს სიცოცხლეს გაუმწარებს, საგონებელში ჩააგდებს ექიმებს.

თანაც ექსცენტრიკული მილიგანი ურიტმოდ მოქმედებს. ანუ სულაც არ არის აუცილებელი, რომ შეხვედრა ყოველთვის მსხვერპლის ცემით ან წვალებით დასრულდეს. თუ გუშინ შლეგივით იქცეოდა, დღეს თბილი და მეგობრულია. ნახეთ, ბიჭები ერთად მიდიან სტადიონზე და მონინაალმდევე გუნდის გულშემატკივრებთან შეტაკებისას შონი იცავს ბიჭებს და თავპირს უმტვრევს ნებისმიერს, ვინც ხელს ნეცს მათზე. თავდაცვის მიძინება ხდება.

ხვალ კი, სადმე ბარში რომ ისხდებიან, მილიგანი მოულოდნელად, მთელი ძალით უკნიდან თავში დასცხებს რობ

გორმანს და ნაპერწკლებს აყრევინებს თვალებიდან. არის ხუმრობითი, მეგობრული ნაკვრა თავში და პასუხად იმავეს მიღება, გულში არჩადება. და ეს არის ღლაბუცი. სულ სხვაა, როცა მოშვებულს, ჩაფიქრებულს კეფაში გხვდება გამეტებით. ერთხელ საიმონ რეგანს ისეთი მოხვდა შონისგან კისერში, რომ გონება დაკარგა და ძლივს მოასულიერეს.

აი, რეგან ფოული კი წამოუხტა და საპასუხოდ ყბაში მოსდო. მილიგანმა ეგრევე ზურგიდან დაუარა, მისი თავი მკლავებში მოიქცია და გაგუდვა დაუნყო... ბიჭებმა ძლივს გააშველეს. სისხლი ჰქონდა მოწოლილი რეგანს სახეში. ამ შემთხვევის მერე „ჭარხლისთავა“ შეერქვა მეტსახელად. ძალიან სტკიოდა კისერი „ჭარხლისთავას“ იმ დღეს, თავბრუ ესხმოდა დროდადრო. არავინ იცის, ეყოფოდა თუ არა რეგან ფოულის გამბედაობა, მომავალში იგივენაირად დატაკებოდა მილიგანს.

კიდევ ერთი ტიპი წამოუხტა შონს, როცა ამ უკანასკნელმა ყვერებში წავლო ხელი და მაგრად ატკინა. მერტი ერქვა ბიჭს და როცა მიხვდა, შონს ხელჩართულში ვერ აჯობებდა, დანა დაადრო და სახესთან აუქნია. შონმაც ამოიღო დანა და უეჭველი სერიოზულად დასახიჩრდებოდა რომელიღაცა, დროზე რომ არ მოსულიყვნენ გონს. მერტის ძმა ჰყავდა, შონის სეხნია. ციხეში იჯდა ყაჩაღობისთვის. დანაც მისი ნაჩუქარი იყო. მილიგანს მერტის მიჩმორება დიდ სიამოვნებას მოუტანდა, ახალი ეტაპი იქნებოდა მის ცხოვრებაში. დაპირისპირება ასპროცენტთან კრიმინალებთან – თამასის მალლა აწევას ნიშნავდა. მაგრამ მერტიმ არ ჩაიჩოქა, ძმის მხარდაჭერას გრძნობდა. მილიგანმა ჭკუა იხმარა, მომავლისთვის გადადო ანგარიშსწორება. ბადალი არ ჰყავდა სიავეში. რალაც ძლიერი კვებავდა მის ღვარძლს.

შონ მილიგანის საქციელში ლოგიკური ქმედების ნიშანწყალი თითქმის არ

შეიმჩნეოდა. არადა, თავისი დონის მონინააღმდეგესთან სერიოზულად იქცეოდა, ჭკვიანურად ლაპარაკობდა. იცოდა, როდის დაზავებულიყო მტერთან. დანარჩენები ადამიანებად არ მიაჩნდა. მათთან ნადირივით არალოგიკურად იქცეოდა, უტევდა მოულოდნელად, რეალური მიზეზის გარეშე. ვინმეს ჭკვიანური წინადადება ან ფრაზა თუ დასცდებოდა, თავში წაუთაქებდა – მოკეტე, ნუ პროფესორობო.

ყველაზე კარგი გამოსავალი ასეთი ადამიანისგან შორს ყოფნაშია. უნდა წახვიდე, გაეცალო და რაც შეიძლება მალე დაივიწყო მოძალადე. მაგრამ ამას ვერ ახერხებ. რთულია, ხშირად შეუძლებელია ადგილსამყოფელის გამოცვლა. მით უმეტეს, თუ ჯერ საკუთარი არაფერი გაგაჩნია და ოჯახზე ხარ მიბმული. მამას ხომ ვერ ეტყვი: მეშინია და სახლი გამოვიცვალოთო. მამები იშვიათად ერევიან შვილების საქმეებში. რობის მამა რობისნაირი მშვიდი და მონესრიგებული იყო. წარსულში, ალბათ, ისიც გაექცა რომელიმე მჩაგვრელს. მიუხედავად ამისა, მსგავს პრობლემას შვილის ცხოვრებაში ვერ ხედავდა. რომ დაენახა, იქნებ, რამენაირად გადაეჭრა კიდევ. თუ საჭირო გახდებოდა, ბინაც უნდა გადაეცვალა და გადახვეწილიყვნენ სხვა რაიონში – ღირდა ამაღ. გაქცევა გამოსავალია ხშირად. ეპიცენტრში მყოფი ვერ ასწრებ დაფიქრებას, გაანალიზებას, მოშვებას. შესაბამისად, ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში არასწორ გადაწყვეტილებას იღებ.

საერთო ჯამში, მილიგანის სითავხედე რაიონის ყველა ბიჭმა იწვინა საკუთარ თავზე. მათი სურვილი რომ ყოფილიყო, შონის ტრაკზე მოჯენას არაფერი დაუდგებოდა წინ. მაგრამ უბნის ბიჭებს ერთმანეთის იმედი არ ჰქონდათ. ეშინოდათ, რომ ყოველთვის ვერ იქნებოდნენ ერთ გუნდში, ვერ იქნებოდნენ შეკრულნი და ადრე თუ გვიან პირისპირ დარჩებოდნენ მილიგანთან

და შურისძიებაც არ დააყოვნებდა მისი მხრიდან. თუ მიარტყამდნენ, ისე უნდა მიერთყათ, რომ ჩაეკლათ შონში შურისძიების წყურვილი. ეს კი ურთულესი რამ იყო – თითქმის შეუძლებელი. თანაც კაცმა არ იცის, რამდენ ბიჭს ჰქონდა მის წინაშე გალაშქრების დაუოკებელი სურვილი. ყველა ლომი ვერ იქნება, ტურებიც საჭირონი არიან. ტურის ქურქის გადასაცემლად საჭიროა ისწავლო კეფაში წამოსული ხელის სანახევროდ აცილება (სულ არ უნდა აიცილო, რადგან მეორეს დაგარტყამენ); ტკივილის ცრემლის სიცილში გადატანა; ძველბიჭური შეპასუხება, რომელიც მჩაგვრელს თავმოყვარეობას არ შეუღალხავს. უნდა გაეგზავნო საყიდლებზე და ეპირფერო ისე, რომ ვერ მიგიხვდეს ეშმაკობას. მილიგანს არ უყვარდა, როცა ელაქუცებოდნენ და უძვრებოდნენ. ეგრევე შიფრავდა და ერთ მლიქვნელს შავი დღე აყარა – წააქცია და სახეზე დააჯდა. „ჰა!“ – უყვიროდა, – „გინდა, მოგცე პირში! გინდა, პირში ჩაგიდო და ჩაგათესლო მანდი!“

ვერავენ მიეკარა. ბოლოს სხვაუბნელმა, დევინმა ვერ მოითმინა და დაანებე რა თავიო. მილიგანი ახლა მას მიუბრუნდა და როგორც ჩანს, შენც გინდა, მოგათესლო სახეზეო. გაცოფებული ჩანდა, ხელი რომ შეუშალეს ჩაგვრაში. დევინი უკან-უკან წავიდა. მლიქვნელმა ისარგებლა და დაუსხლტა მწვალებელს. დევინიც სწრაფი ნაბიჯით გამორდა იქაურობას.

იმავე საღამოს პაბში წავიდნენ და შონმა გულად დევინს შეუთვალა: მოდი, შევხვდეთ, აღარ ვარ შენზე ნაწყენი, ერთად დავლიოთო. დევინიც მივიდა და გვერდით მიუჯდა. ერთად სვამდნენ და იცინოდნენ, დილის ამბავს იხსენებდნენ. მხოლოდ ერთხელ დაჰკრა თავში მილიგანმა დევინს ძალიან მტკივნეულად და მანაც აიტანა როგორღაც. აღარ შეეპასუხებოდა, არ სურდა მორიგი უთანხმოება. საკმარისი

იყო, რაც გააკეთა, მეტის თავი არ ჰქონდა. ანი „პატარა წათაქებასაც“ აიტანდა, უკანაც დაიხვედა და იქვე დაიწყო. ასეც მოიქცა: გაიციანა, გადაჰკრა და დაივიწყა.

ასეთი შეუპოვარი იყო მილიგანი სითავხედეში.

60-იანების ბოლოს ირლანდიელებსა და ინგლისელებს შორის დაპირისპირებამ ახალი ხასიათი მიიღო – ყველა „სიკეთესთან“ ერთად, რელიგიური ელფერიც შეიძინა. კათოლიკე ირლანდიელები პროტესტანტ ინგლისელებს პირდაპირ ქუჩებში დაუპირისპირდნენ. სისხლიანი შეტაკებები ძირითადად ორ ქალაქში მიმდინარეობდა: ბელფასტში და დერიში.

ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ (ირა) ტაქტიკა შეცვალა და ქალაქურ ყაიდას მოერგო: ავტონომიურ რაზმებად დაიყო. ბევრი მათგანი ტერორისტულ დაჯგუფებად ტრანსფორმირდა და წავიდა თავდასხმები ინგლისელებზე – არა მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე, არამედ – მთელი დიდი ბრიტანეთის მასშტაბით.

გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მილიგანს ახალი როლი შესთავაზა – ბელფასტის ერთ-ერთ ტერორისტულ ქვედანაყოფში ადგილი გამოუძებნა და იარაღიც აჩუქა: 50-იან წლებში გამოშვებული „ვალტერი“. პისტოლეტთან ერთად, ფრანგული კარაბინიც ეკიდა მხარზე, რომელიც მალე „კალაშნიკოვის“ ავტომატით შეცვალა. ახალი ძმაკაცები გაიჩინა და მათთან ერთად მოძრაობდა შვედური „სააბით“, დიდი ბრიტანეთისთვის რომ იყო სპეციალურად გამოშვებული. უბანში იშვიათად ჩნდებოდა. აღარც დანარჩენებს სცხელოდათ ბირჟაობისთვის და დროსტარებისთვის.

მილიგანის გარეშე ქუჩამ ამოისუნთქა. პირველად მაშინ გაიფიქრა უბანმა გულის სიღრმეში, იქნებ, რაიმე ხათაბალში გაეგზავნა და ველარასოდეს დაბრუნდესო.

ცოტა ხანში ხმა დაირხა, მუცელში დაჭრესო. თუმცა გადარჩენილა. მერე ისიც გაირკვა, რომ არც არავის დაუჭრია, თვითონ გავარდნია იარაღი და მუცელი გაუკანრავს. არ უბაზრებდნენ, ცოტა სამარცხვინო ფაქტი იყო და შონის რისხვას ერიდებოდნენ.

ინგლისმა დაინახა, რომ ირლანდიასთან ასე იოლად ფონს ვერ გავიდოდა, ამიტომ კონფლიქტის დასარეგულირებლად 1969-ში ჩრდილოელების ტერიტორიაზე არმია შეიყვანა. 1972 წლის იანვარში კი, შეტაკებამ კულმინაციას მიაღწია: ქალაქ დერიში ინგლისელების რეგულარულმა არმიამ თვრამეტი ირლანდიელი მოკლა.

იმავე წლის მაისში „ირამ“ განაცხადა, რომ წყვეტდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს. თუმცა ინგლისმა უარი თქვა სეპარატისტებთან მოლაპარაკებაზე და მალევე „ირამ“ ისევ განაახლა ტერაქტები ჩრდილოეთ ირლანდიასა და ინგლისში. რამდენიმე „უმნიშვნელო“ ტერაქტს 1974 წელს, დარლინგტონთან ახლოს, მანჩესტერელი ქვეითებითა და მფრინავებით სავსე ავტობუსის აფეთქება მოჰყვა. ამბობდნენ, რომ შონ მილიგანის ხელიც ერია იმ ამბავში.

გამოდის, უფრო მაღალი მიზნები დაუსახავს და უბნელებთან ღლაბუცისთვის დრო და სურვილი აღარ უნდა დარჩენოდა. ის კი, თავის უბანში დროდადრო გამოჩენისას, მაინც არ ღალატობდა უგუნურ ჩვევებს და პირველსავე ხელსაყრელ მომენტში ძველი მეგობრის მიჩმორებას განაგრძობდა. უეცრად დასევდიანებულს შეეძლო საგმირო ამბავი მოეყოლა თავისსავე უახლესი წარსულიდან და დასრულებისთანავე, ფიქრებიდან გამოსულს, ფიზიკური წნეხის იაფფასიანი ხერხი გამოეყენებინა: წიხლი ამოერტყა მოულოდნელად რომელიმე მსმენელისთვის, მიეფურთხებინა, თმა მოექაჩა, უშვერი სიტყვებით ეგინებინა და სხვა მსგავსი სისულელები.

ცნობიერების გაფართოებასთან ერთად, სადიზმაც იმატა მასში, რაც უცნაური იყო. შეეძლო, ირლანდიის თავისუფლებაზე ესაუბრა, თავი გაენერა კიდეც სამშობლოსთვის და იმავე სამშობლოს შემადგენელ მთავარ ნაწილებს, ადამიანებს კი, დედას სტირობდა.

ინგლისელებმა ტერორისტების დევნა და დაპატიმრება დაიწყეს. ყველას რას დაიჭერდნენ? თანაც „ირას“ რიგების შევსება მუდმივად ხდებოდა, მოხალისეების ხარჯზე.

შონ მილიგანი ოლსტერში გადასახლდა და ხუთი წელი მის შესახებ არაფერი ისმოდა. ბელფასტელებმა იფიქრეს, ხომ არ დაიჭირეს ან ხომ არ მოკლესო.

მისი სახელი კვლავ ამოტივტივდა 1979-ში, როცა ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, ეირ ნივი ააფეთქეს საკუთარ ავტომობილში. ასაფეთქებელი მონყობილობა მაშინ ამოქმედდა, პარლამენტარი მინისქვეშა ავტოსადგომს რომ ტოვებდა. შეიძლება შონს არც დაუდია ბომბი, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა სახელმაც აქაც გაიჟღერა.

1982-ში ტერორისტებმა სამხედრო ალღუმის დროს ჰაიდ-პარკში და რიჯენსტ-პარკში აფეთქებების სერია მოაწყვეს და ოცდაორი ინგლისელი ჯარისკაცი გაისტუმრეს იმქვეყნად. დაიჭრა და დასახიჩრდა ორმოცდაათზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე.

შემდეგ მარგარეტ ტეტჩერის რიგიც დადგა. თავდასხმა პრემიერ-მინისტრზე საიდუმლოებით მოცულ ამბად ითვლება. თითქოს მის შესახებ ყველაფერი ცნობილია და იმავე დროს, არც არაფერია ცნობილი. ბევრს მიაჩნია, რომ ტერაქტი „რკინის ლედის“ წინააღმდეგ არც მომხდარა – ინგლისელებმა გაითამაშეს, საკუთარი ინტერესებისთვის რომ გამოეყენებინათ.

იმ დროისთვის „ირაში“ სამასი წევრი იყო მხოლოდ. ანუ საკმაოდ ცოტა. „ირა“ რაზმებისგან შედგებოდა, რომლებიც, თავის მხრივ, პატარა ჯუფებად

იყოფოდნენ. თითოში სამ ჯარისკაცზე მეტი არ შედიოდა. ისე რომ, მეზობლანი მხოლოდ თავისი ჯგუფის ორ და-ნარჩენ წევრს ცნობდნენ სახეზე.

ბომბი პრემიერ-მინისტრს აბაზანის ოთახის ქერში, ზედა სართულზე და-უმონტაჟეს. სწორედ ზემოდან წამო-სულ ტალღას უნდა მოეკლა ტეტჩერი, აბაზანაში როცა შევიდოდა. სანამ მარ-გარეტ ტეტჩერი ნომერში შესახლდე-ბოდა, აგენტებმა სასტუმრო გულდას-მით გაჩხრიკეს და ვერაფერი იპოვეს. ძალებიც მიიყვანეს, მაგრამ ბომბის კვალს ვერ მიაგნეს. როგორც შემდგომ გაირკვა, ტერორისტმა ასაფეთქებლად ახალი მასალა გამოიყენა – „სემტექსი“ – რაც უცხო ხილი იყო როგორც პო-ლიციისთვის, ასევე მაძებარი ძალებ-ისთვის, რომლებმაც ვერაფერი იცნო-სეს. ჩხრეკამდე რამდენიმე დღით ადრე ზემოთა სართული ერთმა სტუმარმა დატოვა, სახელად – როი უოლში. როი უოლში „ირას“ ერთ-ერთი საუკეთესო მეზობლის – პატრიკ მაგის ყალბი სა-ხელი იყო. მან დაამონტაჟა ასაფეთქე-ბელი მონყობილობა და მალევე დატოვა სასტუმრო. რამდენიმე დღის მერე, და-ასრულა რა მარგარეტ ტეტჩერმა კონ-ფერენციაზე წარმოსათქმელი სიტყვის მომზადება, აბაზანისკენ წავიდა. სავა-რაუდოდ, მოახლე გოგომ ნიშანი მისცა პატრიკ მაგის... და მანაც ასაფეთქებ-ლი აამოქმედა. მაგრამ მარგარეტი აბა-ზანაში არ შესულა, რადგან მდივანმა შეაყოვნა, რომელმაც ფურცლები შე-მოუტანა ხელმოსაწერად. ასე გადაჩა „რკინის ლედი“. როცა ნანგრევებიდან გამოჰყავდათ, მას უთქვამს: „ასეთ ამ-ბებზე როცა კითხულობ, არასდროს ფიქრობ, რომ შენც იგივე შეიძლება დაგემართოს როდესმე.“

პატრიკ მაგი დაიჭირეს და სამოცდა-ათი წელი მიუსაჯეს. თუმცა თოთხმეტი წლის მერე გამოუშვეს და მის შესახებ აღარაფერია ცნობილი – სადღაც გაუ-ჩინარდა. ვადის ასეთი შემცირება და

ეროვნული გმირის გაუჩინარება ირ-ლანდიელებში ეჭვს დაბადებს: ტერაქ-ტი სინამდვილეში არ მომხდარა, ანუ ტეტჩერის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. პატრიკ მაგი გარიგებაზე წავიდა ინგლისელებთან და დიდი თან-ხის საფასურად მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში, აფეთქებაში, რომელიც თვითონ ინგლისელების მიერ იყო დად-გმული. ეს თოთხმეტი წლის მერე მოხ-დება. მანამდე პატრიკ მაგი ციხეში იჯ-დება და ყველანი, ვინც მასთან ერთად იღებდა მონაწილეობას თავდასხმაში, ეროვნულ გმირებად იქნებიან შერაც-ხულნი. მათ შორის – შონ მილიგანიც.

ბელფასტში ბევრს არ სჯეროდა მისი გმირობის. ასეთ საპასუხისმგებლო საქ-მეს ნაგიჟარ მილიგანს არავინ ანდობდა. ლეგენდის შექმნა შონის ახლობლების მიერ საკუთარი დიადი გმირის ყოლის სურვილით იყო გამონჭვეული.

ტერაქტი 1984 წელს მოხდა, ბრა-იტონში. ისე დაემთხვა, რომ ამ ამბის მერე შონ მილიგანი, უვნებელი და თა-ვისუფალი, ბელფასტში დაბრუნდა.

## II

### მილიგანი უნდა მოკვდეს

აბრაჩამი და რობი კარგი მეგობრები იყვნენ, ერთმანეთის გვერდით იდგნენ ყოველთვის და არც სიმამაცე აკლდათ. სიყმანვილეში სამხრეთ ბელფასტელებ-თან ჩხუბი რომ მოუვიდათ, ზურგებით ეკვროდნენ ერთმანეთს და ისე იგერი-ებდნენ მუშტებს. გაილახნენ, მაგრამ სირცხვილი არ უგრძნიათ. ხალხი შეკ-რიბეს, თავად დაესხნენ სამხრეთელებს და ანგარიში გაუსწორეს. მილიგანიც მათ გვერდით ჩხუბობდა. ლუდის ბა-რებშიც არაერთხელ მოსვლიათ ჩხუბი, უცნობებთან თუ ნაცნობებთან და არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გაქცე-ულიყო. თუ გარბოდნენ – ერთად გარ-ბოდნენ. ერთხელ დოილმა გადამტვრე-

ული ბოთლი უტრიალა სამუშაოს მერე „კარდინალს ფინგერში“ შემოლაგებულ მამისტოლა მუშებს. ყველამ იცოდა, თუ ერთ-ერთს ვინმე გაუტრაკებდა, მეორე გვერდზე დაუდგებოდა. ერიდებოდნენ მათთან საქმის გარჩევებს. თანაც არც ესენი იყვნენ ბოროტი და მჩაგვრელი ტიპები, ვინმე რომ გადაკიდებოდა. ზოგიერთ ბელფასტელს ისინი შონის მეგობრებადაც კი მიაჩნდა.

რობი ოცდაშვიდის იყო, ცოლი რომ მოიყვანა. ერთი წლის თავზე ქალიშვილი შეეძინათ. პორტში დაინყო მუშაობა. აბრაჩამი დუბლინში აპირებდა გადაბარგებას – შორეული ნათესავი სამუშაოს შეჰპირდა.

დაბრუნებული მილიგანი საოცრად გააქტიურდა – სმასაც მოუხშირა. ჯერ

მონათქვამი არ არის, მართლა არსებობს და ნელ-ნელა კი არა, სწრაფად ივსება. არის ასე, პირთამდე სავსე. თუ დაამატებ, გადმოვა. „გადმოსვლა“, უმეტეს შემთხვევაში, ფიალას პატრონის აგრესიულ ქმედებაში ვლინდება. ადამიანი მუდამ უნდა ზრუნავდეს, რომ ფიალა დაცარიელებული ჰქონდეს. „მოთმინების ფიალის“ ცარიელ მდგომარეობაში ქონა ურთულესი რამ არის, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის შეუძლებელიც კია. აბა, ვისა აქვს თავი, სიცოცხლის ყოველი წამი ობიექტურად, განონასწორებულად გაატაროს? არ დაკარგოს კონცენტრაცია, მისდიოს მედიტაციურ პრაქტიკას. შეძლოს და გამოიცვალოს არასასურველი გარემო, ისწავლოს რთული ცხოვრებისეუ-



ფხიზელი რა იყო და ახლა მთვრალი – ყველანი უფრთხოდნენ, გაურბოდნენ. ბელფასტელები მიხვდნენ, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. უფრო იმის შიშში ჰქონდათ, ვინმე არ მოეკლა. ბოლოს და ბოლოს უნდა გახსნილიყო კვანძი – ან ასე, ან ისე. ტრაგედიის დრო დადგა. არავის სურდა, თვითონ გამხდარიყო სამიზნე.

„მოთმინების ფიალა“ ხატოვანი გა-

ლი ეპიზოდების გატარება, დავინყება, უმჯობესია – გაქრობა... ანდა, სულაც, ისწავლოს თავის მოტყუება. ამასთან, ყოველთვის უნდა გახსოვდეს შინაგანი ბუნების ბოლო ხრიკი: როცა გგონია, ყველაფერი გადახარშე, განონასწორდი, აუღელვებელ და სათნო ადამიანად იქეცი, სწორედ მაშინ აღმოაჩენ, რომ გულის ფიალაში მოკალათებული პატივმოყვარეობისა და ამბიციის

ჭია გამოგიკვებავს. გვარიანად ჩაპუტ-კუნებულ პრესტიჟი ზემოთკენ მიინევს, დღის შუქზე გამოსვლას ითხოვს, ტვინს გიჭამს, ჩაგჩინებს, რომ ძალადობას ისევ და ისევ ძალადობით უნდა ებრძოლო.

აბრაჩამმა და რობმა თავისი ფილები კასრებად აქციეს იძულებით და ისიც გაივსო. ეს მოხდა „კარდინალს ფინგერში“, როცა იქ მილიგანი შევიდა, თავის ძმაკაცებთან ერთად. ძმაკაცები, როგორც „კარდინალის ჯარისკაცები“, მაგიდას მიუსხდნენ და ლუდი მოითხოვეს. შონი ბართან მჯდარ დოილსა და რობს ჩაუჯდა შუაში.

– როგორ ხარ, რობ! – დაიყვირა მილიგანმა და თავში დასცხო, როგორც იცოდა. თავმა სასაცილო ხმა გამოსცა და ვინც გაიგო, ყველას გაეცინა. მთვრალი იყო. 70-იანი წლების მერე იარაღი არც გადაუგდია, სულ თან დაჰქონდა. წინ აღარ იდებდა, უკან ჰქონდა ქამარში გარჭობილი. რობს სახე მოედრიცა და მილიგანს ცალყბად გაუღიმა.

– კარგად ვარ, შონ. შენ როგორ ხარ?

შონმა არაფერი უპასუხა და დოილს მიუტრიალდა:

– შენ რატომ ხარ ჩუმი, არ გაგიხარდა ჩემი მოსვლა?

– გამიხარდა, შონ. რატომ არ უნდა გამხარებოდა ვითომ.

– რა ვიცი, აბა. თქვენზე ამბობენ, მაგარი წყვილია და ერთმანეთს მაგრად უდგანან გვერდშიო.

– კარგია, თუ ამბობენ, – უპასუხა რობმა, – რა, ეგრე არ უნდა იყოს?

– ანუ დაგვენძრა ყველას?

– რა გინდა, შონ?

– თქვენი მოტყვნა მინდა. ჰა, გამომივა რამე? იქნებ, ერთმანეთს ტყნავთ! აბრაჩამი დაიძაბა. წინ იყურებოდა. ყბის კუნთი აუთამაშდა.

– კარგი, რა იყო, ვიხუმრე, – გაიცინა მილიგანმა, – მოინიეთ, რაღაც მინდა გითხრათ.

აქეთ-იქიდან ორივეს კისრებზე ხელები მოხვია და თავისკენ მოქაჩა, ვითომ ყურში რაღაცის თქმას აპირებდა... და უეცრად რობი და აბრაჩამი მთელი ძალით თავებით ერთმანეთს მიაჯახა... სანამ გონს მოვიდოდნენ, მეორეჯერაც მიატაკა. რობს წარბი გაუსკდა, აბრაჩამს თვალებში დაუბნელდა. მილიგანმა ახლა მაგიდის ზედაპირზე დაარტყმევინა ორივეს თავი და დოილს ყურში სწვდა. მაგრად მოქაჩა და თითქმის ნახევრამდე ჩამოახია. დოილმა ტკივილისგან დაინკმუტუნა და საშინლად გამწარებულმა მილიგანს მარცხენა მოსდო სახეში. რობიც უცბად ჩაერთო ჩხუბში – ახლა უკან დახვეის და ჩაჯმის დრო არ იყო. ბიჭებმა გამეტებით დაუშინეს მუშტები შონს. უკნიდან მისი ძმაკაცები წამოცვივდნენ და ცუდად წაუვიდოდათ დოილსა და გორმანს საქმე, თვითონ შონს რომ არ დაეყვირა:

– თავი დაანებეთ, ჩემი მეგობრები არიან!

აბრაჩამი ყურზე ხელს იფარებდა და თითებშუა სისხლი გადმოსდიოდა. მილიგანი მხეცი იყო, მაგრამ თავის ბავშვობის მეგობრებს ასე სასტიკად არასოდეს მოქცევია. სულ რაღაც წამებში ჩააშხამა სალამო. იქ, აბა, რაღას გაჩერდებოდნენ, დოილმა და გორმანმა სასწრაფოდ დატოვეს ლუდხანა. გამწარებულებმა სწრაფად იარეს და რობთან მივიდნენ სახლში, აბრაჩამისთვის ყური უნდა შეეხვიათ. ირლანდიელი ქალები შეჩვეულნი არიან ნაცემი ქმრების დახვედრას, მაგრამ ჩამოხეულმა ყურმა რობის ცოლი შეაშფოთა. მარტო გადახვევა არ უშველის, ნაკერების დადებაა საჭირო და უმჯობესია, კლინიკაში წახვიდეთო, – ურჩია ნორამ. ქალს დაუჯერეს და უახლოეს საავადმყოფოში მივიდნენ.

ექიმმა დაამშვიდა, კატასტროფული არაფერი ხდება, შეუხორცდება რაღაც პერიოდის მერეო და ყური ადგილზე მიაკერა. რობმა თავის თავზე აიღო:

ვჭიდაობდით და ცოტა ზედმეტი მომივიდაო. ექიმი გაოცებას ვერ მალავდა: ამხელა კაცები რამ გაჭიდავათო.

საავადმყოფოდან ისევ რობთან დაბრუნდნენ. ხათაბალაში გაეხვინენ. ხელის შებრუნებას მილიგინი არ აპატიებდა. შიში გაუფრთხილდა გულელებში, გონებაც აემღვრათ.

როგორც ჩანს, იმ დროს ავესოთ მოთმინების ფიალა. იმ გარენართან გარდუვალის შეტაკებით გამოწვეული საფრთხე ბოლო წვეთი აღმოჩნდა. რალაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. ოთახში განმარტოვდნენ და აბრაჩამმა რობს უთხრა:

– უნდა მოვეკლათ როგორმე.

– ჰოდა, მოვეკლათ, ერთი მაგის დედაც! – წამოიყვირა რობმაც.

– ჩუმად, ნუ ყვირი.

ასეთი ჩანაფიქრი წლების წინათაც ჰქონდათ. მაშინ ვერ გარისკეს. მერე რისხვამაც გადაუარათ. ისიც გააცნობიერეს, რომ ეს მათთვის არაბუნებრივი ქმედება იქნებოდა, რალაც უკიდურესობა. იგივე იდეამ ახლა უფრო მიზანდასახულად გაიფლერა. წარსულში უარყოფილი განზრახვა სარჩულად დაედო დღევანდელ გეგმას. ძველი ფიქრები რეალურად ზემოქმედებდნენ ანამყოზე და მომავალს ქმნიდნენ.

და მაინც, ეს იმდენად დაგეგმვა არ იყო, რამდენადაც უეცრად შემოჭრილი (შეიძლება გონებაში წარმოქმნილი) აზრი, რომელიც ბიჭების ხელში ხორცის შესხმას ლამობდა. როცა ასეთი ფიქრი შემოდის, ან უნდა დაეთანხმო, ან არა. მათ თქვეს: ჰო, ასე ვქნათ და აღარ გადათქვეს. წამი აღმოჩნდა ბედ-იღბლის გადამწყვეტი.

გამოსავალი იპოვეს, თუმცა შვება არ უგრძნიათ. როცა ასეთ არჩევანს აკეთებ – სიმშვიდე დაივიწყე. აწი რისხვით უნდა კვებო საკუთარი ჯიგარი, განწყობა რომ არ გაგინელდეს და არ გადაიფიქრო.

– როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? – იკითხა რობმა.

– უნდა მოვიფიქროთ რამე.

– რალაც გვეჭირდება.

– იარაღს გულისხმობ?

– ჰო, ალბათ, არ ვიცი.

რობი ისე განიცდიდა, გულ-მუცელი ეწვოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა. პირს უცნაურად დააღებდა ხოლმე. ადამიანი როგორ უნდა მოეკლათ? მთავარი ქვაკუთხედი, შეურაცხყოფილ მდგომარეობაში ყოფნასთან ერთად, იმის გაცნობიერებაც იყო, რომ მათი წამება არასდროს დამთავრდებოდა. აბრაჩამი უფრო მომართული იყო ამ საქმისკენ.

– მე არ გამიჭირდება, – ჩაილაპარაკა დოილმა, – თუ იარაღს ვიშოვით, მე ვესვრი.

– ესვრი?

– მკიდია, უეჭველი ვესვრი. ყელში ამოვიდა. რამდენი ვითმინო!

რობმა თავი დახარა, ძალიან უნდოდა, ვინმეს ის გარენარი მოეკლა.

– იარაღი უნდა ვიშოვოთ, სხვა შანსი არ გვაქვს. მომისმინე, რობ, ეგ მაგ ამბავს არ გვაპატიებს. ისე, უბრალოდ დაიყვირა, არ დაარტყათო, თორემ არ გვაპატიებს.

– ჩვენ რომ ვესროლოთ, ყველა მიხვდება, ჩვენ რომ ვიყავით.

– საიდან მიხვდებიან? ვერ მიხვდებიან. ჩვენზე ეჭვს არავინ მოიტანს, ათასი კაცი ჰყავს მაგას ეგრე გამწარებული.

– ეგრე შებინტული ხომ ვერ ივლი, მიხვდებიან, ვილაცასთან რომ ვიჩხუბეთ.

– მაშინ ცოტა უნდა დაველოდოთ და მერე.

– უნდა დავიმალოთ რალაც პერიოდი. არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ვიმალებით და ეგ არის.

– ჰო, ეგრე ვქნათ.

მთელი ღამე გეგმას აწყობდნენ. ორი რამ იყო მთავარი: მილიგანს არ ეპოვა ესენი დროზე ადრე და იარაღი ეშოვათ სადმე. როცა აწონ-დაწონეს და დამშვიდებულზეც იმავე აზრზე დარჩნენ,

მიხვდნენ, ჩანაფიქრი ყველა ხერხით ბოლომდე უნდა მიეყვანათ – იმ დამპლის მოკვლით დიდ პრობლემას მოიგვარებდნენ. თუ არ მოკლავდნენ, შეიძლება, თვალეშიც ვერ შეეხედათ ერთმანეთისთვის. ისედაც ხომ მთელ მათ მეგობრობას დიდი დამლა ედო. ახერხებდნენ და როგორღაც არ უტყდებოდნენ ერთმანეთს, დამცირებულნი რომ იყვნენ. რომც გამოტყდომოდნენ, ეს რას შეცვლიდა? სირცხვილი ხომ მაინც ბოლომდე უნდა ჩამოერეცხათ. სხვებთან მამაცობით მილიგანისგან მიღებულ შეურაცხყოფას ვერ აბათილებდნენ. უშუალოდ მასთან უნდა გაესწორებინათ ანგარიში. ისე ვერ სცემდნენ, რომ დაეშინებინათ. მერე სად წაუვიდოდნენ? ერთმა აზრმა გაუელვა რობს: იქნებ, გადავიცვათ და ისე ვცემოთო. იფიქრეს და ვერ წარმოიდგინეს, ისე როგორ უნდა შენიღბულიყვნენ, რომ შონს ვერ ეცნო. ვაი და ეცნო? უკნიდან უნდა დასხმოდნენ თავს, სადმე სიბნელებში და გაეთიშათ – მაშინ ვერ მოასწრებდა ცნობას. რა თქმა უნდა, გულს მოიფხანდნენ. მაგრამ, სანამ ცოცხალი იქნებოდა, თავისას ხომ არ მოიშლიდა? უფრო გამწარდებოდა. ერთი ეგ რჩებოდათ – უნდა მოეკლათ, რა. ჰოდა, ყველაფერი მალე უნდა დასრულებულიყო. შემდეგ ყოფილიყო, რაც იქნებოდა.

მერტის ჰქონდა იარაღი, მაგრამ ამ საქმეში ნაცნობს ვერ გარევედნენ. უცხოზე უნდა გასულიყვნენ. რესპუბლიკურ არმიის შეიქმნოთ ეპოვათ ვინმე. მილიგანს იქ ნაცნობები ჰყავდა და შეეშინდათ, მის ყურამდე არ მისულიყო ეს ამბავი. იარაღი შეიქმნოთ ლისბარნში ან არმაგში დაეთრიათ. ფული დასჭირდებოდათ. ფულს კი იშოვიდნენ, აი, იარაღი იყო პრობლემა – ანუ არავის უნდა სცოდნოდა, საბოლოოდ მათ ხელში რომ მოხვდებოდა პისტოლეტი. დიდი ერთგულებით მილიგანს ცოტა ვინმე თუ დაუდგებოდა გვერდით. ბუნებით ჩამჯმელი ტიპები უფრო სახიფათონი იყვნენ და

მათ საქციელს ვერ გააკონტროლებდი – თავისუფლად ჩაგიშვებდნენ.

ორ დღეში იარაღის გამყიდველზე გავიდნენ და ლიფორდში მოუწიათ გამგზავრება. იქ შეიძინეს რევოლვერი – „ტაურუსი“ – 1960 წლის გამოშვება, ოცი ვაზნით. ამდენი ვაზნა არ სჭირდებოდათ, მაგრამ რევოლვერს მოჰყვა და ხომ არ დატოვებდნენ. სანამ ბელფასტში დაბრუნდებოდნენ, იქვე ახლოს, „სპერინ მაუნთინის“ ტყეში შეიარეს და რევოლვერიდან რამდენჯერმე გაისროლეს. გარტყმა ათ მეტრშიც ძალზე ჭირდა და თავი იმით დაიმშვიდეს, რომ გაცილებით ახლოდან მოახერხებდნენ გასროლას.

ხელსაყრელი დრო უნდა შეერჩიათ და მილიგანს სახლთან ახლოს ჩასაფრებოდნენ.

უბნელებში მისი ამბავი გაიკითხეს. ვილაცხას მოუკრავს თვალი, ძმაკაცებთან ერთად დადიოდა მანქანით. მეტი არაფერი. ეგრე რას მიხვდებოდნენ, ეძებდა თუ არა შონი მათ. იქნებ, აღარც ახსოვს ეგ ამბავიო, იმედოვნებდა რობი, უბრალოდ, სადმე რომ გვენახა – ვითომ შემთხვევით გადავეყარეთ – შევატყობდით, რა ჭკუაზეაო.

– სისულელეს ამბობ, რობ, – ეწინააღმდეგებოდა დოილი, – დღეს კარგ ჭკუაზეა, მაგრამ ხვალ ისევ წამოუფლის და დედას გვიტირებს. მაგისას რას გაიგებ.

– და მაინც, იქნებ, გადაუტრიალდეს ჭკუა. ვაითუ, არც ჩაუდია გულში არაფერი.

– მოდი, ასე ვქნათ, სახლთან დავხვდეთ. თუ მოგვანვება, უეჭველი ვესვრი, – თქვა დოილმა, – თუ არ მოგვანვება, მაშინ არც არაფერი და წამოვიდეთ. ყველა ვარიანტში იარაღი გვაქვს და როცა გაგვიტრაკებს, მაშინ ვესვრი.

ამ ნათქვამიდან გამომდინარე, მილიგანი განწირული იყო. ადამიანების დაჩაგვრაზე ხელი უნდა აეღო და ეგ თუ გადაარჩინდა. რომ სცოდნოდა კი-

დეც, მისი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა, მაინც ველარ უღალატებდა სადისტურ ჩვევებს, ისე ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი.

იარალის შოვნაზე რთული ლოდინი აღმოჩნდა – ვერ გაიგებდი, როდის გადიოდა სახლიდან და როდის ბრუნდებოდა. დილით ან შუადღეს ვერ დაადგებოდნენ, გამვლელი დაინახავდნენ. შონი ეზიზღებოდათ, თუმცა მისი გულისთვის ცხეში არ წავიდოდნენ – რალა აზრი ექნებოდა შურისძიებას? ერთადერთი – ღამის საათები რჩებოდა. მეოთხე დღეს თავზე ისე დაათენდათ, მილიგანი საერთოდ არ დაბრუნებულა შინ. რა თქმა უნდა, ალიონზე მათი შეხვედრა ასევე საეჭვო იქნებოდა. რა უნდა ეფიქრა შონს, დილაუთენია ბიჭები რომ დაენახა სახლთან? რამდენად ობიექტურად მოიქცეოდა? დიდი შანსი იყო, მიმხვდარიყო კიდეც მათ ჩანაფიქრს. შეხვედრისთვის საღამო ხანი იქნებოდა კარგი დრო.

შორს ვერ ჩაუსაფრთებოდნენ, სახლში შესვლას მოასწრებდა. ცოლი ჰყავდა, სახელად ეილისი, ორი წლის წინათ მოიყვანა, შვილი არ ჰყავდათ.

არც ახლოს ივარგებდა ჩასაფრება. სახლთან საეჭვოდ ატუზული ტიპების დანახვაზე დაეჭვდებოდა და უკან გაბრუნდებოდა. თანაც ხშირად მარტო არ იყო, მეგობრები მოაცილებდნენ ხოლმე მანქანით და „ირას“ წვერებთან რობი და მისი მეგობარი ვერაფერს გახდებოდნენ – სროლის ატეხა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

გულის სიღრმეში რობს სურდა, დიდხანს განელილიყო ლოდინი. იქნებ, აზრი შეცვლოდათ, სიბრაზეს გაეველო და გადაეფიქრებინათ. იქვე ხვდებოდა, რომ საკუთარ რისხვაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი, იმ დამპლის შურისძიების წყურვილზე იგებოდა ყველაფერი. შონს რომ დაეფიცა, გულში არაფერი ჩამიდიო, მაინც ვერ ენდობოდნენ – თუ არ დახოცავდა, მაგრად დაასახიჩრებდა.

მეორე მხრივ, შონს რომ ვინმე ჰყოლოდა მოკლული – ასეთი ამბავი ბიჭებს არც გაეგოთ. ბელფასტში მისი ხელიდან სისხლი არ დაღვრილა – გაბაზრებული იქნებოდა ეს ამბავი. შესაძლოა, ოსტერში ყოფნისას ჰყავდა ვინმე ინგლისელი იმქვეყნად გაგზავნილი, რას გაიგებდი. კარგი, დავუშვათ, არ მოეკლა ესენი – ხომ მაგრად დაჩაგრავდა. ცხვირებით მიწას ათხრევიანებდა. ბიჭებს კი არანაირი ტკივილის გადატანა აღარ სურდათ მეტი – ეყოთ, რაც ითმინეს.

ასე წრიულად ბრუნავდა მათ თავებში მოკვლისა და დანდობის სცენები.

ბევრი რამ იმ განწყობილებაზე იქნებოდა დამოკიდებული, უშუალოდ შეხვედრისას რომ შეექმნებოდათ. იქნებ, ჩახუტებოდნენ კიდეც ერთმანეთს, ვინ იცის.

როგორც იქნა, ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდათ. საღამოს ცხრა საათი იყო. ქუჩაში – არავინ. ავტომობილი მოშორებით გაჩერდა და მილიგანი გადმოვიდა. შეყოვნდა. მანქანა წავიდა. ის კი ნელი ნაბიჯით დაიძრა სახლისკენ. ბიჭებიც დაიძრნენ და უკნიდან წამოწინივნენ. შემოდგომის ფოთლების შრიალზე მილიგანი მიტრიალდა და ხელი უკან წაიღო. ბიჭები რომ დაინახა, იარალი არ ამოიღო, მოსულებს მიაშტერდა. აბრაჩამმა გაუღიმა. რობს თვალელებში არ შეუხედავს, თავდახრილმა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. მერე ახედა. სამ-ოთხ მეტრში იდგნენ მისგან.

– შონ, – თქვა აბრაჩამმა, – როგორ ხარ, შონ?

– აქ რას აკეთებთ?

– იმ ამბის გამო მოვედით. გახსოვს, ბარში რომ დავეტაკეთ ერთმანეთს? გვინდოდა გვეთქვა, რომ გულში ნურაფერს ჩაიდებ. არ გვინდოდა შენი წყენინება. შენც ნასვამი იყავი. რას იტყვი, შონ?

შონი ოდნავ მოეშვა. ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს:

– აქ ამისთვის დამადექით და რომ ეგ გეთქვით?

– ხო, რა ვიცი, ძველი მეგობრები ვართ, რაც უნდა იყოს.

შონმა, ეტყობა, ვერაფერი იცნოსა. რას წარმოიდგენდა, აბრაჩამს რევოლვერი თუ ედო ქურთუკის ჯიბეში.

– შენი ამბების შესახებ შევიტყვეთ... მაგრა გივაჟკაცია.

– რა ამბების შესახებ?

აბრაჩამი გაჩუმდა, ზედმეტი მოუვიდა. რას გაიგებდი, რითი უნდა გესიამოვნებინა ეს ტიპი. თანაც, ხომ გვახსოვს, პირფერობა არ უყვარდა.

რობი ჩაერია საუბარში:

– ისე გითხრა რა. თუ გაინტერესებს, ფეხებზე გეკიდია, რას აკეთებდი იქ. უბრალოდ, იმიტომ მოვედით, რომ შერიგება გვინდა. თუ გინდა, შეგვირიგდი, თუ არ გინდა, ნუ შეგვირიგდები.

– ნახე, ყური რა დღეში მაქვს. – აბრაჩამმა თავი მიაბრუნა და გაკერილი ყური დაანახვა. – თორმეტი ნაკერი დამადეს.

– სახლში გააჯვით! – გამოსცრა მილიგანმა.

– არ გინდა, შონ, – თქვა რობიმ, – ვითომ არაფერი ყოფილა. მოდი, შევრიგდეთ.

– მოდი, აბა, ახლოს! – თქვა მილიგანმა და რობისკენ ნაბიჯი გადადგა.

რობი არ განძრეულა.

– ეი, ეი! – არც აბრაჩამს მოუცვლია ფეხი, – რა მოგივიდა, რატომ იძაბები ასე?

– ვინ იძაბება? – გამოსცრა შონმა და აბრაჩამს თვალებში ჩააცქერდა. აბრაჩამი კვლავ უღიმოდა.

მილიგანმა ცხვირზე წაავლო ხელი და მთელი ძალით დაბლა დაქაჩა. აბრაჩამი არ გადალიანებია და თავის დახრა მოუწია. შონი ხელს არ უშვებდა და უფრო დაბლა ახრევიანებდა თავს. აბრაჩამი მუხლებზე რომ დაეცა, მხოლოდ მერე შეეშვა.

აბრაჩამი წამოდგა. მილიგანმა ნიხლი ამოარტყა საჯდომში.

– გააჯვით სახლში! – დაუყვირა.

აბრაჩამ დოილმა ორი ნაბიჯი გადადგა და ისევ წინ დაუდგა. აქ კი მიხვდა შონი, რომ რაღაც ვერ იყო ისე. მაგრამ ხელის უკან წაღება დაგვიანებული იყო – გულზე რევოლვერი ჰქონდა მიბჯენილი.

– შე მძღნერო, შენა! – უთხრა აბრაჩამმა და ესროლა.

მილიგანი ტკივილისგან შეხტა, უკან გადაქანდა... მერე ეგრევე წინ გადაინია და აბრაჩამს მხარზე ჩამოეკონწიალა. დოილმა კიდეც ორჯერ გაისროლა და გამოეცალა. შონი პირქვე დაემხო.

აბრაჩამი დაიხარა, რევოლვერი თავთან მიუტანა, მარცხენა ხელი თვალებზე აიფარა და ბოლოჯერ ესროლა.

გაშეშებული რობს ხელი წაავლო და უკანმოუხედავად გაიქცინა.

შონის ცოლმა გასროლების ხმა გაიგო, მაგრამ გარეთ არ გაუხედავს. შემდეგ რაღაცამ არ მოასვენა ეილისი და ათი წუთის მერე მაინც გაიჭვრიტა ფანჯრიდან. სიბნელეში არაფერი ჩანდა. გარეთ გავიდა და ეზო მოათვალიერა. სახლს შემოუარა და ნაქცეული მამაკაცი დაინახა. ფოთლებში ეგდო, ტანსაცმლით იცნო... ეს ხომ მისი ქმარია. აქ რატომ წევს? ახლოს მივიდა, ჩაიკუცქა. „რანაირი თავი აქვს?“ – გაიფიქრა გონებაამღვრეულმა.

სისხლიანს არც შეხებია, მხოლოდ დაუძახა: „შონ!“ კიდეც ერთხელ: „შონ!“

წელში გასწორდა და სწრაფი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა. მერე გაიქცა – სადმე უნდა დაერეკა, ვინმესთვის შველა ეთხოვა. სირბილისას მექანიკურად დაინივლა და სანამ სახლში შევიდოდა, შედგა, შეშინებულმა უკან მიიხედა, მიაყურადა.

### III

## მსეს ახალი საფიქრალი

მკვლევლობის ადგილს კარგა მანძილით რომ დაშორდნენ, რობმა და აბ-

რაჩამმა ტაქსი გააჩერეს და მდინარე „ლაგანთან“ მიაყვანინეს თავი – ასე ჰქონდათ დაგეგმილი. რევოლუციური მდინარეში გადააგდეს და სხვა ტაქსით თავის უბანში დაბრუნდნენ. ალიბზეც იფიქრეს და კერიკის ლამის ბარში შევიდნენ. აბრაჩამს ძალიან აკანკალებდა, ვერაფრით აიყვანა თავი ხელში.

მორჩა, მილიგანი აღარ იყო და ამ ფაქტს გამარჯვების განწყობა, შურისძიების ეიფორია უნდა მოეტანა. არადა, როგორც ჩანდა, მისი მოკვლით ჯერ ბოლომდე არაფერი იყო დასრულებული. სხვა ხანა დგებოდა. პოლიცია მალე მკვლელობის შესახებ შეიტყობდა. ბოროტებისგან თავის დაღწევის სიხარული მომავლისთვის გადაიდო. პირველ რიგში ფორიაქს და კანკალს უნდა გამკლავებოდნენ. ხვალ და ზეგ კი, როცა გამოძიება მათ კვალს ვერ მიაგნებდა, საბოლოოდ დამშვიდდებოდნენ.

რამდენადაც შეეძლოთ, თავი ხელში აიყვანეს და სასმელი გადაჰკრეს. გარენრის მოკვლას ნახევარი საათზე მეტი არ დასჭირვებია. საკუთარ თავს თვითონვე თუ არ ჩაუშვებენ, მათზე ეჭვს არავინ მიიტანს. დაღევენ და სახლებში წავლენ. ყოველ საღამოს ასე ატარებენ. არა, არაფერი დასცდებათ. სულელები ხომ არ არიან! მკვლელობის სხვადასხვა ვერსიას კმაყოფილებით მოისმენენ, ერთგვარი ირონიითაც. მილიგანის გაგორება ინგლისელებს დაბრალდებათ, ან თვით „ირას“ წევრებს, ან ვინმე სხვას. ნამდვილი მკვლელები კი ესენი არიან, თვითკმაყოფილი გმირები. ყველა ამოისუნთქავს. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, სხვებსაც თუ ეცოდინებათ, სინამდვილეში ვინ იძია შური მათ გამო. მაგრამ ასე ვერ გარისკავენ – ციხეში მოხვდებიან.

სამი ჭიქის მერე რობმა აბრაჩამს სახეზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

– მაგარი საქმე გავაკეთეთ.

დაძაბულობისგან აბრაჩამს სასმელი არ ეკიდებოდა. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და

მხოლოდ ოდნავ შეთვრა. სამაგიეროდ, რობი გამოტყვრა გვარიანად. თავიდანვე ხვდებოდნენ, სიმთვრალე მუდამ დარჩებოდა მათთვის გამოცდად. არაფერი უნდა წამოეროშათ, არც ახლა და არც წლების მერე. მკვლელობის გულში ჩამარხვის გამოცდილება ვერანაირად ექნებოდათ. როგორც ჩანს, მართო გასროლის სიმამაცე არ იყო საკმარისი. უცხო შინაგანი მდგომარეობები ფენა-ფენა დაედებოდა მათ გულსა და გონებას და შეეცდებოდა, ცნობიერება დაებინდა.

– სულ მკიდია, – ამოთქვა აბრაჩამმა, – რაც ხდებოდა, იმას ყველაფერი ჯობს.

– მეც მანდ ვარ, – დაეთანხმა რობი, – ცოტა ხანი გავეუძლოთ და ყველაფერი ჩამთავრდება.

– ძალიან ბევრს ნუ დაღევენ.

– არა, კიდევ ერთ ჭიქას და მორჩა.

– ხელი დამეწვა... აი, ნახე. მგონი იარაღმა ხელი დამინვა, ახლოდან რომ ვესროლე, მაგის ბრალია... თუ რისი ბრალია, არ ვიცი.

– გაგივლის, ნუ გეშინია.

– დაინახე? ხელი წაიღო უკან, სროლას გვიპირებდა.

– ჰო, ეტყობა, მიგვიხვდა.

– თავიდანაც გვიპირებდა და რომ წამოვდექი, მაგის მერეც.

– კიდევ კარგი, დაასწარი.

– როგორ ფიქრობ, იპოვეს უკვე?

რობიმ მხრები აიჩიჩა:

– არ ვიცი... რა ვიცი...

– ეილისი ხომ არ დაგვინახავდა, როგორ ფიქრობ?

– შანსი არ არის, მაგაზე ხომ ვილაპარაკეთ: ფანჯრები არ გამოდის იმ მხარეს და როგორ უნდა დავენახეთ?

– თანაც სიბნელე იყო.

დიდხანს ისაუბრეს და საბოლოოდ დაიმშვიდეს თავი. მოსაკლავი უნდა მოეკლათ და ამას წყალი არ გაუვიდოდა. ბარი რომ დატოვეს, საერთოდ აღარ განიცდიდნენ მომხდარს – უეჭ-

ველი მართლები იყვნენ და მორჩა. იმასაც ხვდებოდნენ, დილით გაღვიძებულებს დღევანდელი მკვლელობა თავს ისევ გაახსენებდა. ჰოდა, მზად უნდა ყოფილიყვნენ.

რობის ბევრი ჰქონდა დალეული და მაინც ზედაპირულად ეძინა. მთელი ღამე ბორგავდა, გაორებული იყო. მთვრალსაც კი ფიქრები აეკვიატა და მთელი ღამე გაანვალა: საქმე პოლიციამდე რომ მისულიყო, ჩაუთვლიდა თუ არა მართლმსაჯულება ამ ქმედებას თავის დაცვად? კითხვა იმდენჯერ გაუმეორდა რობს თავში, რომ ბოლოსკენ ხორციც კი შეესხა – ტვინში გაკვეხებული აბსტრაქტული საგნის ფორმა მიიღო.

დილისკენ ილუზია მეორე აკვიატებულმა ზმანებამ შეცვალა: გასროლის შემდეგ შონი წინ ვარდებოდა და აბრაჩამს კისერზე ეკიდებოდა. ეს ხილვა გუშინდლიდან ასდევნებოდა და გაუთავებლად მეორდებოდა. ვერაფრით მოიშორა, ვერც ბოლომდე გამოფხიზლდა.

არც ნაბახუსევი, არც თავის ტკივილი – ეგრევე დაძაბულს გაეღვიძა. ნორას უთხრა სამუშაოზე მივდივარო და არც უსაუზმია, ისე გავიდა სახლიდან. პორტში მივიდა. უფროსთან გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა, თავი გაითავისუფლა და აბრაჩამს დაადგა სახლში. აბრაჩამი დედასთან ცხოვრობდა და მისის დოილმა უთხრა, ერთი საათია რაც გავიდაო.

„ბიჭების სანახავად წავიდა უეჭველი“, – გაიფიქრა რობმა.

სწრაფად იარა და რაუნდჰილისა და ელბერტბრიჯის გადაკვეთაზე ერთ ძველ ლუდხანაში მივიდა.

ამ სამუშაო დღეს, საეჭვოდ ბევრი ადამიანი შეკრებილიყო ბარში. რობს არავინ მისალმებია, კონი დანს უსმენდნენ გატრუნულნი. აბრაჩამის სახის გამომეტყველებით რობი ვერაფერს მიხვდა. კონი მილიგანზე საუბრობდა და წამებში მონოლილმა ემოციამ მო-

მენტალურად გადაფარა რობის აზროვნება – ნათქვამიდან შინაარსი ვერ გამოიტანა. მცირე პაუზა ჩამოვარდა თუ არა, რობმა მაშინვე წამოიძახა: რა მოხდა, იქნებ, მეც მითხრათო. ბუნებრივად გამოუვიდა. ამ კითხვაზე უფრო დამაჯერებელი გაცემა იყო, მისმა სახემ რომ გამოხატა პასუხის მოსმენისას. შემკრთალმა იმ წამსვე აბრაჩამს გადახედა. იმან თვალელები დახუჭა და თავი ოდნავ გააქნია: არ შეიმჩნიო.

მილიგანი ცოცხალი იყო. ოთხი ტყვიით დაცხრილული სიკვდილს გადაურჩა. ამას ვინ წარმოიდგენდა?! ცოცხალ-მკვდარი რენიმიაციის იწვავს. შიშის შეიკავა თავი რობმა, რომ არ დაეყვირა: ოთხი ტყვია თუ მოარტყეს, როგორღა გადარჩაო. დიდი იყო მისი იმედგაცრუება და ყელში მონოლილ ნერვულ სპაზმს ორი სიტყვა მაინც ამოჰყვა: როგორ გადარჩაო.

კონი დანმა უპასუხა (მან პირველმა შეიტყო ეს ამბავი და მოყოლა არ ბეზრდებოდა): ეტყობა, გულში უმიზნებდნენ და ვერ მოარტყეს. ორი კუჭში მოხვდა და ერთმაც მილიმეტრებში ჩაუარა გულს და ხერხემლიდან გამოუვიდა. მეოთხე ტყვია მკვლელს თავშიც უსვრია და თავის ქალამ აისხლიტა თუ რა მოხდა, გაუგებარიაო. ინგლისელების გაკეთებული არ უნდა იყოს, უფრო პირადულ შურისძიებას ჰგავს – ყველა ბაცანა ნაბიჭვარს ახლა იარალი უდევს ჯიბეშიო.

დაჭრილისადმი დიდი თანაგრძნობა ნამდვილად არ შეიმჩნეოდა. შეკრებილნი ორმაგ თამაშში იღებდნენ მონაწილეობას. გულის სიღრმეში სასიამოვნო შევებას გრძნობდნენ, ხოლო გარეგნულად კი სერიოზული ეჭირათ და საქმიან წინადადებებს სთავაზობდნენ ერთმანეთს: ვინ შეიძლება ყოფილიყო მსროლელი, სად ეძებნათ, როგორ ეპოვათ და ა.შ. ასე ვთქვათ, მარტივი როლები ჰქონდათ მორგებული. ვილაცაზე თავდასხმის მორიგი ბელფასტური თავგა-

დასავალი იყო, ლაპარაკის საბაბს რომ იძლეოდა, მკვლელობის მორიგე, უფრო ყურადსაღებ შემთხვევამდე.

გორმანი ასხლეტილ ტყვიაზე დაფიქრდა და ვერ გაიხსენა, რა ადგილას მოხვდა ის მილიგანს: შუბლში, საფეთქელში, თვალში თუ სად? როცა აბრაჩამმა თვალეზე ხელი აიფარა, რობმაც მექანიკურად იგივე გააკეთა. გაქცეულმა უკან მიიხედა წამით და გასისხლიანებული კეფა დაუნახა... სულ ეგ იყო. ესე იგი, გადარჩა მაინც.

რობმა რამდენჯერმე ჩამოისვა ხელი სახეზე. გულისცემა გაუხშირდა. შეშინდა, რამე არ იყნოსონო. ვის რა უნდა გაკვირვებოდა ანდა ეჭვი რატომ უნდა გასჩენოდათ? იფიქრებდნენ, იმიტომ „ნერვიულობს“, გულგრილობის შენიღბვას ცდილობსო. ისედაც, როცა ოთხი ტყვიით დაჭრილ, თავისქალაახდილ ნაცნობზე გიყვებიან, შეიძლება სუნთქვა მართლა შეგეკრას და ტირილიც მოგინდეს.

ბიჭებს მილიგანის მონახულება ჰქონდათ გადანყვებილი. რეანიმაციაში თუ არ შეგვიშვეს, გარეთ დავდგეთ და ვინმე ამბავს გამოიტანსო, – მოილაპარაკეს და დაიშალნენ.

რობსა და აბრაჩამს სანერვიულო გაუჩნდათ. არადა, იმ ღამეს ყველაფერი სწორად გააკეთეს. მეტი რა ექნათ? გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, არ ელოდნენ. იმედი ჰქონდათ, ვერ გამოძვრებოდა და მოკვდებოდა. სინდისის უცნაური ქენჯნა კვლავ მილიგანის ჩაკვლის სურვილმა ჩაანაცვლა. რომ გადარჩენილიყო, ამათ ჩაუშვებდა. პოლიციასთან თუ არა, თავის საძმოში ჩაუშვებდა და მორჩა. რალა იხსნიდათ მილიგანის შურისძიებისგან? არა, აქამდე საქმე არ მივიდოდა – სიკვდილს ვერ გაექცეოდა. შეუძლებელია, თავში მოხვედრილი ტყვიით დიდხანს ეცოცხლა.

აბრაჩამი განიცდიდა, ეს როგორ მომივიდა, თუნდაც ბოლო ვაზნით რომ ვერ მოვკალიო. თავში ატრიალებდა სროლის

ეპიზოდს და ნატრობდა, თავიდან ესროლა. სურდათ, სწრაფად დამდგარიყო სალამო და კლინიკის მორიგე ექთანს მათთვის ინფორმაცია დაეხვედრებინა: სწორედ ახლახან გარდაიცვალაო.

როგორც ხდება ხოლმე, დრო გაინელა. მეგობრებმა ველარ მოითმინეს და „წმინდა პატრიკის კლინიკაში“ დათქმულ დროზე ადრე მივიდნენ. შორიასხლოს დაინყეს ბოდიალი. შემდეგ სხვებიც გამოჩნდნენ და მისაღებში ერთად შევიდნენ.

პაციენტი ცოცხალი იყო, მაგრამ ვერც თვალს ახელდა და ვერც ინძრეოდა. რეანიმაციაში მხოლოდ დედა და ცოლი შეუშვეს. მისის მილიგანი ინტენსიური თერაპიის ოთახიდან დათრგუნვილი და ნამტირალევი გამოიყვანეს. ეილისს არ უტირია, შონის დედას ამშვიდებდა. ლოდინის გარდა, არაფერი დარჩენოდათ. კიდეც, ალბათ, ლოცვა.

იმავე სალამოს რობი აბრაჩამს გამოუტყდა: შონის დედის შემეყურე, მცირე ხნით სულ ამომივარდა თავიდან, ამ ამბის უშუალო მონაწილე მეც რომ ვიყავი და თანაგრძნობა გამიჩნდა ქალისადმიო. ეს მაშინ კი არ მოხდა, ქალბატონმა მილიგანმა როცა წამოიტირა: უხეში იყო ჩემი ვაჟი... მინდოდა, დაეხმარებოდი და ვერაფრით დავეხმარეო. არამედ, მერე, ყველანი როცა დაიშალნენ და მხოლოდ მისის მილიგანი დარჩა ღამის გასათევად, სკამზე მჯდომი, თავჩაქინდრული. რობს გაუფიქრებია: საშინელი განცდაა შვილის სიკვდილიო. აბრაჩამმა მხრები აიჩეჩა, არაფერი უპასუხა. არ სურდა, მსგავს სენტიმენტალურ გრძნობებს რომ აჰყოლოდა. რა დროს ეს იყო – ბენზე ეკიდნენ.

მოკლედ, ბიჭების ცხოვრებაში უცნაური დრო დადგა – ლოდინის ხანა. კომპი მყოფი მამაკაცის გარშემო ადამიანები ორ ჯგუფად დაიყვნენ: ერთნი მის გამოჯანმრთელებაზე ლოცულობდნენ, მეორენი – სიკვდილზე. უცნაური ამაში არაფერი იყო. მოვლენებიც ბანალური დეტექტივის

დარად ვითარდებოდა. მწერალი ცდილობს, მკითხველს ორიგინალური სიუჟეტი შესთავაზოს, ისეთი რამ მოიგონოს, რაც მანამდე არ ყოფილა და ამით დააინტერესოს. ცხოვრებაში კი ყველაფერი ბანალურია. ყოველი დღე ბანალურია, ყოველი მისაღება, ყოველი სადილი. სამსახური მოსაწყენი ხდება. ღამდება და წვები ლოგინში – ან ფხიზელი, ან ნასვამი. ანდა სულაც გაღეშილი. დილით სადმე მიდიხარ. ხვდები, რომ მეტი აღარ შეგიძლია, მაგრამ მაინც მოძრაობ. გეშინია, თუ გაჩერდები – უფრო ცუდად გახდები.

ვილაც პატარა ნაკანრის შედეგად კვდება. ზოგს მთელ მჭიდს დააცლი და ვერ მოკლავ. იმისი არ იყოს: ერთი თითს არ ანძრევს და მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილია. მეორე კი წელეზე ფეხს იდგამს და მაინც მუდამ მშვიდია. ეს როგორც კი გვახსენდება, სამყაროს მაშინვე უსამართლობაში ვადანაშაულებთ. გვაფინყდება, რომ ასე იყო ყოველთვის. არალოგიკურობა მუდამ თან სდევდა კაცობრიობას. იქნებ, დრო მოვიდა, უსამართლობის უკან სამართლიანობა რომ დაგვენახა?

ისე რომ, თუ მტერს ოთხ ტყვიას დაახლი და ბოლომდე ვერ მოკლავ, ძალიან არ უნდა გაოცდე.

ერთი კვირის თავზე დაჭრილის მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა.

რობმა და აბრაჩამმა იმაზე დაიწყეს ფიქრი, შონის სახლთან წამოწყებული საქმე კლინიკაში როგორ ჩაემთავრებინათ. როცა საქმე ინელეგა და ბოლო არ უჩანს, ადამიანს მოთმინება ღალატობს და ხშირად არასწორ გადაწყვეტილებას იღებს. რობსა და აბრაჩამს დიდი არჩევანი არ ჰქონდათ – რეანიმაციაში განმეორებითი თავდასხმა მათი დაპატარებებით დასრულდებოდა. დაგეგმვის მცდელობა ჰქონდათ და ბევრი ვერაფერი მოიფიქრეს. მანამდე უნდა მოესწროთ, სანამ აზრზე მოვიდოდა და ხმას ამოიღებდა. გონზე მოსულს გამომძიე-

ბელი ეგრევე ჰკითხავდა: ვინ ვეძებოთ? კომიდან გამოსულს კარგიბიჭობის თავი სად ექნებოდა, კითხვას ალაღად უპასუხებდა და ამით ჩაუშვებდა – ასე სულელურად დასრულდებოდა ეს ამბავი. იყო ვარიანტი, თვალგახელილს აღარ ხსომებოდა, ვინ ჩაუსაფრდა. ასე ხშირად ხდება, როცა ავადმყოფი მექანიკურად ივინყებს კომმარს. აბრაჩამის ერთ ნათესავს ინგლისელი ჯარისკაცების შემოტევის დროს უკანა სვლით წამოსული ავტომობილი დაეტაკა და გადაუარა. გადარჩა, თუმცა იმ დღის შესახებ არაფერი ახსოვდა: სად იმყოფებოდა, რა დაეტაკა, რა დაემართა... არაფერი. მოგვიანებით გაიხსენა ცალკეული ფრაგმენტები.

ეს ვერსია არ გამოდგებოდა – მილიგანის მეხსიერებაზე გამოვიდოდნენ დამოკიდებულნი. რანაირი დამპალიც არის, ისეთი დამპალი მეხსიერება ექნებაო, დაასკვნეს.

პალატაში რომ შეეღწიათ, იქ ბალიშით უნდა გაეგუდათ ან თავში რამე ჩაერთყათ – სროლას ვერ შეძლებდნენ... იარაღიც აღარ ჰქონდათ. შონ მილიგანი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და ასევე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ გორმანი და დოილი. ტვინის ქყელეტის მერე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ლოდინი ჯობდა. ექიმმა ხომ თქვა, გამოჯანმრთელების მცირე შანსიაო. გამოჯანმრთელებამდე კი არა, ხელის აწევამდეც არ უნდა მისულიყო საქმე – თითების ამოძრავება და კარგად იყავით, რობ და აბრაჩამ.

ორი კვირა გავიდა და შონი კვლავ ვერ მოვიდა გონზე. ბიჭებმა სანყისი ნერვიულობა გადააგორეს, განცდების ინტენსივობამ იკლო. უფრო ხშირ-ხშირად ივინყებდნენ საფრთხეს. გაურკვეველობა თავს თუ ახსენებდათ, იქვე, ვინმესთან დარეკვით ანდა უბანში გაკითხვით რწმუნდებოდნენ, რომ კვლავ ლოგინში ეგდო და ისევ მშვიდდებოდნენ.

გაურკვეველობა საშინლად მომაბეზრებელი გახდა. მაგრამ მუდმივი არაფერია

– ცოტაც და, ხიფათი ჩაივლიდა.

სროლიდან სამი კვირის თავზე დაჭრილი სპეციალურ პალატაში გადაიყვანეს, სადაც ისევ აპარატზე ჰყავდათ მიერთებული.

კლინიკაში მისი შეყვანიდან თვენახევრის შემდეგ უბანში ხმა გავარდა: მილიგანმა თვალი გაახილაო.

„თვალი გაახილაო“ იმას ნიშნავდა, რომ თვალეები გაახილა და მეტი არაფერი: კვლავ დუმდა, ხელს და ფეხს ვერ ანძრევდა. კლინიკა მნახველების მიღებას დათანხმდა, ოღონდ პალატაში ზედმეტი ხმაურის გარეშე. დღეში მხოლოდ ორი საათი.

საძმომ მისი ნახვა გადანწყვიტა. რობი და აბრაჩამიც შეუერთდნენ – რა მოასვენებდათ, ახლოდან უნდა ენახათ, თვალეებში ჩაეხედათ.

პალატაში ცალ-ცალკე შედიოდნენ: თითო-თითო ან ორ-ორი. შონის დედა თავთან ეჯდა შვილს. ღამლამოხით ეილისი ენაცვლებოდა. მილიგანს, სულ ცოტა, ათჯერ მაინც ჰყავდა ეილისი სერიოზულად ნაცემი. ერთხელ ისეთი ურტყა, მთელი სხეული დაუღურჯა, სახე დაუსია, თვალი კინალამ ამოუგდო. ძველ ბიჭზე შეყვარებული ყმანვილი ქალი კარგა ხანი ვერ ახერხებს მასში მხეცის ამოცნობას. მამაკაცის ძალადობისკენ მიდრეკილებას სიმამაცისა და ვაჟკაცურობის გამოვლინებად მიიჩნევს. ერთ მშვენიერ დღეს, კარგა გვარიანად ნაცემი, ქმრის ავადმყოფურობას აღმოაჩენს. გააცნობიერებს, რომ მისი გარე სამყაროსადმი უხეში და ძალადობრივი დამოკიდებულება სულაც არ ყოფილა მამაკაცურობის ნიშანი. ქალზე თავდასხმები ისეთი ხასიათისაა, რომ გაუგებარია, რა მომავალი შეიძლება ჰქონდეთ ამის მერე ერთად. მომავალი კი არა, მამაკაცი სულ უფრო მეტად ემსგავსება მანიაკს – გასდის და მადაც ემატება. დაუსჯელობა ჩაგვრის სურვილს კვებავს. მორჩა, ქალი დაშინებულია... რამდენ ხანს გაძლებს ასეთ

მდგომარეობაში? მილიგანი აქაც ახერხებს, მიაძინოს ცოლის წინააღმდეგობის გრძნობა – ყოველდღე არ ესმის ქალს. ხშირად თბილადაც ესაუბრება და საინტერესო სექსიც აქვს მასთან. ანუ ქალი ვერ ასწრებს მამაკაცის შეზიზღებას... მალე ეს გრძნობაც მოვა. ამის მერე კი – სამაგიეროს გადახდის სურვილი.

ცოლის სტაბილური ცემა სულ მალე რიტუალში გადადის, რომელშიც მამაკაცი ბავშვებსაც დიდი სიამოვნებით ჩართავდა, რომ ჰყოლოდა.

წარმოიშობა ჯოჯოხეთი. ქალიშვილი იმედგაცრუებულია. უფრო მეტიც, სასონარკვეთილია, თავის მოკვლა სურს, გაქრობა სურს. აღარავინ ჰყავს გვერდით: არც საყვარელი მამაკაცი, აღარც ქმარი. ამ მხეცისგან ბავშვის გაჩენაზე არც კი იოცნებებს. მშობლებმაც ხელი დაიბანეს. ქალი განადგურებულია.

ჩვენ არ ვიცით, რა ეტაპზე იმყოფებოდა ეილისი. უმწეო ქმრის დანახვაზე ზიზღმა, ალბათ, გადაუარა კიდეც. ერთი ცხადია, მის ფსიქიკაზე და სულზე არავინ ფიქრობდა. ქალი თავის მოვალეობას ინერციით ასრულებდა. მისი თავისუფლება ისევ და ისევ ძალღმვილ მილიგანს ეწირებოდა. და არ ვართ დარწმუნებულნი, ეილისი ამას ბოლომდე რომ აცნობიერებდა.

რობი და აბრაჩამი პალატაში ერთად შევიდნენ და შონის დედას თავის დაკვრით მიესალმნენ. ქალმა ღიმილით უპასუხა. დადარდიანებული ჩანდა და დაღლილმა გვერდით გაიხედა – არ იყვნენ ესენი მისი შვილის ახლო მეგობრები – არ ჰქონდა ლაპარაკის თავი.

ბიჭებმა მომაკვდავისკენ გაიხედეს. ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. რობს საკუთარი თავის უკვირდა – მსხვერპლთან ფეხაკრეფით მიპარვაში ნამდვილად არ იკითხებოდა მათი სიმართლე. რა ემართებოდათ? ემინოდათ, რომ დაჭრილს უცბად არ ეკითხა: ეს რა მიყავით, ასე როგორ გამიმეტეთო?

ვერ გამოიყურებოდა შონი კარგად: თვალები ღია ჰქონდა, ქერში იყურებოდა, არ ახამხამებდა. ფერმკრთალი იყო. სახე უფრო გამკაცრებოდა და დაღარვოდა. თავი შუბლიანად, წარბებიანად შებინტული ჰქონდა. პალატის სივრცე იმდენად დამთრგუნველად ზემოქმედებდა რობზე, რომ უკან მიტრიალება განიზრახა. ისედაც მძიმე გარემოს მილიგანის დედაც ამძაფრებდა თავისი გამჭოლი მზერით. რობს გაუელვა: დედამისმა სიმართლე ხომ არ იცისო... როგორც კი ქალმა გვერდით გაიხედა, რობი დამშვიდდა, გაიფიქრა, რა სისულელეა, საიდან უნდა იცოდესო.

მილიგანის თავთან გაჩერდნენ.

– როგორ ხარ? – ჰკითხა აბრაჩამმა.

შონმა მზერა აბრაჩამისკენ გადაიტანა.

– გვიცანი? – ჰკითხა ისევ აბრაჩამმა.

– გიცნობ, ბიჭებო, ყველას ცნობს,

– თქვა მისის მილიგანმა. წამოდგა და კოჭლობით, თითქოს ფეხი აქვს დაბუყებულიო, კარისკენ წავიდა და პალატიდან გავიდა.

უეცრად ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდათ, მარტონი დარჩნენ. რობმა იფიქრა, აბრაჩამი რამეს დაითრევს და გაგუდავსო. არ იყო ამის გამკეთებელი. ისედაც რამდენიმე წუთი ჰქონდათ მხოლოდ.

– ნურაფერს ეტყვი, – ჩასჩურჩულა რობმა აბრაჩამს, – იქნებ, მართლა არაფერი ახსოვს.

– გახსოვს, რა მოხდა? – ჰკითხა აბრაჩამმა, დაიხარა და თვალებში ჩააცქერდა. ასე უყურებდნენ ერთმანეთს ათიოდე წამი. აბრაჩამი გასწორდა და თქვა:

– ახსოვს, რაც მოხდა.

– საიდან მიხვდი?

– ეგრე მგონია... დარწმუნებული ვარ.

– თვითონ როგორ გვექცეოდა, ის თუ ახსოვს?! – წამოიყვირა რობმა, – ჩვენ არ გვინდოდა შენი მოკვლა! უბრალოდ, ყელში ამოხვედი, ხომ გესმის! ყველაფერი თავიდან რომ დაიწყოს, აღარ გესროდით. შენც კარგად მოიქცეოდი, ალბათ,

მაგრამ აღარაფერი დაიწყება თავიდან. შენი ბრალია, იცოდე. სხვა არჩევანი არ გვექონდა!

ავადმყოფმა რობს გადახედა. იმან თვალი აარიდა.

– წამოდი, წავიდეთ, – თქვა აბრაჩამმა, – აქ ვერ გავჩერდები.

პალატიდან გავიდნენ და მალევე დატოვეს იქაურობა.

ნახევარი წელი გავიდა და მომაკვდავის მდგომარეობა არც გაუარესდა და არც გაუმჯობესდა. თვე თვეს მიჰყვებოდა – ლოდინი რთული ყოფილა. ერთთავად მილიგანზე ფიქრობდნენ, ვერ ივინყებდნენ. მასზე გახდნენ დამოკიდებულნი, ერთმანეთს გადაეჯაჭვნენ.

ექიმის დასკვნა, რომ სამუდამოდ ლოგინად იქნებოდა ჩავარდნილი, მალამოდ ედებოდათ გულზე. და მაინც, შონ მილიგანი კვლავ რჩებოდა ნაღმად, რომელიც შეიძლება მოულოდნელად აფეთქებულიყო. ძალაში იყო განმეორებითი მცდელობა საბოლოოდ მოკვლისა. თუმცა დაგეგმვის თავი აღარ ჰქონდათ. ხელახალი თავდასხმა მილიგანზე მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. სანოლზე გამოტილი რომ ნახეს, ახალი მცდელობის სურვილი გაუქრათ. ერთია, ესროლო მოძრავ ნაბიჭვარს, შენკენ რომ იწევს, და სულ სხვაა აპარატზე მიერთებული მტრის გაგუდავა. რისხვა გაუნელდათ, ინერტულნი გახდნენ.

უბანში ვარიანტი შეაგდეს, ხომ არ აჯობებდა, აპარატი გამოურთონო. პასუხად მიიღეს: მისის მილიგანი ამაზე არასოდეს წავაო.

ახლა მეორე, არანაკლებ ყურადსაღები თემა – ბელფასტის პოლიცია დამნაშავეს ეძებდა. მართალია, დიდ წარმატებას ვერ აღწევდა, ჯერ არც მონმე ჰყავდათ, ვერც მკვლევლობის იარაღს მიაგნეს. ისეთი პირი უჩანდა, გამოძიება დიდხანს გაინელებოდა. მილიგანის ნათესავები და მეგობრები დაკითხეს.

ხმა დაირხა, თითქოს ხელმოსაჭიდი იპოვესო. ბიჭებთან არავინ მოსულა, დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ. როგორც ჩანს, არც ბარში ჩხუბის ამბავი ამოტივტივებულა. არადა, ბევრმა დაინახა აბრაჩამის ჩამოხეული ყური. ადრე ამ შემთხვევას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ახლა ფიქრი დაიწყო, რომ დაგვეკითხონ, რა ვუპასუხოთო.

მილიგანის ძმაკაცები ერთ ტიპს ეძებდნენ, რომელთანაც შონს სერიოზული დაპირისპირება ჰქონდა. ის რომ დამნაშავე არ იყო, რობმა და აბრაჩამმა ყველაზე კარგად იცოდნენ, მაგრამ ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ. ანუ გარიგებაზე მიდიოდნენ სინდისთან.

თუ აქამდე მილიგანის მძიმე ხელის უნდა შინებოდათ – თავში და კეფაში რომ ხვდებოდათ დაუნდობლად – ახლა იგივე ხელისადმი სხვანაირი შიში გაუჩნდათ: ხელის თითები შეიძლება ამოძრავებულყო, კალამი მოეთხოვა და დამნაშავეს სახელები გამოეყვანა ფურცელზე. მილიგანის პირი ყოველთვის გინების წყარო იყო, მაგრამ, იმავე ტუჩებს მათი სახელები რომ წარმოეთქვა, შონი რომ ალაპარაკებულყო, თუნდაც თვალდახუჭული და ძილში – აი, ეგ იქნებოდა დალუპვა. ორი მკვლელი ბენვის ხიდზე შედგა.

გაიმეტებდა თუ არა ბარში ჩხუბის მერე მილიგანი მათ მოსაკლავად? რომ არ ესროლათ და ისე დაშორებოდნენ, დამცირებულნი და წაგებულნი, გადაუხდოდა შონი სამაგიეროს?

ალბათ, არა. დიდი-დიდი, მომავალში ეცემა ორივე. ხომ არ ჯობდა, ნაცემები და შეურაცხყოფილნი ყოფილიყვნენ, ვიდრე ასეთ მდგომარეობაში, როგორც ახლა?

წარსულშივე უნდა გასცლოდნენ. როგორ ვერ მოიფიქრეს, წასულიყვნენ, გაქცეულიყვნენ, სხვა ქალაქში დაეწყოთ მუშაობა. მანამდე გაეკეთებინათ ეს, სანამ ბარში მუშტებს დასცხებდნენ. როგორც კი გაიგეს დედაქალაქში დაბ-

რუნდაო, უნდა მიეტოვებინათ საცხოვრებელი და დამტყდარიყვნენ. როგორ ვერ მოტვინეს?

სანოლს მიჯაჭვული გარენარი ორმაგად საშიში აღმოჩნდა მათთვის.

ახლა გაქცევაც ველარ უშველიდათ. სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუ ის პალატაში ოკრობოკრო ასოებს გამოიყვანდა, ველარსად დაიმალებოდნენ. ორი საპირისპირო განწყობა გამოიკვეთა: შონის საბოლოოდ ჩაჩუმების და იმავდროულად, შეცოდების.

ერთმანეთს ვერ უტყდებოდნენ, თორემ სულ უფრო უჭირდათ მილიგანის მხეცობის გახსენება. სიბრალოელი დანაშაულის გრძნობას უმძაფრებდა ორივეს. გამოდიოდა, მუდამ უნდა ხსობებოდათ მისი ბოროტი მხარე, დამნაშავეებად რომ არ ეგრძნოთ თავი. უმრეტი შურისძიების წყურვილით უნდა ყოფილიყვნენ მონამლულნი, განმსჭვალულნი და გაუხეშებულნი, მომავალი რომ ჰქონოდათ. აი, ბავშვობაში სემ ტაუერმა ვაშლი სთხოვა შონს, ცოტა დამიტოვე ბოლოშიო, და გვერდით რომ გაიხედა, ნახევრად გამოჭმულ ვაშლში თხუთმეტი წლის მილიგანმა ჩუმად ჩაანერწყვა, ისე, რომ სემს არც დაუნახავს და გაუნოდა: აჰა, გემრიელად მიირთვიო. ხელი აუკრა აბრაჩამმა სემს და გადააგდებინა ვაშლი. ვერ მიხვდა სემი, რატომ მოიქცა ასე აბრაჩამი და მოსდო ყბაში. ჭიდაობით გაგორდნენ ძირს ბიჭები. არასოდეს უთქვამს აბრაჩამს, რა სიდამპლე გაუკეთა შონმა. შონი კი დამცინავად ახსენებდა სემს, გახსოვს, ვაშლი როგორ გადაგაგდებინაო.

გაიხსენეს დიგ ბირნი, აზარტული თამაშების დიდი მოყვარული, რომელმაც გვარიანი თანხა წააგო ვილაც პოლ ბერკთან და ვერაფრით ახერხებდა ვალის გასტუმრებას – რომ არა შონი. მილიგანმა აიძულა პოლი, ისევ დამჯდარიყო სათამაშოდ და იმაზე მეტი მოუგო, ვიდრე დიგს ჰქონდა წაგებული. გაუბათილა დიგის ფული და რაც დარ-

ჩა, იმით სასმელი იკისრა. შენთან ვალში ვარო, უთხრა დიგმა შონს, გადაგიხდი სიკეთითო. შენი სიკეთე რად მინდა, შენი და მომატყვენევი, მაინც მთელი ქუჩა ტყნავსო, უპასუხა მთვრალმა შონმა მთელი ლუდხანის გასაგონად და როცა პოლი წამოუხტა, მიარტყა და წინა ორი კბილი ჩაუმტვრია. მეორე დღეს ბოდიში მოუხადა, მთვრალი ვიყავი, მაგრამ შენი დის მოტყვნა მაინც მაგრად მინდაო. პოლი ველარ შეეპასუხა, ძალა აღარ ეყო, თან ვალში იყო და დამცირებული გაეცალა.

#### IV

### ისევ ისე

ზმანება არაფრით ანებებდა თავს უძილობით განამებულ რობს. ალიონზე რის ვაი-ვაგლახით ჩაძინებულს მილიგანი ელანდებოდა, გადმოკარკლული თვალებით აბრაჩამს რომ ეცემოდა, გაკვირვებული და ჩაჩუტული, რეზინის თოჯინასავით. უძილობა ექვს თვეს გრძელდებოდა. რობმა ველარ მოითმინა და აბრაჩამს გამოუტყდა, მილიგანის აჩრდილი არ მეშვებაო. იმან დასაძინებელი უშოვა და როცა სვამდა, მხოლოდ მაშინ იძინებდა ღრმა ძილით. „წინ გადავარდნილი შონი“ მალე სხვა ზმანებას შეცვალა: ლოგინში მწოლიარე მილიგანი ტანით რბილად წამოიწეოდა ხოლმე და წამომჯდარი მისკენ იყურებოდა. აბრაჩამს არ გაკვირვებია რობის ხილვები, როგორც ჩანს, თვითონაც შეპყრობილი იყო რაღაც მსგავსით.

ორი წელი გავიდა. შონის დედა გარდაიცვალა. მცენარედ ქცეული მილიგანი კი ისევ იქ იწვა და ჭერს ასცქეროდა. ვერავინ ჩასწვდებოდა მის აზრებს. შეიძლება ნანობდა კიდეც, თავისი ცუდი ხასიათის მსხვერპლი რომ გახდა. იქნებ, არც განიცდიდა სინდისის ქენჯნას და ერთი სული ჰქონდა, წამოწეულიყო საწოლიდან, ფეხზე ამდგარიყო, თოფი

აელო და აბრაჩამს დადგომოდა სახლში. ვინ იცის, როგორ ნანობდა, ბარში რომ შეაჩერა თავისი მეგობრები... ანდა თავის სახლთან რომ ვერ მოასწრო და ვერ დასცხო გორმანს და დოილს პისტოლეტიდან.

რამდენი წელი უნდა იწვეს ასე, საკუთარი დანაშაული რომ გამოისყიდოს? ალბათ, როცა ბოლო დანაშაულსაც გამოისყიდის, ეგრევე კარგად გახდება და ფეხზე წამოდგება. ჯერ არ გამოუსყიდია, თორემ რატომ წევს, რატომ ვერ დგება?

ქალბატონი მილიგანი ისე გარდაიცვალა, უარზე იყო შვილის ევთანაზიაზე. მისი გარდაცვალების მერე აღარავინ ლაპარაკობდა აპარატის გამორთვაზე. ეილისი ყოველ მერე ან მესამე დღეს მიდიოდა ქმართან. მერე ნელ-ნელა მოუიშვიათა, კონტაქტში ვერანაირად შედიოდა. ევექი თავთან და იყავი ჩუმად. ანდა ელაპარაკე და საპასუხოდ ელექტრონული ხელსაწყოების ჩურჩულს უსმინე. რამდენი ხანი გაქაჩავ ასე?

ორი წლის თავზე კი ეილისმა რომანი გააბა აბრაჩამთან. ჯერ ჩუმად, მერე ყველას დასანახად.

მძიმე წარსული ჰქონდა ქალს, განვალდა და ახლა, იქნებ, თავიდან აენყო ცხოვრება. ყმანვილი ქალი იყო, ეშხიანი. ქმრისთვისაც ბევრი გააკეთა, არასოდეს უცდია, სამაგიერო გადაეხადა. პირიქით, დაივიწყა კიდეც მისი ცუდი. ვერავინ გაამტყუნებდა. არც აბრაჩამთან ურთიერთობის დროს ივინყებდა ქმარს, ისევ მოუხშირა ნახვებს. ამბობდნენ, აბრაჩამიც რამდენჯერმე ახლდა ეილისს, პალატის კუთხეში იდგა და ხმას არ იღებდაო.

თითქოს ადამიანები არ იცვლებიანო და აი, მეგობრობა წამდვილად ქრება. მამაკაცი ცდილობს, ძმაკაცები დააჯეროს, თქვენთან ვარ ბოლომდე გახსნილიო, მაგრამ მზრუნველი ქალი მისი მთავარი მესაიდუმლე ხდება – ასეთი კანონი ჰქონია ცოლქმრობას. გამონაკ-

ლისი ბორხესის მოთხოვნის პერსონაჟი ძმები არიან, ორს ერთი ქალი რომ ჰყავს და როცა აღმოაჩინენ, ეს ქალი მათ ძმობას საფრთხეს უქმნის (სინამდვილეში, თავისთვის არის, ორივეს უვლის, ემსახურება) – ადგებიან და მოკლავენ: დაუნდობლად, საქმიანად, სამხრეთულად.

თუ მართლა შეუყვარდა ეილისი, მაშინ ტვინი რატომ უნდა ვიჭყლიტოო, ფიქრობდა რობი. აბრაჩამი გაურბოდა მას, საუბარს ერიდებოდა და მოკლედ პასუხობდა: ყურებამდე ვარ შეყვარებულიო. გამორიცხული არაფერი იყო, აბრაჩამი ეილისს ხომ დიდი ხანია იცნობდა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შონს გაჰყვებოდა ცოლად. დიდი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ქალით. თანაც დარდობდა, ეს ვის გაჰყვა ცოლადო.

მართლა შეყვარებული იყო დოილი? ალბათ, სიყვარულს დანაშაულის გამოსყიდვის სურვილიც დაერთო – დახმარებოდა ქალს, რომელიც დედამთილის გარდაცვალების შემდეგ მარტო დარჩა სახლში, შვილების გარეშე, წარსულში განცდილი ტკივილით და უპერსპექტივო მომავლით.

იყო სხვა ვერსიაც, რომლის განხილვას რობი გაურბოდა: აბრაჩამი განაგრძობდა შურისძიებას შონზე და რადგან ვერ მოკლა, მისი ცოლის დათრევას ეცდებოდა. აბრაჩამი ბოროტი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ყველაშია სიბოროტე და თუ არ აკონტროლე, ისე წამოიზრდება, ვერც მიხვდება. სხვა გრძნობით შენიღბავ, თავს გაიმართლებ და მასზე ააგებ მომავალს. იქნებ, მისი გზა საბოლოო გამარჯვებისკენ ეილისზე გადიოდა?

რობს არ ჰქონდა წაკითხული „დანაშაული და სასჯელი“. შესაბამისად, კითხვა, რომელიც თავში მოუვიდა, არ ყოფილა რასკოლნიკოვის ტიპაჟით ინსპირირებული, თვითონ დაებადა: აბრაჩამის ეილისით დაინტერესება ხომ არ იყო განპირობებული დამნაშავის

დანაშაულის ადგილზე დაბრუნებით? ეს გრძნობა ხომ რობსაც ეძალებოდა, მისულიყო სროლის ადგილზე. და ის მართლა დაბრუნდა იქ, ორჯერ. მარტოკამ შეათვალა იერა დანაშაულის ადგილი. მაგნიტივით იზიდავდა ეს არაფრით გამორჩეული სივრცე – მილიგანის სახლის უკანა ეზო. ალბათ, აბრაჩამიც იმავე ხაფანგში გაება. როგორც ჩანს, დიდი ეზოს მონახულებამ ვერ დააკმაყოფილა, ცოცხალ ადამიანთან ურთიერთობას ეძებდა. ბიჭების გაქცევის მერე ეილისი პირველი იყო, სახლის უკანა კედელთან ვინც მივიდა. პირველივე გასროლაზე რომ გასულიყო, შეიძლება დაენახა კიდევ, როგორ გარბოდნენ მკვლელები ხეებს შორის. გაქცეულებს თვალი ვერ მოჰკრა, თუმცა იმ სცენის ბოლო ეპიზოდში მონაწილეობა მიიღო. თუ მსროლელი როდესმე აღსარებაზე წავიდოდა, ეილისიც უნდა ეპოვა და თავი ჩაექინდრა მის წინაშე. ამიტომაც გადაიკვეთა მათი გზები.

მხოლოდ ერთხელ წამოსცა მგობარს მზაკვრული გეგმა, რომელიც სასონარკვეთილი დამნაშავის ბოძვას უფრო ჰგავდა. ამ გეგმის მიხედვით, აბრაჩამი ეილისს შონისგან მიყენებული ძველი ტკივილის გახსენებაში უნდა „დახმარებოდა“. რაც, ყელში ამოსულ მოვალეობასთან ერთად, შურისძიების წყურვილს დაბადებდა ქალში. რის შემდეგაც აბრაჩამი, ეილისის დახმარებით, სულაც მისი ხელით – კიდევ ერთ მკვლევლობას დაგეგმავდა. ეს ვერსია აბრაჩამმა მაშინ წამოჭრა, როცა ძმაცალები მილიგანის საავადმყოფოში მოკვლის რეალურობას წონიდნენ. დოილმა სხვათა შორის თქვა, ეგ ქალი ქმარს ხშირად ნახულობს და ეჭვს არავინ მიიტანსო. რობმა ვერ დაიჯერა, მეგობარს ასეთი გეგმის შეთავაზება თუ შეეძლო. განაწყენებულმა ხელი აიქნია და იქვე უარყო იდეა:

– თუ ეილისთვის მაინც დააპირებ რამის მოყოლას, მე არ გამრიო, გეს-

მის! მარტო შენ იყავი იმ ღამეს. მე იქ არ ვყოფილვარ!

– სიმართლე რომც ვუთხრა, ნაღდად აღარ ჩამიშვებს. ხომ იცი, თვითონაც ეზიზღება.

– არა მგონია, ეზიზღებოდეს.

– გეუბნები, ეგრეა. მისი ატანა არა აქვს, ყელში ამოუვიდა.

– კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი! – მიანვა რობი, – ყველაფერი იქით მიგყავს, რომ, როგორც ჩანს, სიმართლის თქმას აპირებ მაგ ქალისთვის. ჰოდა, შენს თავზე აიღე ყველაფერი, მე არ გამრიო!

რობი ხვდებოდა, თუ აბრაჩამი ეილისთან ურთიერთობაში ძალიან ღრმად შეტოპავდა, საიდუმლოს ვერ შეინახავდა და გამოუტყდებოდა ქალს. ასეთ დიდ ტვირთს აბრაჩამი გულში ვერ დამალავდა. არ არის გამორიცხული, ეს ყოფილიყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც დაიხლოვა აბრაჩამმა ეილისი. გაანდო საიდუმლო თან უცხოს და იმავდროულად ახლობელს – მძიმე ტვირთის მოხსნას ნიშნავს.

რობს უკვირდა, რამდენი მიზეზი შეიძლება არსებობდეს აბრაჩამისა და ეილისის ერთად ყოფნისო.

როცა აბრაჩამმა და ეილისმა ბელფასტი დატოვეს – ჯერ პორტადაუნში გადასახლდნენ და იქიდან კი, ერთი წლის მერე, ოკეანის გადაღმა, ოკლენდში ამოყვეს თავი – რობ გორმანმა შვებით ამოისუთქა.

ეილისმა მილიგანების სახლი გაყიდა. დიდი ნაწილი კლინიკას დაუტოვა. დანარჩენი ფული მომავალი ცხოვრების ასანყობად გადადო.

დამშვიდობებისას რობი ყურადღებით აკვირდებოდა ეილისს, თვალეში ჩასცქეროდა. ცდილობდა, მიმხვდარიყო, იცოდა თუ არა ეილისმა სიმართლე. ბოლომდე ვერ ჩახვდა: თითქოს იცოდა და თან არც იცოდა. აბრაჩამს ენდო, რომელმაც უთხრა, აქედან რომ ნავალთ, მერე მოვუყვები სიმართლესო

და როგორც მოვილაპარაკეთ, შენზე არაფერს ვეტყვიო.

რობმა მეგობარს თავი დაუქნია, რითიც მოლაპარაკება გაამყარა – გორმანი ხელებს იბანდა.

ეს მოხდა 1988 წლის დეკემბერში. ბელფასტში ორნი დარჩნენ: რობ გორმანი და თვალღია ცოცხალ-მკვდარი.

უძილობა გრძელდებოდა. თითქმის ყოველ დილას, ორი-სამი საათი ძილის მერე, პირველი სწორედ ის ახსენდებოდა. საოცარ შვებას ჰგვრიდა ხანმოკლე თვლემისას საიდანლაც მოსული მხსნელი აზრი, თითქოს ილუზია იყო ლოგინად ჩავარდნილის არსებობა. არავინ დაუჭრიათ სინამდვილეში, მხოლოდ სურვილი არსებობდა მისი მოკვლის, რომელიც არ განხორციელებულა. გადაიფიქრეს, გადათქვეს, დაივინყეს... უბრალოდ, ძილში ჩაჰყვა შურისძიება, სიზმრად გადაიქცა... სინამდვილეში, კარგად არის მილიგანი, ფეხზეა, დადის, ლაპარაკობს...

ერთხელ გაღვიძებულზე წამოიძახა, როგორ არის შონიო. ისევ ისეო, უპასუხა ცოლმა. ისევ ისე... ანუ ცუდად. კარგად მყოფზე არასოდეს იტყვიან: ისევ ისეაო. „ისევ ისე“ ცუდად ყოფნის სლოგანიო.

გაურკვეველობაში აღმოჩნდა. შონის გამოჯანმრთელება არ უნდოდა – ცალსახად შიშს ბადებდა ეს აზრი. არც ის სურდა, ასეთ მდგომარეობაში დიდხანს დარჩენილიყო. გადავადებული სიკვდილიც მოსვენებას არ აძლევდა – არასოდეს სდომებია, მისი მტერი ასე რომ განამებულიყო. ცხადია, მაინც სიკვდილი იქნებოდა ორივე მხრისთვის კარგი გამოსავალი.

ოთხნლიანმა ლოდინმა დაარწმუნა, რომ მილიგანს აღარ ჰქონდა თითის განძრევის შანსი. ამ ხნის მანძილზე არანაირი დადებითი ცვლილება არ მომხდარა. გადამონმებითაც ისე ხშირად აღარ ამონმებდა ავადმყოფის

მდგომარეობას.

დაუსრულებელი სიკვდილი რობს აიძულებდა, კვლავ და კვლავ თავში ეტრიალებინა დანაშაულის კადრები. იმდენჯერ გაიხსენა იმლამინდელი ეპიზოდი, რომ მონაწილეების ქმედებამ იდეალური ფორმა მიიღო. ყოველი მაშინდელი ჟესტიკულაცია თუ ფრაზა, ყოველი ნაფიქრი, თითოეული წამი საოცრად დაიხვეწა.

„...შეხედეთ, როგორ გადმოდის ავტომობილიდან... ჯერ ქვემოთ იყურება, მერე თავს წევს. „შევრიგდეთ, შონ“. აბრაჩამი ჯიბეში რევოლვერს ათამაშებს. მისი ქურთუკის სარჩული დაბამბულია. ფოთლები შრიალებს. „შევრიგდეთ, შონ, დაივიწყე წყენა.“ მილიგანი უკან იყურება. დააკვირდით მის დამფრთხალ სახეს. რისი ეშინია? აქ ბიჭებს ნამდვილად არ ელოდა.

სახლში მყოფი ეილისი ქმარს ელოდება. თან ელოდება, თან ეშინია. რა სიცოცხლეა ეს? ტელევიზორს უყურებს ეილისი.

გასროლა... შეკრთომა. ორი გასროლა... ისევ შეკრთომა... ფიქრი. ისევ გასროლა... გაქცევა. ნამოდგომა. ქმარს ელოდება. სადაც არის დაბრუნდება, ჩაეხუტება, ბოდიშს მოუხდის ცოლს მიყენებული ტკივილის გამო. ქალის დაჩაგვრა არაფრით შეიძლება. შონი ამას მაშინ გააცნობიერებს, პატივებს რომ სთხოვს და ეილისი წამებში დაივიწყებს წყენას. როგორი კეთილი გული აქვს ქალს.

ლოგინად ჩავარდნილი ჭერს ასცქერის...

რატომ არ კვდება?

ისევ გადმოდის ავტომობილიდან. რობს ქურთუკის საყელო აქვს ანეული, შემოდგომაა უკვე. „შევრიგდეთ, შონ“. აბრაჩამს საჩვენებელი თითი რევოლვერის სასხლეტზე უდევს.

რატომ არ კვდება, შონ? რატომ გაიჭედე სადღაც შუაში? ამბობენ, ადამია-

ნი მაშინ ვერ კვდება, საქმე როცა აქვს დასასრულებელიო. მართლა ეგრეა? არ კვდება იმიტომ, რომ ბიჭების დახოცვა გინდა?

დიდხანს უძლებდა რობი სინდისის ქენჯნას. შემდეგ კი, ერთ მშვენიერ დღეს, საკუთარი თავი დაარწმუნა, დამნაშავე არა ვარო. დიას, არ იყო დამნაშავე. ჯერ ერთი, თვითონ არ უსვრია. ინიციატივაც ხომ აბრაჩამისგან მოდიოდა. მან თქვა, მოვკლათო. რომ არა აბრაჩამი, რობი რისი მსროლელი იყო? გვერდით ახლდა? მერე რა? აბრაჩამმა ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა. სხვა გამოსავალი არ არსებობდა და საკუთარ მეგობარს ხომ არ დააბეზლებდა პოლიციაში. იარაღიც მისი მხრიდან იშოვეს. ფულიც მან გააჩალიჩა. ტყეში რობმა მხოლოდ ერთხელ გაისროლა, ისე, უბრალოდ, ინტერესის გამო.

აბრაჩამი შეუჩნდა, თორემ რობს აზრადაც არ მოუვიდოდა მილიგანის მოკვლა. წლების წინათ, პირველად სწორედ მან შესთავაზა, თავიდან მოვიშოროთო და რობმა უარი უთხრა. აბრაჩამს ყოველთვის სურდა შონის მოკვლა. რა სისულელეა იმის წარმოდგენა, რომ დოილის გარეშე გორმანი იარაღზე იჩალიჩებდა, დაითრევდა და მილიგანს ჩაუსაფრდებოდა მარტოკა.

ბოლო ტყვიაც როგორ გულგრილად ესროლა, პირდაპირ თავში. რატომ აიფარა ხელი, შონის სახე რომ არ დაენახა თუ სისხლი რომ არ შესხმოდა?

უნდა მივიდეს მომაკვდავთან. ერთადერთხელ მოინახულა, წლების წინათ, მთელ უბანთან ერთად. მას მერე აღარ უნახავს.

ეცოდებოდა მილიგანი. სიბრალულმა სხვა გრძნობები გადაფარა. როგორ წარმოიდგენდა, რომ შონს როდესმე შეიცოდებდა. რა აბსურდია! როგორ უნდა გაუგო ადამიანს, რომელიც განამებს? როგორ უნდა მოახერხო ეს? წმინდანებს შეუძლიათო, გაგონილი ჰქონდა. რობისნაირ უბრალო ადამია-

ნებს კი სხვანაირად ჰქონდათ მოწყობილი ჭკუა. უნდა დააგდო მოწინააღმდეგე, გათიშო და მერე შეიძლება შეგეცოდოს. მკვლელად უნდა იქცე და როცა ჰალუცინაციებით გატანჯული საკუთარ სულამდე ჩააღწევ, ადგები და დაუმეგობრდები მსხვერპლს, შეიბრალებ მას, შეიყვარებ.

არაფერი შეგეშალოთ, გორმანი არ იყო დამნაშავე! ის არასოდეს ყოფილა მკვლელი. არ ღირს ამის მეტად განხილვა.

არც მილიგანი იყო დამნაშავე? ცხადია, არა. მთელი ცხოვრება დაუფიქრებლად მოქმედებდა. ვერც კი აცნობიერებდა, რას სჩადიოდა. ერთ კალაპოტს მიჰყვებოდა, ვერ მოასწრო იქიდან ამოსვლა. გაუცნობიერებელი იყო მისი ქმედებანი. ეშმაკის მსხვერპლი იყო. ეს საშინელი სამყარო აიძულებდა, მხეცურად ემოქმედა.

შონი თვითონ მსხვერპლია. ასე იყო ყოველთვის და ახლაც ასეა, უპატრონოდ რომ აგდია ლოგინში.

თუ ფიქრს ახერხებდა, უნდა მიმხვდარიყო თავის სავალალო მდგომარეობას, მარიონეტი რომ იყო უგუნურების ხელში. უბედურება ის არის, ცრემლიც რომ ღვაროს და მოინანიოს ყველა ცოდვა, მორჩილად, უტყვად, მაინც ველარ დაიბრუნებს ცხოვრებას, ლოგინიდანაც ვერ გადმოფოფხდება. ეტყობა, მწოლიარე უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე.

ალარავინ აკითხავდა მილიგანს, არავინ ზრუნავდა მასზე. გულგრილი ექთნების ამარალა დარჩა. მარტო ინვა პალატაში. ზეპირად იცოდა ჭერის თითოეული წერტილი და ხაზი, ჭერის ფერი დილით, შუადღისას და ღამით. თვალს თუ დაახამხამებდა, თუ დახუჭავდა, გაახელდა, აქეთ-იქით ატრიალებდა და ისევ ჭერს შეხედავდა, მაინც არაფერი შეიცვლებოდა ზოლებში და ლაქებში. ყველაზე საინტერესო ჭერის ის პერიოდი იყო, გარედან შემოსული

მანქანების შუქები რომ დარბოდნენ ზედ. დღე შუქები ქრებოდნენ, ღამით ბრუნდებოდნენ. ნეტავ, ზემოთა ოთახი წყალს დაეტბორა, რამდენი ახალი ფიგურა და ორნამენტი გამოისახებოდა ჭერში. დიახ, ჭერი გახდა მისი ხატი. ეს, რა უბედური ხარ, მილიგან, თუ აზროვნებ და შენს ჯოჯოხეთურ მდგომარეობას აცნობიერებ.

რობის სახის დანახვა ღმერთის გამოცხადებასავით იყო შონისთვის. ფართოდ გახელილი თვალებით უცქერდა ქვემოდან. რობი თავთან ედგა, ხმას ვერ იღებდა. ვერანაირად დაიწყო საუბარი, ერთი სიტყვაც კი ვერ ამოთქვა. ნეტავ, მართლა ღმერთი რომ მდგარიყო რობის ადგილას, რას ეტყოდა მომაკვდავს?

რობმა ხელი დაადო მკერდზე, როგორ გამხდარა. რამდენს იწონის, ორმოცდაათს? უფრო ნაკლებს? გაუჭირდებათ მისი აწონვა, სასწორზე ვერ დააყენებენ. გამხდარი, ჩავარდნილი ლოყები, ჩონჩხად ქცეული ხელები. სხეულიც დაუპატარავდა, თითქოს სხვა იწვა იქ.

ასე ჩუმად ხომ არ იდგება? რატომ მივიდა საერთოდ? ხმა თუ არ ამოიღო, ავადმყოფი შეშინდება, იფიქრებს, მკვლელი საქმის ბოლომდე მისაყვანად მოვიდაო.

უცბად მოუნდა, ეთქვა: მინდა ვილოცო, რომ გამოჯანმრთელდე. მაგრამ არც ლოცვა არ ვიცი და არც ის ვიცი, ვინმე თუ გაიგებს ჩემს ნათქვამსო.

– ძალიან შეშინებული ვიყავით, – როგორც იქნა, ამოთქვა, – გვეგონა, ჩვენ მოკვლას აპირებდი. ამიტომ გავაკეთეთ ეგ. შენს სახლთან რომ მოვედი, არაფერი გვქონდა გადანყვებილი. ისევ ჩხუბი აგვიტყებ, ისევ სულელურად მოიქეცი...

ჩაფიქრდა რობი, ინანა. არ უნდა ეთქვა ეს. რალა დროს მისი დადანაშაულება იყო?

– თავიდან რომ დაგვეწყო, აღარ გესროდით. ნამდვილად არ გესროდით. მე პირადად გავიქცეოდი, ნავიდოდი, ქალაქს დავტოვებდი, ველარასოდეს მიპოვიდი.

რობმა უკან, კარისკენ გაიხედა, ვინმე არ შემოვიდეს და ჩემი აღასრება არ მოისმინოსო. ცარიელი იყო პალატა.

– აბრაჩამმა გესროლა, ვერაფრით გადავათქმევიწე, – ჩუმად ჩაილაპარაკა და თვალეში ჩააცქერდა მილიგანს.

არ იკითხებოდა ავადმყოფის თვალეში სამაგიეროს გადახდის სურვილი. პირიქით, მორჩილება იგრძნობოდა. შონი თვალეებით სთხოვდა, ყველაფერი მიპატიებია, ოღონდ ახლა როგორმე დამეხმარეო. საოცარია, მაგრამ რობის იმედილა ჰქონდა რატომღაც. თვითონ პატიობდა და საპასუხოდ გორმანისგანაც პატიებას ელოდა. თითქოს ამას უნდა ეხსნა გაჭირვებისგან. ვერ ხვდებოდა, რომ რობის დაგვიანებული სიბრალული ფეხზე ველარ წამოაყენებდა.

უნდა მოასწრო და დაუძინებელი მტერი გასროლამდე დაინდო, თორემ სროლის მერე არც მისი და არც საკუთარი თავის გადარჩენის შანსი აღარ გექნება ადამიანს.

რობს წარსულის ეპიზოდი გაახსენდა, სამხრეთელებთან რომ იჩხუბეს, ერთ-ერთ კედელთან, გამათავისუფლებელი მოძრაობის ძველი გმირები რომ იყვნენ მიხატულნი თოფებით და მოდიდან გადასული ვარცხნილობით (ვილაც ვიგინდარას ზემოდან სარეკლამო ფურცლები გადაეკრა და ლატარიის თამაშისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას). მაშინ ვაჟკაცურად იჩხუბეს, არაფრის ეშინოდათ. შონი წინ იდგა. მოკრივეს შემურდებოდა, ისე ჩხუბობდა. სამხრეთელებმა იცოდნენ, თუ ნააქცევდნენ, მერე დანარჩენებსაც იოლად დაჩაგრავდნენ. ვერავინ მოერია. ასეთი გამხდარი კი არ იყო, ღონიერი იყო. ყველაფერს ასწრებდა. ნაქცეული აბრაჩამიც მან წამოაყენა და უკან დაიყენა, თავისი სხეულით ფარავდა...

არ აპირებდა მილიგანი მის ჩაშვებას, ნამდვილად არ აპირებდა. მიხვდა რობი ამას.

ეს რა არის? ნუთუ ცრემლი მოსდის? პირველად, ბავშვობის მერე, გორმანს ცრემლები წამოუვიდა.

როგორ საშინლად გაინელა ეს ცხოვრება.

რა ექნა, რითი დახმარებოდა? ესლა უთხრა: კიდეც მოვალო. რა აბსურდია!

წავიდა, ქუჩას გაუყვა. ბელფასტი ბოლო ქალაქია, რომლის ქუჩებიც უამრავ კედელს გადაუტყინავს. იმდენად შეეზარდა ეს კედლები ადამიანის ცნობიერებას, რომ ვერც ძველი თაობა და ვერც ახალი მას ველარ ამჩნევს.

ვერც რობი ამჩნევს, შინისკენ მიდის და არ უნდა მისვლა, რადგან იქ მოსიყვარულე ცოლ-შვილი ელოდება. აღარ სურს სითბო და ჩახუტება. სიარული უჭირს, სუნთქვაც უჭირს. უნდა, რაღაც ამოიგლიჯოს გულიდან – გამოუვალობა, უმწეობა, ამაოება...



თენდებოდა, როცა დაბოლილმა და მთვრალმა, ორმოცდაათი წლის რობ გორმანმა თხრობა დაასრულა. წამოდგა და წავიდა. მას მერე გამირობოდა. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, ვილაც ბაიკერს უჯდებოდა მოტოციკლზე. უცნაურად იკრიჭებოდა. ვერ დამინახა. არც მე შევხმინებოვარ. დაცლილი მეჩვენა, თითქოს მოსაყოლი აღარაფერი დარჩა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი დამაკლდა.

მაგალითად, არ ვიცოდი, როდის გადაიხვეწა ირლანდიიდან ინდოეთში და სად იყო მისი ოჯახი, როგორ ძლებდა მის გარეშე. შემეძლო, მევარაუდა სხვადასხვა რამ, ნებისმიერი მიმართულება მიმეცა მოთხრობისთვის. მეტეკა, რომ ველარ გაუძლო ბელფასტურ წნეხს და გაიქცა. ოჯახი მიატოვა და რამდენიმე წელია, რაც არ უნახავს. ენატრება, მაგრამ ველარ ბრუნდება.

აბრაჰამის საქმე ამერიკაში თავიდან კარგად აენყო, სამუშაოც ჰქონდა და ეილისიც გვერდით ჰყავდა. ცუდი ზრახვები მის მიმართ არასოდეს ჰქონია, მართლა უყვარდა. უყვარდა და პატივს სცემდა მანამდე, სანამ გალოთდებოდა. სასმელმა გონება აუმღვრია და მილიგანის წამოწყებული საქმე განაგრძო – ეილის ახლა ის სცემდა. ალბათ, ვერ აპატიო საკუთარ თავს, ქალს რომ გამოუტყდა, შენი ყოფილი ქმარი მე დავჭერიო. ერთ-ერთი მორიგი ცემის შემდეგ ისტერიკაში ჩავარდნილმა, ნეკნებჩალენილმა ეილისმა აბრაჰამი პოლიციაში ჩაუშვა. თავდასხმა ჩემ ყოფილ ქმარზე მაგის მოწყობილია, თავისი პირით მითხრო, განაცხადა აკანკალებულმა.

არ ვიცით, იხანა თუ არა ქალმა ეს საქციელი (ალბათ, უფრო – არა). ოკლენდის პოლიციამ აბრაჰამ დოილის ექსტრადიცია მოახდინა ჩრდილოეთ ირლანდიაში. დამნაშავემ აღიარა დანაშაული და ყველაფერი თავის თავზე აიღო, რობი არ ჩაუშვა. სასამართლომ ბევრი მიუსაჯა: ოცი, ოცდაათი ან უფრო მეტი.

თუ ამ ხაზს მივყვებით, გორმანის გაქცევა ლოგიკურად აიხსნება. მართალია, მეგობარმა უჯიგრა და ხელი დააფარა, მაგრამ ბელფასტში მაინც ვერ გაჩერდებოდა. შესაძლოა, დოილის საქმეზე გორმანიც დაჰკითხეს – სულ ერთად იყვნენ და ეჭვი გაუჩნდათ – მაგრამ ამან იუარა: არაფერი ვიცოდი, ჩემთვის არ უთქვამს და მეც გაოცებული ვარო. დიდი შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, სუფთად დაიძვრინა თავი სინდისის ქენჯნისგან და ინდოეთში გადასახლდა. ერთის მაგივრად ორნი რომ მსხდარიყვნენ ციხეში, ამით რა შეიცვლებოდა? ხომ აფრთხილებდა აბრაჰამს, ქალის ნდობა არ შეიძლებო. ჰოდა, საკუთარ თავს დააბრალოს.

ეს ვარაუდია. რატომ უნდა გაბოროტებულიყო აბრაჰამი? არც ქალი

ჩაუშვებდა პოლიციაში. შონიც კი არ დაუბეზლებია, არ უთქვამს, როგორც მონას, ისე მეპყრობოდაო და დოილს რატომ ჩაუშვებდა?

საოცრად კარგად აინყვეს მომავალი, აბრაჰამს ხომ ყოველთვის უყვარდა ეილისი. წარსული დავინყვებს მიეცა. მზრუნველი მამაკაცის სიახლოვემ სინატიფე დაუბრუნა ქალს. თუმცა ამერიკაში ორივენი ბევრს მუშაობდნენ. უმუშევარი ახლა ვერსად გაჩერდები.

ინდოეთმა რობი დაამშვიდა. მაგრამ ბოლომდე ამ სატანჯველისგან მაინც ვერ გათავისუფლდებოდა და დანაშაულის გრძნობა სულ მუდამ შეანუხებდა.

ისე, მილიგანის ხასიათსაც შეისწავლიდა კაცი. რამ ჩამოაყალიბა ასეთ ადამიანად? ვინ იყვნენ მისი მშობლები და მართლა გენეტიკურია თუ არა სიბოროტე? იქნებ, შონის კარმულ აბლაბუდაში უნდა ვეძებოთ უბედურების საწყისები?

ისიც გავიფიქრე, მოთხრობა „ირასა“ და ინგლისელების ბრძოლის ეპიზოდებით, უფრო სწორად, განწყობილებით გამემდიდრებინა. დროზე მივხვდი, ყალბი გამომივიდოდა ეს ხაზი და მოთხრობაში ვერ ჩაჯდებოდა. რამდენიმე ფილმი ვნახე იმ პერიოდის ირლანდიაზე და სხვა კუთხით წამიყვანა. დავივინყე.

ერთ პრობლემასაც წავანყდი: მოთხრობის გმირების ნამდვილ სახელებს და დეტალებს ასე პირდაპირ ვერ წარმოვაჩენდი და გადავწყვიტე, შემეცვალა ისინი. ასე რომ, როცა ეს მოთხრობა მკითხველამდე მიაღწევს, გადაწერილი და შეცვლილი იქნება.

მანალიში კიდევ ბევრჯერ მოვხვდი, მაგრამ რობი აღარასოდეს მინახავს. არადა, ვეძებდი, ნამდვილად მინდოდა მისი ნახვა. მის შესახებ აღარაფერი მსმენია. პოლიციას ხომ არ ჩაბარდა? იქნებ, მან აიღო თავის თავზე მკვლელობის მცდელობა? არა, არა, რაში წაადგებოდა ან მილიგანს, ან თვითონ რობს

ციხეში ჩაჯდომა? არც არაფერში.

როგორც გითხარით, წერისთვის თავი მქონდა დანებებული. სათქმელი კი მიგროვდებოდა და მოსვენებას არ მაძლევდა. რამდენიმე წლის წინათ, რომანზე – „გადამალვა“ – დავინყე მუშაობა. 2016 წლის თებერვალში კი ეს ჩანაწერი ვიპოვე – სადღაც ძველ დისკებში მქონდა შეჩურთული. ირლანდიელის მოყოლილი ამბავი არასოდეს დამვიწყებია, მაგრამ ძველი ჩანაწერის მოსმენის შემდეგ ემოციურად დავიმუხტე – რობ გორმანის თავგადასავალი მოთხრობად უნდა მექცია.

წერისას ვაცნობიერებდი, რომ მოკვლის მცდელობიდან უკვე ოცდათორმეტი წელიწადი იყო გასული. რაღა არ მოხდა დედამინაზე ამ დროის განმავლობაში. რომელი ერთი გავიხსენო?

მეცნიერებმა კოლაიდერი ააგეს მინისქვეშ და ატომები ერთმანეთს დაატაკეს. მიდის და მიდის ნაწილაკების დაშლა უფრო პატარა ნაწილაკებად და ბოლო არ უჩანს.

დიდი აფეთქების თეორიამ დიდი პოპულარობა პოვა დედამინის მოსახლეობაში. როგორც მივხვდი, თავდაპირველად რაც აფეთქდა, იყო არაფერი. უფრო სწორად, სტივენ ჰოკინგმა თქვა, რაღაც მინუს მატერია აფეთქდაო. „მინუს მატერიიდან“ ჰოკინგი შავ ხვრელზე გადახტა: შავი ხვრელი იყო თავიდან და მის სიახლოვეში დრო არ არსებობსო. რადგან დრო არ არის, ღმერთი როგორ გაჩნდებოდაო. თუ ღმერთი არ გაჩენილა, სამყაროს როგორ შექმნიდაო. ასე მარტივად მიაჩმორა ინვალიდის სავარძელში მჯდომმა ღმერთი.

80-იანებში მარადონას ეპოქა დადგა და შონ მილიგანი ვის გაახსენდებოდა? მარადონაც ერთგვარი ღმერთი იყო. უბრალოდ, ნამალზე შეჯდა. მერე ნამალი გადააგდო და მაგრად გასუქდა.

ტერაქტების ეპოქამ კულმინაციას მიაღწია. ტერორისტებმა ჯერ ამერიკაში მიანგრ-მოანგრეს შენობები, მერე

საფრანგეთი შეიკლეს. ფრანგებიც ვირზე შესხდნენ, თითქოს სალაზლანდარო და საშარყო სხვა არაფერი ჰქონდათ მუჰამედის გარდა (ახლო აღმოსავლეთში ისე ხშირად ფეთქდება ავტობუსები და შენობები, რომ ჩვეულებრივ ამბად იქცა). მალევე სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩვეს. ბინ ლადენს სდიეს და ისიც მოკლეს.

რა ვიცი, კიდეც ათასი რამ: 1985-ში სტივენ ეივერი გრინ-ბეის ციხეში ჩასვეს და უსამართლოდ ახეხინეს თვრამეტი წელი. კინალამ გაგიჟდა კაცი. შემდეგ ნამდვილი მკვლელი იპოვეს და გამოვიდა ეივერი გარეთ. სულ მცირე ხანში ამერიკელმა სამართალდამცავებმა ისევ გაუჩალიჩეს სტივენს მკვლელობა, უკან შეატრიალეს ციხეში და მეორეჯერ მიარჩეს სამუდამო პატიმრობა. პირველად თვრამეტი წელი იჯდა. მეორედ უკვე ათი წელია, რაც ზის. ჯერჯერობით – სულ ოცდარვა. როცა ამ წინადადებას ვწერ, ისევ ციხეშია. ადვოკატის აყვანის უფლება აღარა აქვს. ამიტომ საწყალი კაცი თავად შეუდგა საქმის შესწავლას – საკუთარი თავის დაცვას თვითონვე აპირებს, თუ მანამდე არ გაგიჟდა.

1989-ში ბერლინის კედელი დაანგრიეს და აღმოსავლეთ ევროპამაც ამოისუნთქა.

ჩვენთან გამათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო და საშინელი ხანა დადგა. ქართველები მაგარ ნაბიჭვრებად ვიქეციით: თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირებიდან ყველა მოვიშორეთ – ზოგს თავი მოვაკვლევინეთ, ზოგი მანქანაში ჩაგვკალით, ზოგიც მოვისყიდეთ.

სად არის მილიგანი? მოკვდა? იქნებ, გორმანის ლოცვებმა უშველა. სხვა არც არავინ დარჩა, მისთვის ვინც ილოცებდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ეჭვი გამიჩნდა: ხომ არ იყო გორმანის მიერ მოყოლილი ამბავი უბრალო მონაჩმახი, მორფინისტის ზმანება, დროის მოკვლა კაიფში? იქნებ, ეს ამბავი არასოდეს

მომხდარა? და გორმანი – რომელიც სულაც არ არის გორმანი – უბრალოდ, კარგი ფანტაზიორია. შეიძლება, არც ირლანდიელია.

გადავწყვიტე, ბელფასტში დამერეკა. „წმინდა პატრიკის კლინიკის“ ნომრის პოვნა საკმაოდ გამიჭირდა. გამიხარდა, ასეთი კლინიკა მართლა რომ არსებობა.

ვნერვიულობდი. ყურმილი მესამე ზარზე აიღეს.

– ერთ ადამიანს ვეძებ. სავარაუდოდ, წლების წინათ იწვა თქვენს კლინიკაში და იქნებ, დამიდასტუროთ, მართლა მანდ იყო თუ არა? – ვკითხე ექთანს.

– რა გვარია?

– შონ მილიგანი, – ვუპასუხე, – როცა შემოიყვანეს, სადღაც ოცდატოთხმეტი წლის უნდა ყოფილიყო და შემ-

დეგ, როგორც ჩანს, დიდი ხანი დაჰყო თქვენთან.

ექთანს არაფერი გადაუმონმებია, ეგრევე მიპასუხა:

– დიახ, შონ მილიგანი, სამოცდაექვსი წლის.

– სად არის ახლა?

– მესამე სართულზე წევს.

– როგორ, ისევ მანდ წევს?!

– დიახ, ისევ აქ არის.

– მილიგანი ცოცხალია?!

– დიახ, ცოცხალია.

უკვე დაბერდა.

ოცდათორმეტი წელია საავადმყოფოში ცხოვრობს, სამედიცინო აპარატურის გაუთავებელ ზუზუნში. თვალები ღია აქვს, მაგრამ ღმერთის ნაცვლად აბლაბუდას ხედავს. ცუდია, რომ გორმანის მოყოლილი ამბავი სიმართლე აღმოჩნდა.



მანანა პაიჭაძე

**სირანო დე ბერჟერაკი  
ისტორიული, ლიტერატურული  
და სინემატოგრაფიული**

1897 წლის 27 დეკემბერს პარიზის პორტ-სენ-მარტენის თეატრის სცენაზე შედგა პრემიერა ედმონ როსტანის დრამისა „სირანო დე ბერჟერაკი“. ოცდაცხრა წლის ავტორი ძალიან ლელავდა. ის დარწმუნებული იყო, რომ სპექტაკლი ჩავარდებოდა. ამიტომ წინასწარ ბოდიშს უხდიდა მსახიობებს, განსაკუთრებით კი მთავარი როლის შემსრულებელს, სახელგანთქმულ მსახიობ კონსტან კოკლენს<sup>1</sup> იმისათვის, რომ ამ წარუმატებლობისთვის განწირულ წამოწყებაში გახვია. სხვათა შორის, კოკლენიც გვარიანად ნერვიულობდა, მაგრამ... პიესის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!

ოვაციები არ წყდებოდა, მსახიობებიც და ავტორიც ორმოცჯერ გამოიყვანეს სცენაზე. მაყურებელთა დარბაზში მყოფი სარა ბერნარი ტიროდა, ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცნობილ ფრანგ მწერალსა და კრიტიკოსს ჟიულ რენარს, რომელიც მომდევნო დღეებში პირველ რეცენზიას დაწერს სპექტაკლზე. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი. ტრიუმფი დრამატურგის, მსახიობებისა და პიესის.

ასე გადაიქცა სირანო დე ბერჟერაკი ლეგენდარულ ლიტერატურულ და თეატრალურ გმირად. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიული ანუ რეალური სირანო დე ბერჟერაკი არანაკლებ ლეგენდარულ ფიგურას წარმოადგენდა.

**ისტორიული სირანო**

ისტორიული სირანო დე ბერჟერაკი ევროპული განმანათლებლობის წინამორბედა, პოეტი, დრამატურგი, ორი

რომანის ავტორი (ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე საინს-ფიქ-შენ-რომანის ფუძემდებლად), გასკონიელი კადეტების კორპუსის გვარდიელი, სახელგანთქმული ბრეტეორი და ლიბერტინი.<sup>2</sup>

<sup>1</sup>კონსტან კოკლენი (1841-1909) – „კომედი ფრანსეზის“ მსახიობი, ხშირად გასტროლიორობდა ევროპასა და ამერიკაში. 1897 წელს სათავეში ჩაუდგა პორტ-სენ-მარტენის თეატრს, სადაც შედგა როსტანის „სირანო დე ბერჟერაკის“ პრემიერა. მოგვიანებით კოკლენი თავადვე აღიარებდა, რომ სირანო მისი საუკეთესო როლი იყო.

<sup>2</sup>ლიბერტინი, ანუ ლიბერტენი მომდინარეობს ესპანური libertino-დან ან hijo de liberto-დან, რაც გათავისუფლებული მონის შვილს აღნიშნავს. მოგვიანებით კათოლიკე თეოლოგებმა მას გამოაცალეს ეს სემანტიკა, რის შემდეგაც ტერმინი აღნიშნავდა თავისუფლად მოაზროვნეს, რომელსაც არ შეუძლია ზნეობრივად ქმედება. ტერმინის სოციოლოგიური კონოტაციაც დაერთო, რომლის თანახმადაც ტიპურ ლიბერტინად ითვლებოდა ახალგაზრდა არისტოკრატი.

ბერჟერაკის ნამდვილი სახელია **ერკიულ სავინიენ დე სირანო** (დე ბერჟერაკი კი მოგვიანებით დაუმატა თავის სახელს). იგი დაიბადა პარიზში<sup>1</sup> 1619 წლის 6 მარტს პარიზის უზენაესი სასამართლოს მაღალი მოხელის აბელ დე სირანოს ოჯახში. ბავშვს დაბადებიდან ფიზიკური ნაკლი აღმოაჩნდა – უზომოდ გრძელი ცხვირი. ბაბუამისი პარიზში თევზით ვაჭრობდა, შემდეგ სამეფო ნოტარიუსის თანამდებობა იყიდა, 1582 წელს კი თავის მამულებს პარიზის შემოგარენში კიდევ ორი მამული შემატა – მოვიერი და სუფორე, ისევე როგორც პერიგორში მდებარე დე ბერჟერაკების არისტოკრატიული საგვარეულო მამული მდინარე შევრეზის ხეობაში. ამის შემდეგ სირანო თავს მოიხსენიებდა, როგორც სირანო დე ბერჟერაკი.

სირანო დე ბერჟერაკმა ბავშვობა სოფლად გაატარა, სადაც წერა-კითხვა კიურემ ასწავლა. შემდეგ სწავლა პარიზში, ბოვეს იანსენისტურ კოლეჯში განაგრძო. ზოგიერთი ცნობის თანახმად, სირანოც და ლე ბრეც დორმანის პრესტიჟულ კოლეჯში სწავლობდნენ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჟან გრანჟიე. როგორც ჩანს, კოლეჯში სწავლის დროს სირანო არ გამოირჩეოდა დიდი სიბეჯითით და სანიშნო ყოფაქცევით და მისი მემბოხე ბუნება თანდათან გამოიკვეთა. 1638 წელს სირანომ კოლეჯი დაასრულა და დენდის ცხოვრების წესით ცხოვრობდა. მაგრამ ამ პერიოდში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და სირანომ სამსახური დაიწყო გასკონელი კადეტების კორპუსში. და თუმცა წარმოშობით გასკონიიდან არ იყო, მაინც გასკონიელად მიიჩნევდნენ. სირანომ მონაწილეობა მიიღო ოცდაათწლიანი ომის შემადგენელ 1639-სა და 1640 წლის ფრანგულ-ესპანურ ომებში. ორჯერ დაიჭრა – ერთხელ მუზონის ბრძოლაში 1639 წელს და მეორედ არასის ალყის დროს, 1640 წელს. ამის შემდეგ სამხედრო სამსახურს

თავი დაანება და დაბრუნდა პარიზში. 1641 წლიდან პარიზის უნივერსიტეტში (სავარაუდოდ, მოლიერთან ერთად) ესწრებოდა გამოჩენილი ფილოსოფოსის პიერ გასენდის ლექციებს. მან შეისწავლა ანტიკური ნატურფილოსოფიური თეორიები, ასევე კოპერნიკის, კეპლერის და გალილეის ჰელიოცენტრული შეხედულებები სამყაროზე, რენე დეკარტის შრომები, დიდ ინტერესს იჩენდა ალქიმის მიმართ. სირანო დე ბერჟერაკი ცნობილი იყო, როგორც თავისუფალი მოაზროვნე, მოსწრებული მომხირობე, ელოკენტი და მიღებული იყო პარიზის ცნობილ ლიტერატურულ სალონებში პოლ სკარონთან, ტრისტან ლერმიტთან, ასევე შარლ დასუზისთან.

ფრონდის პერიოდში (1648-1652) სირანო წერს ეგრეთ წოდებულ „მაზარინადებს“ (ეს ჟანრი პოლ სკარონმა დაამკვიდრა), ანუ კარდინალ ჯულიო მაზარინის წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტებს. დიდად გახმაურდა მისი სატირული პამფლეტი „ცეცხლწაკიდებული სახელმწიფოს მინისტრი“. ერთხანს ის პარიზის პარლამენტის მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგ, 1651 წელს, როდესაც ფრონდიორებმა თავისი ნამდვილი, მომხვეჭელი ბუნება გამოავლინეს, სირანომ ყოფილ მეგობრებთან კავშირი განწყვიტა და დაწერა „წერილები ფრონდიორების წინააღმდეგ“, სადაც მაზარინის აბსოლუტისტურ პოლიტიკას იცავდა. გარდა ამისა, სირანო არის ავტორი „სატირული წერილებისა“, რომელთა ადრესატები რეალური პიროვნებებია: პოლ სკარონი, შარლ დასუზი და სხვები.

მთელი ცხოვრების მანძილზე სირანო ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა. ვერ უშველა ვერც მამის გარდაცვალების შემდეგ დატოვებულმა მემკვიდრეობამ, რომლის მეშვეობითაც ვალეზის მხოლოდ ნაწილობრივ გასტუმრება შეძლო. ჯანმრთელობაც შერყეული ჰქონდა (ჯერ ერთი, ბრძოლებში მიღე-

<sup>1</sup>ტეოფილ გოტიეს ცნობით, სირანო დაიბადა ბერჟერაკში, პერიგორის პროვინციაში 1620 წელს.

ბული ქრილობებისგან; გარდა ამისა, არსებობს ცნობა, რომ სირანოს სიფილისის ინფექციური დაავადება სჭირდა და იგი მისი გამწვავების შედეგად გარდაიცვალა).


გაუსაძლისი ფინანსური კრიზისის გამო სირანომ უარი თქვა პირად დამოუკიდებლობაზე და 1652 წელს მდივნად დაუდგა ჰერცოგ ლუი დარპაჟონს, რომელსაც მიუძღვნა ლექსად დაწერილი ტრაგედია „აგრიპინას სიკვდილი“. 1653 წელს შედგა ამ ტრაგედიის პრემიერა, რამაც დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია მასში ჩართული ანტირელიგიური ტირადების გამო.

1650 წელს სირანომ მუშაობა დაიწყო ორნანილიან რომანზე, რომელიც მისი magnum opus უნდა გამხდარიყო. „L'autre monde“, „სხვა სამყარო“. პირველი რომანის სათაურია „მთვარის სახელმწიფოები და იმპერიები“, ხოლო მეორისა „მზის სახელმწიფოები და იმპერიები“. ამ უტოპიურ რომანებში პირველ პირობა გადმოცემული ავტორის მოგზაურობა მთვარეზე და მზეზე და იქაურებთან საუბრები. ექსორბიტანტული ფანტაზიით არის გადმოცემული ბერჟერაკის პროტაგონისტის უცნაური მოგზაურობა მთვარეზე, სადაც ის სამოთხეში ხვდება, მაგრამ თავისი მკრეხელური აზრებისა და ცოდვების გამო მალევე გააძევენ იქიდან. შემდეგ იგი ხვდება მთვარის უცნაურ მცხოვრებთ, რომლებიც იკვებებიან სურნელით, საფასურს იხდიან სონეტებით და ოდებით, საუბრობენ ბგერებით და ყესტებით და... რაც

ერთობ ნიშნობლივია, ყველა მათგანს გრძელი ცხვირი აქვს.

„სხვა სამყარო“ პირველ რიგში ფილოსოფიური თხზულებაა, რომელიც გამოხატავს მწერლის შეხედულებას სამყაროზე და ადამიანზე. ავტორი სასაცილოდ მიიჩნევს პტოლომეუსის სისტემას, უარყოფს სულის უკვდავებას და არ წამს სასწაულების. ამ რომანში კარგად ჩანს ლიბერტინაჟის იდეოლოგიის გავლენა, მაგრამ აქვე გამოსჭვივის გნოსტიციზმის, ალქიმიის, თეოსოფიის, ნატურფილოსოფიის იდეები. სირანო ეყრდნობა ლუკიანეს, ფრანსუა რაბლეს, თომას მორის და ტომაზო კამპანელას ტრადიციებს. კამპანელა მისი მეორე რომანის ერთ-ერთი პერსონაჟიცაა.

მეორე რომანი დაუმთავრებელი დარჩა და ფრაგმენტების სახით გამოქვეყნდა. ორივე რომანი სირანოს გარდაცვალების შემდეგ 1657 და 1662 წელს გამოაქვეყნა მისმა ახალგაზრდობის მეგობარმა ანრი ლე ბრემ, რომელმაც თავი აარიდა ხელნაწერის ზოგიერთი პასაჟის გამოქვეყნებას მათი იმ



დროისათვის მიუღებელი შინაარსის გამო. ლე ბრემ წიგნს დაურთო შესავალი, საიდანაც შემოგვრჩა ინფორმაცია სირანო დე ბერჟერაკის პიროვნების შესახებ. მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა ტექსტის აღდგენა და სრული გამოცემა.

1654 წელს სირანომ გამოსცა კრებული, რომელშიც შევიდა მისი პროზად დაწერილი კომედია „გაბრიყვებული პედანტი“ და წერილები სხვადასხვა თემაზე, რომლებიც ბიბლიის და ეკლესიის მწვავე კრიტიკას შეიცავენ. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მოლიერმა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ კომედიაში „სკაპენის ოინები“ თითქმის მთლიანად გამოიყენა სცენები სირანოს კომედიიდან „გაბრიყვებული პედანტი“.

სირანოს უკანასკნელი თხზულება – გამოკვლევა ფიზიკის დარგში „*Traité de physique*“ საწყის სტადიაზე შეწყდა.

ძალიან მალე მას შემდეგ, რაც 1654 წელს თავისი პირველი რომანი „მთვარის სახელმწიფოები და იმპერიები“ დაასრულა, სირანოს მისი მეცენატის შერცოვ და რაპაჟონის სასახლეში გაურკვეველ ვითარებაში თავზე ბოძი დაეცა. შერცოვმა ავადმყოფი სირანო სამსახურიდან დაითხოვა. სირანოს ჯერ თავისი და, მონაზონი კატრინი უვლიდა პარიზში, შემდეგ კი კუზენმა შეიფარა სანუაში, სადაც სირანომ თავისი სიცოცხლის ბოლო ერთი წელი გაატარა. სირანო დე ბერჟერაკი გარდაიცვალა ოსდათექსმეტი წლის ასაკში, 1655 წლის 28 ივლისს სანუაში (ვალ დუაზში). ის ქრისტიანული წესით დაასაფლავეს სანუას წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

„ის გარდაიცვალა დარდისგან, სიღარიბისგან, შესაძლოა შიმშილისგანაც, იმ ასაკში, როდესაც გენია მხოლოდ იწყებს თავისი შესაძლებლობების შეცნობას და შემოქმედებითი აღმაფრენით იმ სიმაღლეებზე ასვლას, რომელთა მიღ-

წევაც მისთვის განგებას დაუნესებია... საბრალო სირანო!“ – წერდა ტეოფილ გოტიე.

სირანო დე ბერჟერაკის, პიროვნებისა და მწერლის გავლენა შემჩნევა ჯ. სვიფტის რომანში „გულივერის მოგზაურობა“, ვოლტერის მოთხრობაში „მიკრომეგასი“.

1853 წელს ტეოფილ გოტიემ გამოსცა კრებული სათაურით „გროტესკი“, რომელშიც თავი მოუყარა ფრანგული გროტესკის როგორც ცნობილ (მაგ. ფრანსუა ვიიონი), ასევე მივიწყებულ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ პოლ სკარონი, ტეოფილ დე ბიო, სენტ-ამანი, მადლენ დე სკიუდერი და სირანო დე ბერჟერაკი.

მისი თხზულებები პირველად სრულად გამოსცა პოლ ლაკრუამ 1858 წელს.

საერთოდ, სამართლიანობა მოითხოვს, ვაღიაროთ სირანო დე ბერჟერაკი ფრანგული რეალისტური კომედიის ფუძემდებლად.

სირანო დე ბერჟერაკი განყენებულ სახელად იქცა აღსანიშნავად ადამიანისა უზარმაზარი ცხვირით, ჭეშმარიტი გასკონიელის, პოეტის და დუელანტის. მის შესახებ ლეგენდები ვრცელდება. ერთ-ერთის თანახმად იგი მარტოდ-მარტო შებრძოლებია ას კაცს და გაუმარჯვია.<sup>1</sup>

სირანო დე ბერჟერაკია უმბერტო ეკოს რომანის „გუშინდელი დღის კუნძული“ პერსონაჟის სენ-სავენის პროტოტიპი; ასევე, ლუი გალეს წიგნის „კაპიტანი სატანა, ანუ სირანო დე ბერჟერაკის თავგადასავალი“ მთავარი გმირი; ფილიპ ფარმერის ნაწარმოებთა სერიის „მდინარის სამყარო“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; ასევე, ის არის გმირი რუსი მწერლის, ალექსანდრე კაზანცევის რომანისა „მოთუხთუხე სიცარიელე“.

1970 წელს საერთაშორისო ასტრონომიული საზოგადოების გადაწყვეტილებით მთვარის უკანა მხარეზე არსებულ კრა-

<sup>1</sup>ЭДМОН РОСТАН. СИРАНО ДЕ БЕРЖЕРАК. САНКТ-ПЕТЕРБУРГ, „НАУКА“. Под редакцией Е. Г. Эткинда. 1997. Стр. 190.

ტერს სირანო დე ბერჟერაკის სახელი ეწოდა.

დღესდღეობით სირანო დე ბერჟერაკის თერთმეტი ბიოგრაფიაა დაწერილი.

არსებობს მისი შემოქმედების ბიბლიოგრაფიული კვლევების სოლიდური კორპუსი და ასევე მისი თხზულებების მრავალი კრიტიკული გამოცემა.

## ლიტერატურული სირანო

შესანიშნავი ფრანგი დრამატურგი ედმონ როსტანი (1868-1918) მთელი თავისი არსებით რომანტიკოსი იყო. ამიტომ მის შემოქმედებასაც რომანტიზმის დალი აზის. ხოლო თუ გამოვიყენებთ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინოლოგიას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ედმონ როსტანი ნეორომანტიზმის მიმდინარეობის წარმომადგენელია. ნეორომანტიზმი, კერძოდ კი ფრანგული ნეორომანტიზმი რთულ მოვლენას წარმოადგენდა. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აღმოცენებული ეს მიმდინარეობა შეიქმნა რეალიზმისა და ნატურალიზმის საპირისპიროდ.

სწორედ თავისი რომანტიკული ბუნების გამო ედმონ როსტანმა უარი თქვა იურისტის კარიერაზე და მწერლობა დაიწყო. ის წერს სონეტებს, ოდებს, პოემებს, ვოდევილებს, მაგრამ მის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პიესებს.

მისი ცხრა პიესიდან არც ერთს არ ჰქონია ისეთი წარმატება, როგორც „სირანო დე ბერჟერაკს“, რომლის პრემიერიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ 1898 წლის 1 იანვარს, როსტანი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ხდება, ხოლო 1901 წლის 30 მაისს მას საფრანგეთის აკადემიის წევრად ირჩევენ.

„სირანო დე ბერჟერაკმა“ როსტანს წარმატების გარდა დიდი შემოსავალიც მოუტანა. თავისი სიცოცხლის ბოლო

ათი წლის განმავლობაში ედმონ როსტანი დეპრესიამ შეიპყრო. თითქოსდა ყველაფრით უზრუნველყოფილ და დაფასებულ მწერალს აწუხებდა მისი სხვა, განსაკუთრებით კი ახალი თხზულებების ნაკლებად წარმატებული ბედი. დეპრესიას დაერთო მძიმე სენი, ეგრეთ წოდებული „ესპანური გრიპი“ და 1918 წლის 2 დეკემბერს მწერალი გარდაიცვალა. ქალაქ კამბოში, როსტანის არნაგას სასახლის პარკში, სამი ბიუსტი დგას: სერვანტესის, შექსპირის და ვიქტორ ჰიუგოსი. ამით ბევრი რამ აიხსნება.

როსტანის ტექსტში უამრავი ისტორიული პერსონაჟი და რეალია გვხვდება.

თითქმის ყველა მოქმედ გმირს ჰყავს პროტოტიპი:

**როქსანა** მადლენა რობინო, ბარონესა დე ნევილეტი (გარდაიცვალა 1657 წელს), მართლაც სირანოს ნათესავი იყო, მაგრამ არ მიეკუთვნებოდა პრეციოზთა<sup>1</sup> წრეს. როსტანმა ამ პროტოტიპს დაამატა კიდევ ერთი სილამაზით გამორჩეული პრეციოზი ქალი მარი რობინო, რომლის მეტსახელიც იყო როქსანა;

**კრისტინი** კრისტოფ დე შამპანი, ბარონი დე ნევილეტი, სირანოს ნათესავის ქმარი, რომელიც არასის ალყის დროს დაიღუპა.

**გრაფი დე გიში** გრაფი ანტუან დე გიში, ჰერცოგი დე გრამონი (1604-1678), საფრანგეთის მარშალი, პერი, კარდინალ დე რიშელიეს ერთ-ერთი დისშვილის ქმარი.

**ანრი ნიკოლა ლე ბრე** (1618-1679) სირანოს ბავშვობის მეგობარი, ოფიცერი, შემდგომ ადვოკატი და სირანოს თხზულებათა გამომცემელი.

**რაგნო** სიპრიენ/ფრანსუა რაგნო (გარდაიცვალა 1654 წ.) პარიზის სენტონორეს ქუჩაზე მდებარე ცნობილი საკონდიტროს მფლობელი და მცხობელი. შემდეგ გაკოტრდა და მოლიერის თეატრში გამნათებლად მუშაობდა. ამბო-

<sup>1</sup>პრეციოზები – ლა სიუნტენის მიერ დამკვიდრებული ტერმინი, რომელიც უკავშირდება ჟან დე ლაფონტენს და მადლენ დე სკიუდერის, ძირითადად აბატ მიშელ დე პიურის რომანს „პრეციოზი ქალი, ანუ საძინებლების საიდუმლოებები“ და მოლიერის პიესას „სასაცილო პრეციოზები“.

ბენ, რომ თავადაც წერდა ლექსებს.

**ლინიერი** ფრანსუა პაიო ლინიერი (1626-1704), ეპიგრამების და პაროდების ავტორი, პოეტური ლიბერტინაჟის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სირანოს და პოლ სკარონის მეგობარი.

**მონფლიორი** მსახიობი (ნამდვილი სახელი ზაკარი ჟაკობი, 1610-1667) ბურგუნდის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. ცნობილი იყო თავისი გადაჭარბებული და პათეტიკური სადეკლამაციო სტილით.

პიესა „სირანო დე ბერჟერაკი“ ჟანრი როსტანმა განსაზღვრა, როგორც ჰეროიკული კომედია. ჰეროიკული კომედია ესპანეთში შეიქმნა და წარმოადგენს შუალედურ ჟანრს ტრაგედიასა და კომედიას შორის. ჰეროიკულ ტრაგედიასში პერსონაჟები მაღალი დანიშნულებისათვის იღვნიან და იბრძვიან; ფინალი ბედნიერია, მასში არ არის რაიმე საფრთხე, ის მაყურებელში არ იწვევს შიშს და თანაგრძნობას/შეცოდებას. მისი მოქმედი გმირები მეფეები და არისტოკრატები არიან. განმარტება პიერ კორნელს (1649 წ.) ეკუთვნის. ეს ჟანრი ესპანეთიდან შემოიტანეს და დაამკვიდრეს საფრანგეთში **ჟან როტრუმი** (1609-1650) და **პიერ კორნელმა** (1606-1684), რომელმაც საფრანგეთში მისი ახალი ვარიანტი შექმნა. ინგლისში იგი ჯონ დრაიდენმა (1631-1700) დაამკვიდრა.

კომედია ჰეროიკული ხდება მაშინ, როდესაც წმინდა და ტრაგიკული ადგილს უთმობს ფსიქოლოგიურ და ბურჟუაზიულ კომპრომისს. ასე ხდება კორნელის „სიდში“, სადაც დრამატურგი ცდილობს, ერთმანეთს შეარიგოს ფსიქოლოგიური, ინდივიდუალური და სახელმწიფო ინტერესები.

ჰეროიკული ელემენტი კომედიასა თუ ტრაგედიასში გამოხატულია გადამეტებულად მაღალფარდოვან ტონალობასა და სტილში, გმირების კეთილშობილურ საქციელში, მთელ რიგ მძაფრ კონფლიტებში (ომი, მოტაცება, უზურპაცია), მოქმედების ადგილის და პერსონაჟების ეგზოტიკურობაში, ლეგენდარულ სიუჟეტში, გამოჩენილ, ცნო-

ბილ მოქმედ გმირებში (პატრიკ პავი).

ედმონ როსტანის ჰეროიკული კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“ ეხება ისტორიულ, გამოჩენილ ფიგურას, მასში ჭარბობს მაღალფარდოვანი ელოკუენტური სტილი. ნაწარმოებში ურიცხვი კეთილშობილური და გმირული საქციელია, მთავარი გმირი თავგანწირვით, მაგრამ ანონიმურად იბრძვის თავისი სიყვარულისთვის. პიესა შეიცავს უამრავ პიკანტურ, კომიკურ და გროტესკულ პასაჟს. ყოველივე ეს ჯდება „ჰეროიკული კომედიის“ კორნელისეულ დეფინიციასში.

მაგრამ პიესის V მოქმედება არღვევს ამ ჟანრის ფინალთან დაკავშირებულ ყველა დებულებას თუ თეზისს. პ. კორნელის თანახმად, ჰეროიკული კომედია მაყურებელში არ უნდა იწვევდეს თანაგრძნობას, არადა, სწორედ თანაგრძნობა და თანაგანცდაა ის შედეგი, ის კათარზისი (ლესინგის გაგებით), რომელიც ეუფლება როსტანის „სირანო დე ბერჟერაკის“ მკითხველსა და მაყურებელსაც.

როსტანის პიესის მთავარი გმირი კვდება იმ ჭრილობის გამო, რომელსაც მას მისი მტრები მუხანათურად მიაცენებენ. მისი სიკვდილი მაყურებელში უდიდეს თანაგრძნობას იწვევს. დამეთანხმებით, ამგვარ ფინალს ეგრეთ წოდებულ „ჰეფინდთან“ საერთო არაფერი აქვს. თანაგრძნობას და შეცოდებას კი ეს ფინალი იწვევს დიდი დოზით. საერთოდ, პიესის ფინალის წაკითხვისა თუ ნახვის შემდეგ მკითხველსა და მაყურებელს თანაგრძნობის და შეცოდების გრძნობებთან ერთად იპყრობს „ჩუმი დუმილი“, ჩნდება პაუზა, რომელიც გამოხატავს მორიდებას, მონივნებას, პატივისცემას არა მხოლოდ კონკრეტულად სირანოს ბედისადმი, არამედ მთელი სიუჟეტური კოლიზიისადმი და მისი კიდევ ორი მონაწილის, როქსანასა და კრისტიანის მიმართ. ამ პიესაში სამი მსხვერპლია: სირანო, როქსანა და კრისტიანი. როქსანა მსხვერპლია, რადგან ის მოიხიბლა კრისტიანის გარეგნული სილამაზით და ვერ მიხვდა, თუ ვინ იყო დახვეწილი სასიყვარულო წე-

რილების ავტორი; კრისტიანი მსხვერპლია, ერთი მხრივ, თავისი უმეცრებისა და ელოკვენტური უნიჭობისა, მეორე მხრივ კი იმისა, რომ მას სიყვარული ძალზე პრიმიტიულად ესმის, როგორც ქალისა და მამაკაცის ფიზიკური სიახლოვე. მიუხედავად იმისა, რომ როქსანამ და კრისტიანმა ჯვარი დაინერეს, მათ შორის ფიზიკური სიახლოვე არ ყოფილა, რადგან სწორედ აქ იყენებს როსტანი კომედიისათვის დამახასიათებელ მოულოდნელობისა და სწრაფი, ვიტყვოდი, ბრძანების წამიერი შესრულების ილეთს, განზილებული გრაფი და გიში თავის მეტოქეზე შურს იმით იძიებს, რომ გასკონიელთა გვარდიელების პოლკს უმაღლე არასის საბრძოლო ველზე გაიწვევს.

ჟანრობრივად როსტანის „სირანო და ბერჟერაკი“ არის ნიმუში მაღალი კომედიის და მაღალი ტრაგედიის ნაზავისა.

ამ ტრაგიკულის და კომიკურის ნაზავის კულმინაციას კი წარმოადგენს სირანოს ცხვირის უჩვეულოდ დიდი ზომა და განსაკუთრებული ფორმა. ეს ცხვირი, ფაქტობრივად, სირანოს ყველა ქმედების და განცდის საფუძვლად ქცეულა. კადეტებს აკრძალული აქვთ სიტყვა „ცხვირის“ ხსენება. სირანო ამ ცხვირის გამო ვერ გამოუტყდება როქსანას სიყვარულში, რადგან დარწმუნებულია, რომ ლამაზი ქალი მახინჯ მამაკაცს ვერ შეიყვარებს, რაგინდ კეთილშობილი და ნიჭიერიც უნდა იყოს იგი. ამიტომ თანხმდება ის სუფლიორის როლზე, ამიტომ თანხმდება წერილების ანონიმურ ავტორობაზე. ნაწარმოების ფინალი მით უფრო ტრაგიკული და გულის ამაჩუყებელია, რომ ირკვევა: როქსანას უყვარს წერილების ავტორი, თუნდაც მახინჯი იყოს გარეგნულად, მაგრამ უყვარს მისი ლამაზი სულის გამო.

1903 წლის 4 ივნისს ედმონ როსტანმა წარმოთქვა სიტყვა მისი ფრანგული აკადემიის წევრად არჩევასთან დაკავშირებით. ამ სიტყვაში მან შეაფასა თავისი წინამორბედის ანრი დე ბორნიეს ღვაწლი ფრანგული ლიტერატურის წინაშე, განსაკუთრებით კი ყურადღება

გამახვილა მის ერთ ნაწარმოებზე „როლანდის ქალიშვილი“. ამ კონტექსტში როსტანი ახსენებს სიტყვას, რომელსაც ფრანგულად Le Panache ეწოდება. ამავე სიტყვაში როსტანმა მოგვცა ამ ტერმინის თავისი ინტერპრეტაცია და დეფინიცია. აი, ფრაგმენტი მისი სიტყვიდან:

„ბატონ დე ბორნიეს პერსონაჟები ჭეშმარიტად მასშტაბურნი არიან, ყოველ შემთხვევაში იმდენად დიდნი, რომ **კოპნიაობის და სიმამაცის** გარეშეც იოლად გავიდოდნენ ფონს. **კოპნიაობა და სიმამაცე**, გნებავთ გარეგნული ბრწყინვალეებისკენ მიდრეკილება! ეს არის ტერმინი, რომელსაც, მომიტევეთ, ვინ სადაკვებებს და ვინ სადა, არადა, საჭიროდ მიმაჩნია, შევთანხმდეთ ამ ცნების საყოველთაოდ მისაღებ მნიშვნელობაზე. რა არის **კოპნიაობა და სიმამაცე?** გმირი რომ იყო, ამისთვის საკმარისი არ არის გარეგნული ბრწყინვალეობა. **კოპნიაობა და სიმამაცე** არ წარმოადგენს რაიმე სიდიდეს, ეს უფრო ის რაღაცაა, სიდიდეს რომ ერთვის, ემატება და მის თავზე წრეებს კრავს. ის ხან დაფრინავს, ხანაც ზებუნებრივ განზომილებებს იძენს, ხან კიდევ ზღვის ტალღებივით ლივლივებს. ნუ იფიქრებთ, რომ ერთი სული მაქვს, სანამ ლექსიკონში ცვლილებებს შევიტან, არამც და არამც. უბრალოდ, მსურს, ჩემეული დეფინიცია შემოგთავაზოთ: **კოპნიაობა და ვაჟკაცობა**, გარეგნული ელვარებისადმი ლტოლვა არის სიმამაცის სული და გონი. დიახ, იგი მხოლოდ ამ გაგებით წარმოადგენს სიტუაციის მართვის სიმამაცეს და აი, სწორი სიტყვაც ნაპოვნია. სიდიდის არც ერთ პასუხს არ აკლია ელვარება, კორნელის ბრწყინვალეობა სწორედ გონების სისხარტე, ენაკვიმატობა და საზრიანი ხუმრობებია. ფრთოსანი სტილი ჩვენთან ესპანეთიდან მოვიდა. მაგრამ მას დაერთო საფრანგეთის აურა, უნატიფესი გემოვნების სიმსუბუქე, უნარი საფრხტის პირისპირ ხუმრობისა, რაც თავისთავად უალრესი ზრდილობის გამოვლინებაა და ტრაგედიაში დიდად ფასდება. **კოპნიაობა** არის გმირობის, ვაჟკაცობის მორიდებული გამოხატულება, ის ღიმილია, რომლითაც თითქოსდა საკუთარი ვაჟკაცობი-

სა და სიდიადისთვის იხდი ბოდის. რა თქმა უნდა, გმირი ამ ელვარების გარეშე უფრო თვითკმარი ჩანს: ელვარება იმ მსხვერპლშია, რომელიც გავიღეთ. იქნებ ის ცოტა ფრივოლური გვეჩვენება ან სულაც ზედმეტად თეატრალური? და მაინც, ეს **კოპნიაობის** თუ ბრწყინვალეების სიყვარული მხოლოდ წყალობაა, ძვირფასი ძღვენია. ამ წყალობის თუ ძღვენის შენარჩუნება სიკვდილამდე მიძიმეა და რთული, რადგან იგი გმირისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა და სწორედ ამის გამო, ასეთ წყალობას ვუსურვებდი ყველა ჩვენგანს“ (თარგმანი მერაბ ფიფიასი).

ამ ფრაგმენტში მთარგმნელმა შემოგვთავაზა სიტყვა „კოპნიაობა“.

Le Panache-ს ბევრი სხვა მნიშვნელობაც აქვს: პლიუმაჟი, ჯილა, სიამაყე, სიმამაცე, ვაჟკაცობა, ემბლემა, გერბი, დევიზი. ედმონ როსტანის ჰეროიკული კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“ ამ სიტყვით მთავრდება! სწორედ ეს არის გასაღები სირანო დე ბერჟერაკის, როგორც პერსონაჟის და პიროვნების, მთელი არსისა. ამ ატრიბუტის ამარა ხვდება იგი სიკვდილს, წარსდგება მის წინაშე. მეტი მას არაფერი აბადია. შესაბამისად, Le Panache გაცილებით მეტია, ვიდრე „კოპნიაობა“. ეს არის ღირსება, სიმამაცე, სიამაყე. ეს სიტყვები წერია დე ბერჟერაკის გერბზე.

სამწუხაროდ, არც ერთ ქართულ თარგმანში (არც მიხეილ ქვლივიძის, არც მანანა ანთაძის თარგმანში) ეს ბოლო ფინალური, საკმაოდ დიდი პასაჟი გამოტოვებულია. ასევე, ოთხი რუსული თარგმანიდან ის მხოლოდ ორშია შესული: ტ. შჩეპკინა-კუპერნიკის თარგმანში არის მოხსენიებული «Мой рыцарский султан», ე. ბაევსკაიას თარგმანში წერია: Гордость. ლუდვიგ ფულდას გენიალურ გერმანულ თარგმანში ნახსენებია სიტყვა Mein Wappenschild/ ჩემი ემბლემა, ანუ დევიზი. ინგლისურ თარგმანში დატოვებულია სიტყვა My

Panache (თარგმანი გლედის თომასის და მერი ფ. გილემარის). ქართულად თარგმნილ კინოვერსიაში კი ჟღერს ასეთი ვარიანტი: „ჩემი რაინდული ჯილა!“ ჯილა ნიშნავს თავსამკაულს თვალ-მარგალიტით შემკულს, თმაში გასაბნევი ფრთა ან გვირგვინის შვერილები (ა. ელერდაშვილის უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი). ანუ იგივეა, რაც პლიუმაჟი. ანუ ისევე სცილდება ორიგინალის ჩანაფიქრს.

## აღაპტაციები ხელოვნების სხვადასხვა დარგში \_ ოპერა. მიუზიკლი, ბალეტი

ედმონ როსტანის პიესის „სირანო დე ბერჟერაკის“ წყალობით ამ პერსონაჟმა მუსიკაშიც პოვა ასახვა.

უოლტერ დამროშმა დაწერა ოპერა „სირანო დე ბერჟერაკი“, რომელიც 1913 წლის 27 თებერვალს დაიდგა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში.

1936 წელს ფრანკო ალფანომ დაწერა ოპერა „სირანო დე ბერჟერაკი“. ყარა ყარაევს კი მიუზიკლის „შეუდრეკელი გასკონიელის“ დაწერა (1973) შთააგონა.

90-იან წლებიდან იწყება მიუზიკლების ერა სირანოს თემაზე:

1995 წელს შეიქმნა კომპოზიტორ მარკ შუბრინგის მიუზიკლი „სირანო დე ბერჟერაკი“, რომელშიც ქრისტიანის როლს ასრულებდა იონას კაუფმანი.

1999 წელს ად ვან დეიკის მიუზიკლი „სირანო“ (ჰოლანდიაში).

1996 წელს ინგლისში დაიწერა და დაიდგა ჰოლ შეიპერის და დევიდ რიზის მიუზიკლი.

კიდევ ერთი მიუზიკლი ეკუთვნით ენტონი ბერჯესს და მაიკლ ჯ. ლიუსისს (აშშ).

ასევე უნდა ვახსენოთ ინგლისური მიუზიკლი რიჩარდ მალტბის და დევიდ შაირის ავტორობით.

<sup>1</sup> ტერმინ „ჯილას“ ხმარობს ნათელა მგელაძეც მონოგრაფიაში „ედმონ როსტანი“. თბილისი, გამომცემლობა ხელოვნება, 1979 წ.

2015 წელს კომპოზიტორმა კონსტანტინ შტალბერგმა დაწერა კიდევ ერთი მიუზიკლი „სირანო დე ბერჟერაკი“.

1959 წელს კომპოზიტორი მარიუს კონსტანტი წერს ბალეტს „სირანო“.

2014 წელს ეს ბალეტი ქორეოგრაფმა გოიო მონტერომ ნიურნბერგის სახელმწიფო თეატრში დადგა.

## სინემატოგრაფიული სირანო

### ედმონ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკის“ კინოადაპტაციები

ამ ნარკვევში მე არ ვეხები ედმონ როსტანის პიესის თეატრალური დადგმების ისტორიას და ტრადიციებს. ეს თემა უსაზღვროა და ჩემი კვლევის საგანს სცილდება. ფაქტია, რომ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“ მსოფლიოს თითქმის ყველა თეატრის რეპერტუარს ამშვენებს. მას მუდამ ჰყავს და ეყოლება მაყურებელი, ყველა დიდი მსახიობი ოცნებობს ამ როლზე.

აქ მხოლოდ საეკრანო ვერსიებზე შევიჩერდები:

1. 1900 წელს გადაღებული „სირანო დე ბერჟერაკი“. რეჟისორი კლემან მორისი, მთავარ როლში ბენუა კონსტანტ კოკლენი. პირველად აჩვენეს 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე. ფილმი გაფერადებული იყო და ახლდა სინქრონული ტექსტი და მუსიკა. ამიტომ კინოს ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს პირველ ხმოვან და ფერად ფილმად. ხანგრძლივობა ორი წუთია. ეს არის ფრაგმენტი როსტანის პიესიდან – ვალვერთან დუელის დროს წარმოთქმული ბალადა.

2. „სირანო დე ბერჟერაკი“ იტალია-საფრანგეთი, 1923/1925. რეჟისორი აუგუსტო ჯენინა, სირანოს როლში პიერ მარნიე. ფილმზე მუშაობა სამ წელს გაგრძელდა. ამჟამად ფირი გაფერადებული და რესტავრირებულია.

3. „სირანო დე ბერჟერაკი“ საფრანგეთი, 1945/1946. რეჟისორი ფერნან რი-

ვერი, სირანოს როლში კლოდ დოფენი.

4. „სირანო დე ბერჟერაკი“ აშშ, 1950 წ. რეჟისორი მაიკლ გორდონი, სირანოს როლში ხოსე ფერერი, როქსანას როლში მელა პაუერსი.

5. 1959 წელს იაპონელმა რეჟისორმა ჰიროში იგანაკიმ გადაიღო ფილმი „სამურაის საგა“, რომელშიც მთავარ როლს ლეგენდარული იაპონელი მსახიობი ტომირო მიფუნე ასრულებს. ეს ფილმი საგანგებო აღნიშვნის ღირსია. ეს არის არაჩვეულებრივი მაგალითი ევროპული დრამატურგიული ნაწარმოების ადაპტაციისა სხვა, აბსოლუტურად უცხო კულტურაში, ეპოქაში, სხვა სინამდვილეში. შედეგად მივიღეთ გენიალური ფილმი, რომელშიც როსტანის დრამის დედააზრი, ძირითადი სიუჟეტური კოლიზია შენარჩუნებულია და განსაკუთრებულ ელფერს იძენს ახალ კულტურულ ფონზე. სირანოს ცხვირის ფორმაც კი ადაპტირებულია იაპონური სახის ნაკვეთებთან – ის გრძელი კი არ არის, არამედ არაბუნებრივად სქელი და უშნო ნესტოები აქვს.

6. 1960 წელს ფრანგმა რეჟისორმა კლოდ ბარმამ იმ პერიოდის „კომედი ფრანსეზის“ საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით გადაიღო ტელეფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“. მთავარ როლს ასრულებდა გენიალური ფრანგი მსახიობი დანიელ სორანო. ეს ვერსია გამოირჩევა როსტანის ტექსტისადმი დიდი ერთგულებით და აქცენტი გაკეთებულია ძირითადად ტექსტის დეკლამაციურ და ინტონაციურ ნიუანსებზე. სხვათა შორის, როდესაც 1962 წელს ორმოცდაერთი წლის დანიელ სორანო გარდაიცვალა, იგი სირანოს კოსტიუმში დაკრძალეს (როგორც ჟერარ ფილიპი „სიდის“ კოსტიუმში).

7. 1983 წელს საბჭოთა კავშირში რეჟისორი სერგეი ევლახიშვილი იღებს ფილმ-სპექტაკლს „სირანო დე ბერჟერაკი“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს ცნობილი რუსი მსახიობი გიორგი ტარატორკინი.

8. 1989 წელს საბჭოთა კავშირში გადაიღეს ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“. რეჟისორი ნაუმ ბირმანი, მთავარ როლებში გრიგორი გლადი და ოლგა კაბო.

9. 1987 წელს აშშ-ში გადაიღეს ფილმი „როქსანა“, რომელიც წარმოადგენს პაროდიას, ვიტყოდი, უფრო ტრავესტიას როსტანის გენიალური დრამისა. რეჟისორია ფრედ სკეპისი, მთავარ როლში – სტივ მარტინი.

10. 1990 წელს ფრანგი რეჟისორი ჟან-პოლ რაპნო იღებს ფილმს „სირანო დე ბერჟერაკი“ ჟერარ დეპარდიეთი მთავარ როლში. ამ წერილში სწორედ რაპნოს ფილმის ანალიზს გთავაზობთ.

### **ჟან-პოლ რაპნოს 1990 წლის ფილმის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი**

ცნობილი გერმანელი კულტუროლოგის და პუბლიცისტის გუსტავ ფრაიტაგის (1817-1895) თეორიის თანახმად, დრამას აქვს პირამიდისებრი, ანუ პირამიდალური სტრუქტურა:

1. I მოქმედება – ექსპოზიცია;
2. II მოქმედება – კვანძის შეკვრა, აღმავალი მოქმედება, მაინტრიგებელი მომენტი;
3. III მოქმედება – კულმინაცია და პერიპეტია;
4. IV მოქმედება – პიესის მოქმედების შენელება, თუმცა კულმინაცია კიდევ ერთხელ მძაფრდება და შემდეგ დაღმავალად მიედინება;
5. V მოქმედება – კონფლიქტის გადაჭრა, ანუ კვანძის გახსნა.

სწორედ ასეთ სქემატურ და სემანტიკურ პრინციპზეა აგებული ედმონ როსტანის პიესა და ჟან-პოლ რაპნოს ფილმიც ამ სტრუქტურას ეყრდნობა, რადგანაც ლიტერატურული დედნის კლასიკურ მაინტერპრეტირებელ ადაპტაციას წარმოადგენს.

## **1. I მოქმედება ექსპოზიცია**

ოპერატორის კამერა ახლო ხედით გვიჩვენებს პორტუგეზის მატარებელი ბიჭუნას ფეხებს, რომელიც, წვიმაში და ლაფში ამოსვრილი, ჩქარობს, მიიყვანოს სტუმარი თეატრში. ეტლით მოდის თეატრალი ბურჟუა თავისი ვაჟიშვილით, რომელიც თეატრის კულტურას უნდა აზიაროს. მოქმედების კონცენტრირება ხდება ოტელ დე ბურგონთან, ანუ ბურგუნდიის თეატრთან, სადაც ამ საღამოს ასრულებენ ბაროს პიესას „კლორიზა“. მთავარ როლში უნდა წარსდგეს ცნობილი მსახიობი მონფლიორი.

ნელ-ნელა ჩნდებიან მოქმედი გმირები. დავიცავ თანმიმდევრობას: რაგნო, ლინიერი, კრისტიანი, გრაფი დე გიში, ვალვერი, ლე ბრე, როქსანა. მონფლიორი გამოდის სცენაზე და თავისი ჩვეული გადაპრანჭული მანერით იწყებს დეკლამაციას. ჩაგვესმის სირანოს ხმა, რომელიც მას თამაშს უკრძალავს. მეორე გაფრთხილებისას სირანო უკვე თავად გამოჩნდება, ხოლო მესამე გაფრთხილების შემდეგ მონფლიორი ქრება – სირანო გამარჯვებულია, მაგრამ აქვე გამოელაპარაკება ერთ მაყურებელს, რომელიც თავის უკმაყოფილებას გამოთქვამს ჩაშლილი სპექტაკლის გამო. სირანო ყურადღებას ამახვილებს თავის ცხვირზე. ეს არის გაფრთხილება ყველასათვის, რომ არავინ გაბედოს, შეეხოს მის ცხვირს. ვალვერი, რომელსაც სურს, როქსანას თვალში გმირი გამოჩნდეს, გაბედავს და ეტყვის სირანოს, რომ მას ძალიან დიდი ცხვირი აქვს. ამას მოჰყვება სირანოს ცნობილი მონოლოგი ცხვირზე და დუელი სირანოსა და ვალვერს შორის, რომელიც სირანოს ექსპრომტად შეთხზული ბალადის თანხლებით სრულდება.

სირანო კლავს ვალვერს. ყველანი მიმოიფანტებიან, რადგან დუელები აკრძალულია. სირანო კარგავს თავის ქუდს. მაგრამ ის პატარა ბიჭუნა, მამასთან ერთად რომ მოვიდა თეატრში, იპოვნის ამ ქუდს და გადასცემს სირა-

ნოს. საგულისხმოა სირანოს ჟესტი – ის ბიჭუნას თავზე ხელს გადაუსვამს და გაულიმებს.

სირანო და ლე ბრე განმარტოვდებიან. საუბარში სირანოს ინტონაცია იცვლება, ის გამოუტყდება მეგობარს, რომ შეყვარებულია, თანაც ყველაზე ლამაზ ქალზე მადლენ რობენზე, რომელსაც როქსანას ეძახიან. უეცრად როქსანას დუენია მოდის და სირანოს გადასცემს, რომ მის ქალბატონს მისი ნახვა სურს. პაემანი დანიშნულია: ხვალ, დილის შვიდ საათზე რაგნოს საკონდიტროში, სენტ-ონორეს ქუჩაზე.

სირანო ისეთი გახარებულია, რომ, როდესაც გაიგებს, ლინიერს პამფლეტის გამო ასი დაქირავებული მკვლელი ელოდება ნელის კოშკთან, თავად შეეპრძობება ამ ას კაცს და იმარჯვებს. სცენა გადაღებულია ნისლში, მისი ტემპორიტიმი და მოძრაობები ბალეტს წააგავს.

## **2. II მოქმედება ჰპანძის შიკვრა, ალმავალი მოქმედება, მაინტრიგული მოქმედება**

რაგნო საწერ მაგიდასთან ზის და ლექსს თხზავს, მაგრამ შემდეგ კადრი ფართოვდება და აღმოჩნდება, რომ ჩვენ რაგნოს საკონდიტროში ვიმყოფებით. შემოდის სირანო. ის როქსანასთან შესახვედრად ემზადება. სირანოს ზემოთ, სხვენში აიყვანენ. ის მიუჯდება მაგიდას და დაიწყებს წერილის წერას. უეცრად სარკეში საკუთარ თავს დაინახავს, შეძწუნებული მიატრიალებს სარკეს და შეწყვეტს წერას. შემოდის როქსანა დუენიასთან ერთად. სირანო დუენიას ტკბილეულობით სავსე პარკს მიართმევს და უბრძანებს, გარეთ მიიროთვას. როქსანა მას გამოუტყდება, რომ შეყვარებულია. როქსანასთან საუბარში სირანოს მოლოდინი ჯერ იზრდება, შემდეგ კი სიტყვა „ლამაზის“ ხსენებაზე ქრება. სირანო „აჰ“ შორისდებულს მრავალფეროვანი ინტონაციით წარმოთქვამს. ირკვევა, რომ როქსანას უყ-

ვარს ვინმე ბარონი კრისტიან დე ნევილეტი, რომელიც დღეიდან გასკონიელ გვარდიელთა პოლკში მსახურობს და როქსანა სირანოს სთხოვს, კრისტიანი დაიცვას და დაუმეგობრდეს.

...გასკონიელ გვარდიელთა პოლკში დიდი აურზაურია. ყველა ელოდება სირანოს, რომელმაც უნდა უამბოს, თუ როგორ შეეპრძოლა ას კაცს ნელის კოშკთან. მოდის დე გიში და აფრთხილებს სირანოს, რომ მის საქციელს ნელის კოშკთან დიდი უსიამოვნებები შეიძლება მოჰყვეს. დე გიში ეტრფის როქსანას და სურს გაათხოვოს, რომ შემდეგ საყვარლად გაიხადოს. თავად დე გიშს ცოლად ჰყავს კარდინალ რიშელიეს დისშვილი. სირანო თავის დამოუკიდებლობას იცავს, მის ერთგვარ კრედოს წარმოადგენს ცნობილი მონოლოგი „გმადლობთ, არა!“

კრისტიანი გააფრთხილეს, რომ პოლკში სიტყვა „ცხვირის“ წარმოთქმა აკრძალულია. მაგრამ კრისტიანი ყველანაირად ცდილობს, გამოიწვიოს სირანო და ამ სიტყვას რამდენჯერმე წარმოთქვამს. სირანო წამოხტება, ყველას გარეთ გაყრის და უეცრად გულში ჩაიხუტებს კრისტიანს. მოულოდნელობის ეფექტი დიდია როგორც კრისტიანისთვის, ასევე გვარდიელებისთვის, რომლებიც სეირის საყურებლად სარკმილიდან იჭყიტებიან. შედგება პაქტი სირანოსა და კრისტიანს შორის. კრისტიანს მხოლოდ გარეგნული სილამაზე აქვს, მაგრამ ნიჭი, განათლება და მჭევრმეტყველება კი აკლია. სირანო ჰპირდება, რომ მის მაგივრად დაწერს სასიყვარულო წერილებს და პირველს, უკვე გამზადებულს, მაშინვე გადასცემს კრისტიანს.

## **3. III მოქმედება კულმინაცია და პერიპეტია**

არაჩვეულებრივად ხატოვნად და დინამიკურად არის ნაჩვენები როქსანას რეაქცია ამ წერილებზე. იგი აღფრთოვანებულია და სულ ახალი წერილის მოლოდინშია.

როგორც კი კრისტიანი გადაწყვეტს, რომ მარტო, სირანოს დახმარების გარეშე დაელაპარაკოს როქსანას, მას მხოლოდ ამის თქმა შეუძლია: „მიყვარხარ“. როქსანა კი მისგან ამალღებულ სიტყვებს ელის.

ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი არის სცენა როქსანას აივანთან. ღამით აივანთან კრისტიანი მხოლოდ პირს ალებს, მის მაგივრად კი ლაპარაკობს სირანო. სირანოს სიტყვებმა როქსანას გული საბოლოოდ დაიპყრო და ის მზად არის, შეხვდეს კრისტიანს. როდესაც სუფლიორის წყალობით „გამარჯვებული“ კრისტიანი აივნის მოაჯირზე ადის და როქსანას ჩაიხუტებს, სირანო საშინლად იტანჯება. მაგრამ... ამ დროს მას გადაარჩენს შემთხვევა, როგორც ეს კომედია დელ'არტეში ხდება: გამოჩნდება ერთი ბერი, წერილით დე გიშისგან, რომელიც როქსანას ატყობინებს, რომ ღამით, ომში წასვლამდე, მასთან პაემანზე მოვა. როქსანა კი უეცრად ბერს, რომელმაც არ იცის, თუ რა წერია ამ წერილში, ეტყვის, რომ, ამ წერილის თანახმად, მან სასწრაფოდ უნდა დასწეროს ჯვარი კრისტიანს და მას. ვიდრე ესენი ჯვარს იწერენ, საჭიროა, დე გიში ვინმემ გზად შეაყოვნოს. ამ ფუნქციას სირანო იტვირთავს. კადრში სავსე მთვარე ჩანს. სირანოს ინსპირაციაც სწორედ მისგან მოდის. პირზე აკრული წითელი ლენტით და თვალებზე ჩამოფხატული ქუდით ის, თითქოს მთვარიდან ჩამოვარდნილი, დე გიშს ლაპარაკს გაუბამს. აინტერესებს, რომელ ქვეყანაშია, რომელი წელია, რომელი საათია. ამგვარად გაყავს დრო და როდესაც ჯვრისწერა დასრულდება, მაშინ გამოაჩენს თავის ნამდვილ სახეს და ფართოდ გაუღებს დე გიშს როქსანას სახლის კარს. გამწარებული დე გიში ამცნობს ახლად შეუღლებულ წყვილს, რომ ახლავე უნდა გამოეთხოვონ ერთმანეთს, რადგან გასკონიელთა კორპუსი დაუყოვნებლივ მიდის ომში არასში. სირანო გახარებულია. როქსანა მას აბარებს კრისტიანს, სთხოვს, მასზე იზრუნე და შეახსენე ხოლმე, წერილი ყოველდღე მომწეროსო.

#### 4. IV მოქმედება პიესის მოქმედების უნდა- ლება, თუმცა კულმინაცია კი- ღევ ერთხელ მიაწვრდება და უამდეგ დაღმავალად მიედინება

არასის ალყა. 1640 წელი. ფრანგების ჯარს, ესპანელებისგან განსხვავებით, ძალიან უჭირს. სანოვაგე გამოეღიათ. ჯარისკაცები მშვიერ-მწყურვალნი და დაძონდილები არიან. გასამხნეველად სირანო მათ აგონებს მშობლიურ გასკონიას. პოლკში ვითარება ერთხანს ჩანყნარდება. მოდის დე გიში და გასკონიელებს პასიურობას საყვედურობს. სირანო კი ეკითხება, თუ სად დაკარგა მან თავისი თეთრი შარფი. დე გიში ამ შარფს იყენებს სიგნალად ერთი ესპანელი ჯაშუშისთვის და ესპანელებიც ამ სიგნალზე იწყებენ შეტევას. ფრანგები ამაგრებენ თავიანთ პოზიციებს.

სირანო როქსანას თხოვნას ზედმიწევნით ასრულებს. ის დღეში ორ წერილს წერს და ყოველ დღით თავად გადააქვს წერილები ესპანელების პოზიციების გავლით არაოკუპირებულ ფრანგულ ტერიტორიაზე. კრისტიანი მიხვდა, რომ სირანოს როქსანა უყვარს. სირანო უარზეა. ამ დროს გამოჩნდება როქსანა, რომელიც რაგნოსთან ერთად საჭმლით დატვირთული ეტლით ჩამოვიდა. ამ არაჩვეულებრივი სცენის კულმინაციაა, როცა როქსანა კრისტიანს ეტყვის, რომ მისმა წერილებმა გააბედინა ამ ნაბიჯის გადადგმა. მას კრისტიანი ისე უყვარს, ის მახინჯიც რომ ყოფილიყო, მაინც ეყვარებოდა მისი ლამაზი სულის გამო. იწყება შეტევა, კრისტიანი პრაქტიკულად ძალით აკვლევინებს თავს მტერს. უბეში მას სირანოს ბოლო წერილი უდევს, როქსანა დასტირის და პოულობს ამ წერილს. შემდეგ კი იწყება დიდი ბრძოლა და რაგნო და როქსანა იძულებულები არიან, წავიდნენ. სირანო ბრძოლის ველზე რჩება და თავგანწირვით იბრძვის.

## 5. V მოქმედება კონფლიქტის გადაჭრა, ანუ კვანძის გახსნა, კატას- ტროფა ან გამარჯვება

გავიდა თხუთმეტი წელი. დაქვრივე-ბული როქსანა ერთგულია კრისტიანის სიყვარულისა და მონასტერში ცხოვრობს, სადაც მას ყოველ შაბათს სტუმრობს სირანო. სირანო უყვება ქვეყნის ამბებს, თუ რა მოხდა სამეფო კარზე, რა დაიდგა თეატრში და ასე შემდეგ. სირანო მისი გაზეთია.

გრაფი დე გიში დაანინაურეს. ის ახლა მარშალია, ჰერცოგი დე გრამონი. ისიც მოდის ხანდახან როქსანას სანახავად. მონასტრის პარკში მოდის ლე ბრე. ჰერცოგი დე გრამონი აფრთხილებს ლე ბრეს, რომ სირანო დე ბერჟერაკის მტრებმა მასზე შურისძიება გადანყვიტეს. სირანო გამოდის თავისი ღარიბული მანსარდიდან, სადაც ლატაკივით ცხოვრობს. იგი გაუყვება ჩვეულ გზას მონასტრისაკენ. მაგრამ დაქირავებული მკვლელები ჩასაფრებულები არიან და ერთი სახლის სახურავიდან ბოძს ჩამოაგდებენ, რომელიც სირანოს თავზე დაეცემა. გამვლელები სწრაფად გადაუხვევენ თავს, უნდათ დაანვინონ, მაგრამ სირანო უარზეა. ის მიდის მონასტერში, რათა გამოეთხოვოს როქსანას. მან იცის, რომ ეს მისი სიცოცხლის დასასრულია. გულში ჩამწვდომია ის სცენა, როდესაც სირანო ზეპირად კითხულობს კრისტიანის ბოლო, გამოსათხოვარ წერილს. და სწორედ ახლა მიხვდება როქსანა ყველაფერს. ის საყვედურობს სირანოს, თუ რატომ არ გაუმხილა თავისი გრძნობა ადრე. რატომ მალავდა თხუთმეტი წელი ამ სიყვარულს. სირანო კი უარობს, მაგრამ ბოლოს მაინც გამოუტყდება სიყვარულში, თუმცა უკვე გვიანია, რადგან სიკვდილმა მოაკითხა. დაშნით ხელში ის კიდევ ერთხელ აღიმართა მტერთან საბრძოლველად, რომ უჩვენოს თავისი სიამაყე და სიამაყე. სირანო სულს განუტყევებს როქსანას კალთაში, ლე ბრე და რაგნო დასტირიან მის ცხედარს.

სალამოს ბინდი, ფოთლების შრიალი, ნელ-ნელა განათება იკლებს და კადრი ბნელდება.

აი, აქ არის ის „ჩუმი დუმილი“, ის პაუზა, რომელსაც ამ ნაწარმოების ფინალი ინვეეს მაცურებელში. დასრულდა ჰეროიკული კომედია.

ორიოდ სიტყვა ფილმის რეჟისორზე: ჟან-პოლ რაპნო (Jean-Paul Rappeneau) დაიბადა 1932 წლის 8 აპრილს ოსერში. კინოში მოღვაწეობა დაიწყო, როგორც სცენარისტმა. მისი სცენარით არის გადაღებული ივ რობერის „არსენ ლიუპენი“, ასევე ლუი მალის „ზაზი“ და ფილიპ დე ბროკას რამდენიმე ფილმი ჟან-პოლ ბელმონდოს მონაწილეობით, მათ შორის ყველასათვის კარგად ცნობილი კომედია „შესანიშნავი“ (1973). 1966 წელს ჟან-პოლ რაპნო, როგორც დამოუკიდებელი რეჟისორი, იღებს ფილმს „მდიდართა ცხოვრება“ კატრინ დენევის, პიერ ბრასერის და ფილიპ ნუარეს მონაწილეობით. ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ჟან პოლ რაპნო 1971 წელს იღებს „ხელმეორე ქორწინებას“ ბელმონდოსა და მადლენ ჟობერის მონაწილეობით. ეს ფილმი „სირანო დე ბერჟერაკთან“ ერთად გამორჩეულ ადგილს იკავებს მის ფილმოგრაფიაში, რომელიც არცთუ დიდია:

- 1975 წელს – „ლამაზი ველურები“;
- 1990 წელს – „სირანო დე ბერჟერაკი“;
- 1995 წელი – „ჰუსარი სახურავზე“;
- 2003 წელს – „ბედნიერი მგზავრობა!“;
- 2015 წელს – „სანიმუშო ოჯახები“.

ჟან-პოლ რაპნო არის ლუი დელიუკის (1965), ტორონტოს კინოფესტივალის (1990), საფრანგეთის კინოაკადემიის პრემიის (1990), სეზარის (1990), დავიდ დი დონატელოს (1991), კანის კინოფესტივალის (1971 და 1990) და BAFTA-ს (1992) პრემიების ლაურეატი.

მაგრამ ჟან პოლ რაპნო ბოლომდე ვერ ღალატობს სცენარისტობას – იგი თვითონ არის ყველა თავისი ფილმის სცენარის ავტორი ან თანაავტორი. ასეა ფილმშიც „სირანო დე ბერჟერაკი“, სადაც მასთან ერთად ედმონ როსტანის ტექსტზე იმუშავა ჟან-კლოდ კარიერმა. ამ უკანასკნელმა ისე ნატიფად და ფაქიზად გადაამუშავა როსტანის ტექსტი,

რომ უმნიშვნელო კუბიურები და სცენების თუ რეპლიკების ადგილმონაცვლეობა არც კი იგრძნობა.

ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი“ არის ჟან-პოლ რაპნოს რეჟისორული შედეგური და გენიალური ჟერარ დეპარდიეს საუკეთესო როლი. აღსანიშნავია პიერ ლომის არაჩვეულებრივი ოპერატორული ნამუშევარი, ფილმის მხატვრის ფრანკა სკვარჩაპინოს საუცხოო სტილიზებული კოსტიუმები და რაც მთავარია, ჟან-კლოდ პეტის გენიალური მუსიკა, რომელიც ამ ფილმის მეორე მთავარი გმირია. პირველივე კადრიდან პეტის მუსიკა მთელ ფილმს ანიჭებს პეროიკულ, ლირიკულ, კომიკურ და დრამატულ ხასიათს. და ამავე დროს განსაზღვრავს ფილმის ტემპორიტმს. და ეს ტემპორიტმი ტიტრების უკანასკნელ სტრიქონამდე რჩება მაყურებლის მეხსიერებაში.

არაჩვეულებრივად არის შერჩეული აქტიორული ანსამბლი: ჟერარ დეპარდიე, ან ბროშე, ვენსენ პერესი, ჟაკ ვებერი, როლან ბერტენი და სხვები.

და, რა თქმა უნდა, სულ არ არის გასაკვირი, რომ ამ ფილმმა ამდენი ჯილდო დაიმსახურა: კანის ფესტივალზე 1990 წელს ჟერარ დეპარდიემ საუკეთესო მსახიობის ნომინაციაში გაიმარჯვა. 1991 წელს საფრანგეთის **სეზარის** კინოპრემიაზე ცამეტ ნომინაციაში იყო წარდგენილი, მათგან აიღო ათი პრემია; „სირანო დე ბერჟერაკს“ მიენიჭა **„ოქროს გლობუსი“**, როგორც საუკეთესო უცხოურ ფილმს.

მკითხველი, ალბათ, ელოდა, რომ ამ

ნარკვევში მეტ ყურადღებას დავუთმობდი სირანო დე ბერჟერაკის ცხვირის ფენომენს და ზოგადად ცხვირის სიმბოლიკას. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო ნაშრომის და ავტორის დასახელება შეიძლება, თუნდაც ტეოფილ გოტიესი, რომელიც სამ გვერდს უთმობს სირანოს ცხვირს. ამ მხრივ ასევე საინტერესოა მ. ბახტინის ნაშრომი „ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა“. ორივე ავტორი ცხვირს, როგორც სემიოტიკურ ნიშანს, გროტესკის პრიზმით აფასებს და მას ადამიანის ან ცხოველის გარკვეული თვისებების ჰიპერბოლიზაციის ფუნქციას ანიჭებს. ეს აბსოლუტურად გასაგებია. სირანო დე ბერჟერაკის შემთხვევა სხვაა. სირანოსათვის დიდი ცხვირი სიმახინჯის განცდის კომპლექსია, რომელსაც ტაბუს არ ადებს, უბრალოდ, რაც შეუძლია, თავს იცავს იმისგან, რომ სხვების დაცინვის საგანი არ გახდეს. ამიტომაცაა ზედმეტად გაბედული, მამაცი, ამიტომაცაა ასეთი ცნობილი დუელანტი. როსტანის ტექსტში მხოლოდ ერთადერთხელ (ფინალში) გვხვდება ცხვირის ანტისიმბოლო სიკვდილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ცხვირი არა აქვს და სწორედ ამ უცხვირო სიკვდილს უპირისპირებს სირანო თავის „პანაშს“ – ანუ სიამაყეს, სიმამაცეს, მართალი და თავისუფალი ცხოვრების დევიზს.

დავასრულებ თავად სირანო დე ბერჟერაკის აფორიზმით მისი უტოპიური რომანიდან „მთვარის სახელმწიფოები და იმპერიები“:

„დიდი ცხვირი არის გონიერი, გამჭრიახი, რაინდული, კეთილგანწყობილი, გულითადი და თავისუფალი ნების მქონე მამაკაცის დამახასიათებელი ნიშანი, პატარა ცხვირი კი ამის საპირისპირო ნიშანია“.



ლევან ბრეგაძე  
ამირან გომართელი

## ნეონატურალისტური მარკებები პაოლო იაშვილის პოეზიაში

ჩვენს ლიტმცოდნეობაში კარგა ხანია შემჩნეულია, რომ პაოლო იაშვილის „საუკეთესო ლექსები არამც და არამც არ იბოჭებიან რომელიმე ერთი ლიტერატურული მიმართულების ესთეტიკური ჩარჩოებით. მათში ორგანულად, ბუნებრივი ძალდაუტანებლობითა და დამაჯერებლობით ერწყმის ერთმანეთს რომანტიზმის, რეალიზმის, სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმისა თუ სინამდვილის პოეტური აღქმის გზაზე ლიტერატურათმცოდნეთა მიერ გამოყოფილი სხვა ლიტერატურული მიმდინარეობების ელემენტები“ (ნიკოლეიშვილი 1995: 221).

ერთ-ერთი „სხვა“ ლიტერატურულ მიმდინარეობათაგანი, რომელიც დამონმებულ ციტატაში ნახსები არ არის, და რომლის ნიშნებიც შეიძლება დავინახოთ პაოლო იაშვილთან, არის ნატურალიზმი, ოღონდ თავში „ნეო“-ს დამატებით – ნეონატურალიზმი (რატომ „ნეო...“, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

განსახილავი ლექსის სათაურია „ნასაყდრის გალავანიდან“ და ეძღვნება ალექსანდრე (სანდრო) ცირეკიძეს, დათარიღებულია 1922 წლით, მითითებულია დაწერის ადგილიც (არგვეთი) და წელიწადის დროც (შემოდგომა), პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ბახტრი-

ონის“ 1922 წლის მე-7 ნომერში (გვ. 2). ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ლექსი სამ ნაწილად იყოფა: პირველი ორი ოთხ-ოთხტაეპიანი სტროფი პეტრომეტრული საზომით და ჯვარედინი რითმით არის დაწერილი:

*თქვენს თბილისს, თქვენს თვალებს  
ვერ ვენახვები:*

*მზე მივლის... მანვალებს  
მე ვენახები.*

*ძვირფასებო, ასეთია  
სოფლის წუხილი...*

*ჩვენს ახლოს ოსეთია,  
ვნახე წუხელი (...)*

**(იაშვილი 2004: 59)**

ამას ანუანბმანით ებმის მოსაზღვრე რითმებითა და ძირითადად 14-მარცვლიანი საზომით (5/4/5) შესრულებული სტრიქონები:

*(...) ოსი, რომელიც ჩვენ გვეწვია  
ბევრ კალმახებით...*

*გუშინ ყარანას ჩვენ დავუგეთ მახე-  
ვერ დავიჭირეთ! ვინადირეთ მერე  
წყერები,*

*დღეს კი სოფელში წვიმს ლელეა და  
მენწყერები.*

ჩვენი წისქვილის ნაულია წყალს  
 ნახევარი,  
 სოფლის ბოლოში გავაგზავნეთ  
 გრძელი ყვეარი,  
 ამოიტანეს ყველაფერი, გარდა  
 კოდების,  
 ჩვენი მემინდემ გაგვიხელდა წყლის  
 ბოროტებით.  
 ბევრს გწერთ წისქვილზე, რადგან  
 არის ნაზი, პატარა,  
 რადგან მემინდემ ბავშვობაში  
 ზურგით მატარა...  
 სოფელში ბერძნის მოგვეჩვია ჩვენ  
 მათხოვრები,  
 გვთხოვენ სიმინდს და უსიმინდოდ  
 დარჩნენ ღორები,  
 და გადავწყვიტეთ სანახევროდ  
 მათი გაცემა...  
 ქორმა დაგვიწყნო წინილების ჩვენ  
 მოტაცება,  
 აამუშავა მოურავმა ორლულიანი...  
 სოფლის სკოლაში თუ დადიან ახლა  
 ბავშვები,  
 ნიფხავ-პერანგი აქვთ სოველი და  
 გასაშრობი...  
 ყვირის ურია: „სანვრილმალოო!  
 ფართალ-ფართალი!..“  
 მეტად გაძვირდა კოჭიძაფი და  
 იარდალი.

(იაშვილი 2004: 59-60)

ამის მომდევნო მე-3 ნაწილი კი იზო-  
 მეტრული 10-მარცვლიანი (5/5) ლე-  
 ქსით და ჯვარედინი რითმებით არის  
 შესრულებული:

ჭორფლიან ცხენით დადის ურია,  
 მოყავს ქათმები, იხვი, ბატები;  
 სიძვირე მეტად უცნაურია,  
 საკითხს გადაჭრა უნდა დადებით.  
 ღვედელი იძახის: „ამაოებით  
 აივსო მთელი ქვეყნიერება“,  
 თუმცა ჰყავს ძროხა, წყვილად ხბოები  
 და არც სურს მეტი ბედნიერება.  
 საღამოს შარით მოდის ნახირი,  
 და მწყემს გოგოებს უჩანთ მუხლები;

(შენ, ჩემო გულო, ნულარ ახირდი:  
 მეორე გულთან ხარ შეუღლებით)...  
 კვირა დღეს შემხვდა ეზოში გავლა,  
 მსურდა მოზრების მე დაფეთება;  
 მრუდედ დადგმული მეჩვენა თავლა,  
 ვითხოვე თავლის გადაკეთება;  
 მერე ვითვალე სახლზე კრამიტი,  
 და ანგარიში რომ ამერია,  
 უცბად მოვიდა ცუდი ამინდი  
 და მივაშურე შუა კერიას...

(იაშვილი 2004: 60)

ეს არის ლექსი-ნარატივი, გალექ-  
 სილი ეპისტოლე ანუ წერილი („ბევრს  
 გწერთ წისქვილზე, რადგან არის ნაზი,  
 პატარა“), ავტორი ქალაქში (თბილის-  
 ში) დარჩენილ მეგობრებს მშობლი-  
 ური სოფლის („...რადგან მემინდემ  
 ბავშვობაში ზურგით მატარა“) ამბებს  
 მოუთხრობს.

თემამ განაპირობა წერის მანერის  
 თავისებურება, მისი ნატურალისტური  
 ხასიათი. პოეტი ჩამოთვლის იმ ფაქ-  
 ტებსა და მოვლენებს, რაც გარშემო,  
 მის ახლომახლო ხდება, რათა ქალაქში  
 მყოფთ რაც შეიძლება სრულყოფილი  
 წარმოდგენა შეუქმნას სოფლურ გარე-  
 მოზე.

თუ გავიხსენებთ პაოლო იაშვილის  
 ცნობილ ანტიურბანისტულ ლექსს „წე-  
 რილი დედას“ (1917), რომელიც ასე  
 იწყება: „დავტოვე სოფელი – / მყუ-  
 დრო სამყოფელი, / ქვიტკირის მარნები  
 / და კატის კნუტები, სიმინდის ყანა!“  
 (იაშვილი 1959: 108), ხოლო ამის ცოტა  
 ქვემოთ კი ვკითხულობთ: „იქნებ ჩვენ  
 თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!“  
 (იქვე), შეიძლება ითქვას, რომ ამ ლე-  
 ქსის დაწერიდან შევიდოდე წლის შემ-  
 დგე პოეტს მოუხერხებია თავი დაეღწია  
 იმ გარემოსთვის, სადაც მას ბევრი რამ  
 აღიზიანებდა („...როცა მე ქალაქში მა-  
 წუხებს, მახელებს ყველა ყელსახვევი,  
 შავი ხელთათმანი“ – იქვე).

სოფლური ყოფის მისეული აღწერი-  
 დან ჩანს, რომ ეს ყოფა შორსაა იდი-

ლიისაგან (ლექსში ნახსენებია წვიმები, მენყერები, წყლის მიერ დანგრეული წისქვილი, მათხოვრები, სიძვირე...), მაგრამ იგრძნობა, რომ სოფლური ყოფა სიამოვნებას ანიჭებს ლირიკულ გმირს, შესაძლოა იმის გამო, რომ ის, ქალაქურ ყოფასთან შედარებით, ნაკლებ დაძაბულია, ცხოვრების რიტმი იქ უფრო მდორე და აუჩქარებელია.

მთელი ლექსი მიმზიდველი უბრალოებით გამოირჩევა იმდროინდელი „ხმაურიანი“ ლირიკული ტექსტებისაგან. ამ ლექსში მკაფიოდ ჩანს, რომ პოეტი წერის მანერის შერჩევას თემატიკას უწევს ანგარიშს და არა ლიტერატურულ მოდასა თუ ხატვის თავის საყვარელ მანერას. ასეთი რამ კი გარდასახვის ძლიერი უნარით დაჯილდოებულ სიტყვის ოსტატებს ხელეწიფებათ.

ზუსტად ამავე მანერით არის შესრულებული ლექსი „ელენე დარიანის დღიურებიდან“ „ცისფერი ქოლგა“, რომელიც ასევე სოფლის თემაზეა დაწერილი:

*მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები,  
(შენ რომ ჰკოცნიდი ტურები-  
სკიდეს;)  
ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,  
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.  
შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები.  
თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტე-  
ბით,  
ამ სიყვარულით ნაიმედები  
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარ-  
დებით.  
ვკითხულობ ვაჟას. ვიძულებ პოეს,  
ვნატრობ სუსხიან მწარე ამინდებს;  
ზურგს ვუფხან დღისით პატარა  
ხბოებს  
და საღამოზე ვიფერავ თითებს.*

*ვწოვ ყურძენს, როგორც მკვიანა  
ბზიკი,  
ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს;  
ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ რგვალი  
ჭიქით,  
ხან ვგავარ სოფლის მკერდ-სავსე  
გოგოს.  
წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს  
და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ,  
მერე კი ვათევ ღამეს უმთვაროს  
და ეჭვით სავსე გულს არ ვახუცებ!<sup>1</sup>  
(იაშვილი 2004: 62)*

ეს ლექსიც, ისევე როგორც „ნასაყდრის გალავანიდან“, 1922 წელს არის დაწერილი, ესეც – შემოდგომაზე (სექტემბერში), დაწერის ადგილად მითითებულია სოფელი ავლევი (ქარელის რაიონი, ამჟამად – მუნიციპალიტეტი).

ვერსიფიკაციული თვალსაზრისით „ცისფერი ქოლგა“ ზუსტი ასლია ლექსის „ნასაყდრის გალავანიდან“ მე-3 ნაწილისა – ათმარცვლიანი ტაეპი (5/5), ჯვარედინი რითმა.

ესეც ლექსი-ნარატივია („მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები“), ესეც, როგორც ჩანს, წერილია, რომელსაც სოფელში მყოფი ახლობელი, ეტყობა, მისთვის მეტად ძვირფას ადამიანს უგზავნის ქალაქში, ოლონდ, წინა ლექსისგან განსხვავებით, ამის დამწერი ქალია; ციკლის სახელწოდებაც რომ არ ვიცოდეთ, ეს ლექსიდანაც ამკარაა („... ხან ვგავარ სოფლის მკერდ-სავსე გოგოს“ და სხვ.).

აქაც ნატურალისტურად არის აღწერილი სოფლური გარემო და ცხოვრება. ლაპარაკია იხვების პეპლაობაზე (იხვი პირველ ლექსშიც იხსენიება ქათმებთან და ბატებთან ერთად), ხბოებზე – „ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს“ (ხბოებიც არის პირველ ლექსშიც).

<sup>1</sup>ამ ლიტერატურული მისტიფიკაციის შემდგომი „მისტიფიცირების“ ამბავი იხ. ლომჯარია 2000: 57-58.

ქსში: „თუმცა ჰყავს ძროხა, წყვილად ხბოები“), სიმინდის დარჩევაზე – „წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს“ (სიმინდიც ფიგურირებს პირველ ტექსტში: „...გვთხოვენ სიმინდს და უსიმინდოდ დარჩნენ ღორები“), ნახსენებია ყურძენი: „ვწვო ყურძენს, როგორც მკივანა ბზიკი“ (პირველ ლექსში ყურძენი არა, მაგრამ გვხვდება ის, რაც ყურძენს ისხამს – ვენახი: „მზე მივლის... მანვალეებს / მე ვენახები“).

ცხადია, ამ ორ ნარატივს შორის მრავალი განსხვავებაც არის დეტალებში, მსგავსებაზე ბევრად მეტი, რაც გარდუვალი იყო თუნდაც იმის გამო, რომ ერთი ლექსის ლირიკული გმირი მამაკაცია, მეორისა – ქალი; ამიტომ, თუკი პირველი ნადირობს („გუშინ ყარანას ჩვენ დავუგეთ მახე. / ვერ დავიჭირეთ! ვინადირეთ მერე წყერები“), მრუდედ დადგმული თავლის გადაკეთებით არის გართული („მრუდედ დადგმული მეჩვენა თავლა, ვითხოვე თავლის გადაკეთება“) და მწყემსი გოგობისკენ გაურბის თვალი („სალამოს შარით მოდის ნახირი, / და მწყემს გოგობებს უჩანთ მუხლები“), მეორე – მტრედებს უმეგობრდება და ისე შეიჩვევს მათ, რომ ისინი თმებსაც კი უხილავენ („შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები. / თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით“), სალამოობით თითებს იფერავს, ხოლო ზოგჯერ სიმინდსაც არჩევს, ანუ სიმინდის ტაროს ფუჩეჩს აცლის („წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს / და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ“).

ერთი განსხვავება კიდევ ის არის, რომ დარიანული ლექსის ლირიკული გმირი უფრო ინტელექტუალურად ატარებს დროს სოფლის სიმყუდროვეში, ვიდრე ლექსის „ნასაყდრის გალავანიდან“ პროტაგონისტი: „ეკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს“. მაგრამ დეტალები აქ ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარი გარემოსა და ყოფის ნატურალისტური აღწერა და ის განწყობაა, ჩუმი ნეტარების ის განცდაა,

რასაც ქალაქს მოშორება და სოფლის მყურდობისთვის თავის შეფარება ბადებს, ეს კი ორივე ლექსს საერთო აქვს, იმდენად საერთო, რომ მეორე პირველის გაგრძელება გეგონება.

დავაკონკრეტოთ ამ ლექსების ნატურალისტური მარკერები:

ორივეში თვალსაჩინო ნატურალისტური მარკერია ის, რომ წვრილმანი ამბების ჩამოთვლა-ფიქსირება ჭარბობს მხატვრულ განზოგადებას, ტიპიზაციას (მაგალითად: „მერე ვითვალე სახლზე კრამიტი, / და ანგარიში რომ ამერია, / უცბად მოვიდა ცუდი ამინდი / და მივაშურე შუა კერიას...“, ან კიდევ: „ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს / და სალამოზე ვიფერავ თითებს... / ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს; / ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ რგვალი ჭიქით“); ნატურალიზმზე მიგვანიშნებს არაესთეტიკურად, არაპოეტურად მიჩნეული საგნებისა თუ მოვლენების შემოშვება ლექსში: „სოფლის სკოლაში თუ დადიან ახლა ბავშვები, / ნიფხავ-პერანგი აქვთ სოველი და გასაშრობი...“, „სოფელში ბერძნის მოგვეჩვია ჩვენ მათხოვრები, / გვთხოვენ სიმინდს და უსიმინდოდ დარჩნენ ღორები“, „ისე დაზრდილან ჩვენი იხვები, / რომ პეპლაობა დაიწყეს კიდევ“, „ვწვო ყურძენს, როგორც მკივანა ბზიკი“.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის ნატურალიზმსა და პაოლო იაშვილის ამ ლექსების ნატურალიზმს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არის, რის გამოც ეს უკანასკნელი წინ „ნეო“-ს დამატებას იმსახურებს (ნეონატურალიზმი): ნატურალისტი მწერლები ყოველდღიური ცხოვრების რეალიებს დანვრილებით აღწერდნენ **კრიტიკის მიზნით**, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი იმ სინამდვილის მიმართ, რომელსაც ასახავდნენ. პაოლო იაშვილის ამ ლექსებში კი არ იგრძნობა ასახული სინამდვილის ზიზღი და სიძულვილი, უფრო პირიქით – სოფლის არ-

ცთუ იოლი, თუმცა მარტივი, ყოფა აქ ქალაქური ცხოვრების ორომტრიალს უპირისპირდება და იგრძნობა, რომ ამ ლექსების ლირიკული გმირები კმაყოფილნი არიან, ურბანისტულ გარემოს რომ გამოერიდნენ.

პაოლო იაშვილზე დაწერილი მონოგრაფიის ავტორი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „დარიანული ციკლის ლექსები თემატურადაც და პოეტური ოსტატობის თვალსაზრისითაც პაოლო იაშვილის პოეზიის თვისებრივად ახალ მნიშვნელოვან შენაკადს წარმოადგენს“ (ნიკოლეიშვილი 1995: 250), და განაგრძობს:

„ელენე დარიანის დღიურები“ რიტმულ-მუსიკალური მელოდიურობითა და პოეტური ხელნერით ხშირ შემთხვევაში არსებითადაც განსხვავდება პაოლოს სტილური ინდივიდუალობისაგან და მკაფიოდ გამოვლენილი ორიგინალობითაა აღბეჭდილი. ასე რომ, დარიანული ციკლის ლექსებით პაოლო იაშვილმა მართლაც შეძლო **გაქცეოდა საკუთარ თავს, სხვად გარდასახულიყო** და ქართულ პოეზიაში ახალი, მნიშვნელოვანი პოეტური მიკროსამყარო შეექმნა“ (იქვე. ხაზგასმა ჩვენია. – ავტორები).

მკველვრის ეს დაკვირვება **არსებითად** სწორია, მაგრამ **აბსოლუტურად** სწორი არ არის. მართლაც, პოეტმა წარმატებით მოახერხა გარდასახვა, მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარ თავს ისე ვერ გავექცევით, რომ რაღაც ჩვენული მაინც არ წაგვყვეს თან.

პაოლო იაშვილის შემოქმედების ჩინებული მცოდნის ლალი ავალიანის ცოტახნის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ამ ერთობ წარმატებული მისტიფიკაციის ავტორმა „მაინც ვერ დასძლია ბოლომდე სტილიზაციის სიძნელენი: „დარიანულ“ ლექსებში მოიძვება პაოლოს პოეზიის იდეურ-თემატური და სტილისტური კვალი: მისთვის

დამახასიათებელი ალიტერაცია, გატაცება პატიოსანი თვლებით, მზის კულტი, ეგზოტიკურობა, **სოფლის იდილიური წარმოსახვა**“ (ავალიანი 2015: 131. – ხაზგასმა ჩვენია. – ავტორები).

(რამდენიმე სახე-სიმბოლო, რომლებიც პაოლო იაშვილის მთელ შემოქმედებას, „ელენე დარიანის დღიურების“ ჩათვლით, გასდევს, შენიშნული აქვს ქეთევან ენუქიძეს. კერძოდ, იგი წერს:

„მზის სიმბოლიკა, რაც მის [პაოლო იაშვილის] შემოქმედებაში დამოუკიდებელ, ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ და ძლიერ სახეობრივ-ემოციურ ფონს ქმნის, ნაწილობრივ ვლინდება „ელენე დარიანის დღიურებშიც“ (...). ხშირად ახსენებს მაისს (...). მაისი ერთადერთი თვეა, რომელსაც პოეტი გამოკვეთს. ამიტომ სემანტიკურ მნიშვნელობას კარგავს და სხვა ფუნქციას იძენს. მაისი ბუნების რეინკარნაციას, აღვსებას, გაღვიძებას გულისხმობს. ამ მნიშვნელობით გვხვდება „ელენე დარიანის დღიურებშიც“ და მთელს [მის] შემოქმედებაშიც“. – ენუქიძე 2006: 45).



პაოლო იაშვილს თავის სოფელზე სხვა ლექსიც აქვს დაწერილი – 1926 წლით დათარიღებული „არგვეთის ღამეები“, ტრადიციული რეალისტური პოეტური მანერით შესრულებული, მეტაფორებითა და მხატვრული შედარებებით გაჯერებული ტექსტი:

*ცაზე ვერცხლის მერცხლები  
სხედან ლურჯ ბუდეებში,  
მთვარე ცივად ეცემა  
შქერის ტყეში გამართულ ტოტების  
ბადეებში.*

*მთვარე – თეთრი ხოხობი  
გაეხირა ტოტებში,  
ძალი მცველი ორლობის  
ღამეს ათევს ყეფაში და ძალღურად  
ბოდვებში.*

ალვის ხეებს აცვია  
სირმიანი ნაბდები,  
ტკბილი სიზარმაცვა  
და მდინარეც სავსეა თითქოს  
თეთრი ბატებით.

ღამეში დაფარფატებს  
უბედური ღამურა,  
ნეტავ არვინ დაჰფანტოს  
ხმები იდუმალების ქცეული სალ-  
ამურად.

(იაშვილი 1959: 43)

თუ ამ ლექსს ზემოთ განხილულ ლექსებთან შევადარებთ, ადვილად შევამჩნევთ განსხვავებას: „არგვეთის ღამეები“ მეტაფორებითა და მხატვრული შედარებებით არის დახუნძლული, ხოლო იმ ორში ორიოდ არცთუ თვალში საცემი ტროპის გარდა („მზე მივლის... მანვალებს მე ვენახები“) ყოველი ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, თითქმის ყოველი სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით არის გამოყენებული და გადატანითი, მეტაფორული, დატვირთვა არ გააჩნია. ისიც აშკარაა, რომ ამ ლექსებში საქმე გვაქვს დოკუმენტურ პოეზიასთან, „ფაქტის პოეზიასთან“, ნონფიქშენტთან.

ზოგჯერ ნაკლებად ცნობილ ავტორთანაც წააწყდები ერთობ საინტერესო დაკვირვებასა და მსჯელობას. თანამედროვე რუსულენოვანი ტაშკენტელი პოეტი, პროზაიკოსი და კრიტიკოსი ევგენი აბდულაევი სტატიამი „სინამდვილის პოეზია (VIII). ნარკვევები 2010-იანი წლების პოეზიაზე“ (ჟურნალი „არიონი“, 2014, №2) წერს:

„ნონფიქშენტისადმი ინტერესმა გაიღვიძა 90-იანი წლების შუა ხანებში. 90-იანი წლების ბოლოდან დოკუმენტალიზმმა შეაღწია დრამატურგიაში (თეატრი ვერბატიმი), ხოლო შემდეგ პროზაშიც. [განვითარების სპირალის] ახალ ხვეულზე მეორდება 1920-იანი წლების ვითარება, როცა ტონის მიმცემი იყო „ფაქტის ლიტერატურა“.

რა ცვლილებები ხდება თანამედროვე პოეზიაში ამ მრავალხმოვანი, მედინი და ვიზუალური რეალობის ზეგავლენით?

ლირიკული „მე“ ნაკლებად გამოიხატება; პოეტური მეტყველების მონოლოგურობა ადგილს უთმობა პოლილოგს, ერთსა და იმავე ლექსში რამდენიმე თანაბარუფლებიანი ხმის არსებობას.

ლირიკული „მე“-ს მდგომარეობის აღწერა იცვლება გარეგან ვითარებათა, მოვლენათა, ფაქტთა ფიქსირებით; პოეზია უფრო მეტად ფაბულური ხდება.

პოეტური ფრაზა იჩრდილება საგნობრივი სამყაროს ვიზუალური კონკრეტულობით; აზრის დამაჯერებლობას „სურათის“ დამაჯერებლობა ენაცვლება.

წინდანივე ფრჩხილებს გარეთ გამაქვს ის საკითხი, კარგია ეს თუ ცუდი. ეს არის ის, რაც არის (...), მე ამას დავარქმევდი ნატურალიზმს თანამედროვე პოეზიაში“ (აბდულაევი 2014).

ამ ვითარებაში პაოლო იაშვილის განხილული ლექსების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება არამარტო ქართული ლექსის ისტორიის უფრო სრულად წარმოჩენის, არამედ პოსტმოდერნის მომდევნო ხანის პოეზიისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა გააზრების თვალსაზრისითაც.

#### დამონშებანი:

**აბდულაევი 2014:** აბდულაევი ევგენი. სინამდვილის პოეზია (VIII). ნარკვევები 2010-იანი წლების პოეზიაზე // <http://magazines.russ.ru/arion/2014/2/17a.html>

**ავალიანი 2015:** ავალიანი ლალი. ლიტერატურული მისტიფიკაცია როგორც მოდერნისტული პარადიგმა (პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დრიურები“). ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი“, XXXVI, 2015.

**ენუქიძე 2006:** ენუქიძე ქეთევან. „ელენე დარიანის დღიურები“ – ავტორი და ლირიკული გმირი. თბილისი: 2006.

**იაშვილი 1959:** იაშვილი პაოლო. ლექსები, პოემა, მოთხრობები, თარგმანები. თბილისი: „საბჭოთა მწერალი“, 1959.

**იაშვილი 2004:** იაშვილი პაოლო. საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ ნიგ-

ნად. ნიგნი პირველი. თბილისი: 2004.


**ლომჯარია 2000:** ელენე დარიანი. ლექსები. ნიგნი შეადგინა და გამოკვლევა დაურთო ზეინაზ ლომჯარიამ. გამომცემლობა „კოლორ-პრინტი“, 2000.

**ნიკოლეიშვილი 1995:** ნიკოლეიშვილი ავთანდილ. პაოლო იაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. ქუთაისი: „საწუთრო“, 1995.



ერნესტ ჰემინგუეი

მონოლოგი მაესტროსთან:  
წერილი შუაგულ ზღვიდან



ესქვაიერი – ოქტომბერი, 1935

ნახევარი წლის წინათ კი უესტის სახლიდან ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდა და თქვა, რომ მინესოტადან აქამდე, გზად გამვლელი მანქანებით მოაღწია, რათა თქვენი კორესპონდენტისათვის რამდენიმე კითხვა დაესვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლო წერა. კუბიდან იმ დღეს დაბრუნებულმა კორესპონდენტმა, რომელსაც ერთი საათის შემდეგ მეგობრები სადგურში უნდა გაეცილებინა, მანამდე კი რამდენიმე წერილის დაწერას აპირებდა, თან ნასიამოვნებმა და თან მომავალი დაკითხვით შეშინებულმა, ახალგაზრდა კაცს მეორე დღეს მოსვლა შესთავაზა. ეს ძალიან სერიოზული შესახედაობის ახალგაზრდა კაცი იყო, უზარმაზარი ხელები და ფეხები ჰქონდა და თავზე აქოჩრილი თმა ედგა.

გაირკვა, რომ მთელი სიცოცხლე ოცნებობდა, მწერალი გამხდარიყო. ფერმაში გაიზარდა, სკოლა დაამთავრა, შემდეგ – მინესოტის უნივერსიტეტი. მუშაობდა მეგაზეთედ, ხუროდ, სეზონურ მუშად – მოსავლის აღების

პერიოდში – მოჯამაგირედ, მედლეურად და ხეტიალ-ხეტიალში ორჯერ გადაკვეთა ამერიკა. უნდოდა, მწერალი გამხდარიყო და საკმაოდ კარგი სიუჟეტები დააგროვა. მათ შესახებ ცუდად ჰყვებოდა, მაგრამ ჩანდა, რომ მათში იყო რაღაც ისეთი, რისი გაშლაც შეუძლებელი იყო, თუ რიგიანად მოჰკიდებდით ხელს. მწერლობას ისე სერიოზულად უდგებოდა, რომ შეიძლება გეფიქრათ, ეს სერიოზულობა ყოველგვარ დაბრკოლებას გადაალახვინებსო. ჩრდილოეთ დაკოტაში საკუთარი ხელით ქოხი აიშენა, მთელი წელი სულ მარტო ცხოვრობდა და მთელი დროის განმავლობაში სულ წერდა. იქ დაწერილიდან ჩემთვის არაფერი უჩვენებია. მეუბნებოდა, ძალიან ცუდიყო.

ვფიქრობდი, თავმდაბლობით ხომ არ ამბობს-მეთქი, სანამ არ მაჩვენა ერთი ნაწერი, რომელიც მინეაპოლისის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა. საშინლად იყო დაწერილი, მაგრამ გავიფიქრე, არც სხვებს დაუწყიათ უკეთესად, ეს ახალგაზრდა კი ისე უჩვეულოდ სერიოზულია, რომ იმედებს იძლევა-მეთქი. მართლაცდა, მწერლობისადმი სერიოზული დამოკიდებულება – ორიდან

ერთი აუცილებელი პირობაა. მეორე კი ტალანტია.

მწერლობის გარდა, ახალგაზრდას კიდევ სხვა აკვიატებული იდეა ჰქონდა. სურდა, რომ აუცილებლად ზღვაში გასულიყო. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ღამის დარაჯად დავაყენეთ კატერზე და უზრუნველვყავით ადგილით, სადაც მას შეეძლო დაეძინა, ემუშავა, ყოველდღე ორი-სამი საათის სამუშაო მივეცით დასალაგებლად და დასასუფთავებლად და ყოველი დღის ნახევარი გამოვუყავით, რომ ეწერა. მისი ყინი ზღვისადმი რომ დაგვეკმაყოფილებინა, დავპირდით კუბაში გამგზავრებისას თან წაყვანას.

შესანიშნავი ღამის დარაჯი იყო. თანაბრად გულმოდგინედ მუშაობდა კატერზეც და თავის ხელნაწერებზეც, მაგრამ ზღვაში გასვლისას ეს ნამდვილი უბედურება იყო; მიუხედავად სიზანტისა, სიმარდის საჭიროებისას, თითქოსდა ოთხი ფეხი გამოებმებოდა წყვილი ხელ-ფეხის მაგივრად და ხუმტურები წამოუვლიდა ხოლმე. როცა კი გამბედაობა იყო საჭირო, ზღვის ავადმყოფობისადმი დაუძლეველი მიდრეკილება ჰქონდა და ბრძანებებს გლეხურად უხალისოდ ემორჩილებოდა, მუშაობაზე, თუნდაც მძიმეზე, უარს არ ამბობდა და თავს ართმევდა, თუკი არ ააჩქარებდით.

„მაესტროს“ ვეძახდით, რადგან ვიოლინოზე უკრავდა, შემდეგ კი სახელი შევამოკლეთ და „მაისი“ დავარქვით. თუკი რამ აზროვნებისა შერჩენოდა, გრილმა ნიავემა ისე გამოდევნა მისი გონებიდან, რომ თქვენმა კორესპონდენტმა ერთხელ უთხრა კიდეც: „ემმაკ-მა დალახვროს, მაის, თქვენგან კარგი მწერალი დადგება, რადგან სხვა ალარაფერი შეგიძლიათ“.

მეორე მხრივ, დღითი დღე უკეთესად წერდა, ასე რომ, შესაძლოა მისგან კარგი მწერალიც დამდგარიყო. მაგრამ თქვენი კორესპონდენტი ზოგჯერ უგუ-

ნებოდ ყოფნისას ფიქრობდა, რომ ალარასოდეს კატერების გუნდში დამწყებ მწერალს ალარ აიყვანდა და არ დასთანხმდებოდა, მთელი ზაფხული კუბას ან ნებისმიერ ნაპირებთან ეცურა სამწერლო საქმის ტექნიკის შესახებ კითხვა-პასუხის აკომპანემენტის ქვეშ.

თუკი დამწყებ მწერლებს შორის „პილარზე“ ცურვის მოსურნენი მოიძებნებოდნენ, კარგი იქნებოდა, რომ ესენი ყოფილიყვნენ ქალები, სასურველია – ლამაზები და თან რაც შეიძლება მეტი შამპანური წამოელოთ.

თქვენი კორესპონდენტი, ამ ყოველთვიური კორესპონდენციისგან განსხვავებით, თავის მწერლობას ფრიად სერიოზულად ეკიდება, მაგრამ ამაზე საუბარს ვერ იტანს, თუ არა რამდენიმე თანამოსაუბრესთან. იძულებულია, იმჯგულოს თავისი საქმის სხვადასხვა ასპექტის შესახებ ას ათი დღის განმავლობაში და მთელ ამ პერიოდში დაიოკოს სურვილი, რომ ყოველ ჯერზე პირის გაღებისას და სიტყვა „მწერლის“ წარმოთქმისას მაესტროს ბოთლი ესროლოს და თქვენი კორესპონდენტი აქვე წერილობით მოგანვიდით ამ მსჯელობების ნაწილს.

თუ ვისმეს მწერლობაზე ხელს ააღებინებენ, მაშასადამე, ასეც უნდა მომხდარიყო. თუკი ვინმეს დაენმარებიან, თქვენი კორესპონდენტი მოხარული იქნება და თუ ნაწერები მოსაწყენი მოგეჩვენებათ, გაზეთის ნომერში საკმაოდ ბევრი სურათია, რომ გაერთოთ.

თავის გასამართლებლად თქვენმა კორესპონდენტმა შეიძლება შენიშნოს, რომ, თუ ოცდაერთი წლის ასაკში თვითონ ნაიკითხა რომელიმე ამ მსჯელობათაგანი, იფიქრებდა, რომ ეს 50 ცენტრიც კი არ ღირდა!

მაისი: რას ნიშნავს კარგად ან ცუდად მწერლობაში?

თქვენი კორესპონდენტი: წერდე კარგად – ნიშნავს წერდე ალალ-მართლად. ალალმართლობა დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რამდენად იცნობს ავტორი

ცხოვრებას და რამდენად კეთილსინდისიერად მუშაობს, როცა რაიმეს თხზავს ისე, თითქოსდა ეს მართლაც მოხდა. და თუკი ავტორმა არ იცის, რას მოიმოქმედებენ ან იფიქრებენ მოცემულ სიტუაციაში ადამიანები, ასეთ შემთხვევაში რალაც დროით მას შეიძლება რაიმე შემთხვევა დაეხმაროს ან ის საერთო სპეციალიზაციას გადის წერის პროცესში. მაგრამ, თუ ის მომავალშიც დაწერს იმის შესახებ, რაც არ იცის, მხოლოდ სიყალბესთან გვექნება საქმე. რამდენჯერმე ყალბობისას კი პატიოსნად წერას ველარ შეძლებს.

მაისი: წარმოსახვაზე რას იტყვით?

თქვენი კორესპონდენტი: გარკვევით არავინ იცის, რა არის ეს, გარდა იმისა, რომ წარმოსახვას ჩალის ფასად ვიღებთ. შეიძლება ის მემკვიდრეობით გამოცდილებაშიც არის ჩადებული, სრულიად შესაძლებელია. პატიოსნების მერე – ეს მეორე თვისებაა, რომელიც მწერალს ასერიგად სჭირდება. რაც უფრო მეტს მიიღებს ის გამოცდილებიდან, მით უფრო მართალი იქნება მის მიერ შეთხზული. და თუ მას წარმოსახვის უნარი შესწევს, ადამიანები დაიჯერებენ იმას, რომ ყოველივე, რაზეც ავტორი წერს, სინამდვილეში მოხდა და რომ მან, როგორც რეპორტიორმა, ეს დააფიქსირა.

მაისი: მაშ, რით განსხვავდება მწერალი რეპორტიორისგან?

თქვენი კორესპონდენტი: ეს რომ რეპორტაჟი იყოს, ვერავინ ვერ დაიმახსოვრებდა. როცა აღწერ იმას, თუ რა მოხდა დღეს, სინქრონულობა აიძულებს მკითხველს, წარმოიდგინოს ის, რაც სინამდვილეში მოხდა. ერთი თვის შემდეგ დროის ეს ელემენტი ქრება და მონათხრობი არასაინტერესო იქნება, მკითხველი ვერაფერს წარმოიდგენს და ვერც ვერაფერს დაიმახსოვრებს. მაგრამ, თუ აღწერას კი არ დაიწყებს, არამედ გამოხატვას, ეს შეიძლება უფრო ვრცლად, მყარად, ერთიანად და სიცხოველით გაკეთდეს. ასეთ შემთხვევაში, ცუდად თუ

კარგად, თქვენ ქმნით. ეს შექმნილია და არა აღწერილი. ეს კი მართალია იმისა და მიხედვით, თუ გამოხატვის როგორი უნარი გაქვთ ან რა ცოდნა ჩადეთ ამ ყველაფერში. თქვენთვის გასაგებია?

მაისი: ყველაფერი არა.

თქვენი კორესპონდენტი (გალიზიანებით): ასეთ შემთხვევაში, ჯანდაბას იქით იყოს და სხვა რამეზე ვისაუბროთ.

მაისი (წინანდელი დაჟინებით): მიაბზეთ კიდევ რაიმე მწერლობის ტექნიკის შესახებ.

თქვენი კორესპონდენტი: რაზე ლაპარაკობთ? ფანქარზე თუ საბეჭდ მანქანაზე? ამაზე ხომ არა?

მაისი: დიახ.

თქვენი კორესპონდენტი: მაშ, მისმინეთ. დამწყები მწერლისთვის ყველა სიამოვნება ბედნიერი ხვედრია, მკითხველი კი არაფერს არ იღებს. ასეთ დროს შეიძლება საბეჭდი მანქანით ისარგებლოთ, ასე წერა ადვილია და მეტ სიამოვნებას იღებ. მაგრამ, როცა წერას ისწავლი, შენს ამოცანას იმაში ხედავ, რომ მკითხველამდე მიიტანო ყველაფერი, თითოეული შეგრძნება, გრძნობა, ყოველივე ნანახი და გაგონილი, აღქმული. ბევრი მუშაობაა საჭირო იმისთვის თუ რას წერ. როცა ფანქრით წერ, სამჯერ სხვადასხვა კუთხიდან შეგიძლია შეამოწმო, მიიღებს თუ არა მკითხველი იმას, რაც გინდოდა მისთვის გადაგეცა. ჯერ – ხელნაწერის გადაკითხვა, შემდეგ კი მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტის გადათვლა და შესწორება და ბოლოს, კორექტურის ნაკითხვა. ასე რომ, ფანქარი გაძლევს შანსის დამატებით მესამედს ტექსტის გასაუმჯობესებლად, 0,333 – ეს მიზანში მოსახვედრად ცუდი პროცენტი როდია. ტექსტი უფრო ლაღად მიედინება და შესწორებას აადვილებს.

მაისი: დღეში რამდენი უნდა წერო?

თქვენი კორესპონდენტი: ზოგჯერ გაჩერება ჯობს, სანამ საქმე კარგად მიდის და იცი, შემდეგ რა უნდა მოხ-

დეს. თუ დღითი დღე ასე იქცევი რომანის წერისას, მაშინ არაფერი შეგაფერხებს. აი, ყველაზე ღირებული რჩევა, რომლის მოცემაც შემიძლია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მაისი: დავიმახსოვრებ.

თქვენი კორესპონდენტი: ყოველთვის შეჩერდი, როცა გეწერება. შემდეგ კი ნუ ფიქრობ სამუშაოზე და ნუ სწუხხარ, სანამ ისევ მეორე დღეს წერას არ განაახლებ. ამ პირობის შესრულებისას ქვეცნობიერად სულ იმუშავებთ. მაგრამ, თუ თავს ნებას მისცემ, იფიქრო და სწუხდე, ამ შესაძლებლობას ჩაკლავ და ტვინი მუშაობის დაწყებამდე გადაილღება. თუ რომანის წერა დაიწყე, ეჭვის შეტანა იმაში, ხვალ მუშაობას განაგრძობ თუ არა – ეს ისეთივე სიმხდალეა, როგორც რომელიმე გარდუვალი ქმედების თავის არიდება. უნდა განაგრძო. წუხილი უაზრობაა. რომანის წერისას ეს უნდა გესმოდეს. ყველაზე ძნელი რომანში მისი დამთავრებაა.

მაისი: და როგორ უნდა ვისწავლო ის, რომ არ ვიღელვო, არ ვწუხდე?

თქვენი კორესპონდენტი: არ უნდა იფიქრო სამუშაოზე. როგორც კი ფიქრს დაიწყებ, მაშინვე შეაჩერე თავი, რაიმე სხვაზე იფიქრე. ეს აუცილებლად უნდა ისწავლო.

მაისი: და თქვენი ნაწერიდან რამდენს გადაიკითხავთ ხოლმე, სანამ წერას განაგრძობთ?

თქვენი კორესპონდენტი: უკეთესი იქნებოდა დაწერილის ყოველდღე თავიდან გადაკითხვა და გზადაგზა ჩასწორება, და ისევ წერის გაგრძელება. თუ იმდენია ნაწერი, რომ ყოველდღე ამის ნაკითხვას ვერ შეძლებთ, გადაიკითხეთ ბოლო ორი-სამი თავი; კვირაში ერთხელ კი ყველაფერი თავიდან ნაკითხეთ. ასე თქვენ ერთიანობას მიაღწევთ. არ დაგავიწყდეთ, გაჩერდით ხოლმე, სანამ გეწერებათ. ეს მოძრაობას შეინარჩუნებს და არ გაიძულვებთ იმუშაოთ ძლივძლივობით. სხვანაირად მალე

დარწმუნდებით, რომ მეორე დღეს ღონე გამოგეცლებათ და მუშაობის გაგრძელებას ვეღარ შეძლებთ.

მაისი: და თუ მოთხრობას წერთ?

თქვენი კორესპონდენტი: სულერთია, მხოლოდ მოთხრობა ზოგჯერ ერთ დღეში შეიძლება დაინეროს.

მაისი: თქვენ რა, წინასწარ იცით, რა უნდა მოხდეს თქვენს მოთხრობაში?

თქვენი კორესპონდენტი: თითქმის არასოდეს ვიცი. ვინც და ხდება ის, რაც უნდა მოხდეს მისი განვითარების მსვლელობაში.

მაისი: ეს სულ არ არის ის მეთოდი, კოლეჯში რომ გვასწავლიან.

თქვენი კორესპონდენტი: აი ეს კი არ ვიცი. კოლეჯში არ მისწავლია. და თუ რომელიმე ძალღიშვილს თვითონ შეუძლია წერა, რა ეშმაკად სჭირდება, რომ სტუდენტებს ასწავლოს?

მაისი: თქვენ ხომ მასწავლით?

თქვენი კორესპონდენტი: ეს ზედმეტი ჭკუით მომდის და მერე ჩვენ ხომ ნავში ვართ და არა კოლეჯში.

მაისი: რა წიგნები უნდა იკითხოთ მწერალმა?

თქვენი კორესპონდენტი: ყველაფერი უნდა წაიკითხოთ, რათა იცოდეს, რომელ მწერალს უნდა გაუსწროს.

მაისი: ყველაფრის ნაკითხვას ხომ ვერ შეძლებს.

თქვენი კორესპონდენტი: იმას არ ვამბობ თუ რა შეუძლია მას. იმაზე გელაპარაკები, რა უნდა გააკეთოს. ყველაფრის ნაკითხვა კი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

მაისი: მაინც რომელი წიგნების ნაკითხვაა სავალდებულო?

თქვენი კორესპონდენტი: საჭიროა, წაიკითხოთ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და „ანა კარენინა“, კაპიტან მარიეტის „მიჩმანი იზი“, „ფრენკ მაილდემი“ და „პიტერ სიმპლი“, ფლობერის „მადამ ბოვარი“ და „გრძნობათა აღზრდა“, თომას მანის „ბუდენბროკები“, ჯოსისის „დუბლინელები“, „ახალგაზრდა ხელო-

ვანის პორტრეტი“ და „ულისე“, ფილდინგის „ტომ ჯონსი“ და „ჯოზეფ ენდრიუსი“, სტენდალის „ნითელი და შავი“ და „პარმის სავანე“, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და კიდევ ნებისმიერი ორი რომანი, მარკ ტვენის „ჰელბერი ფინი“, სტივენ კრეინის „კანჯო“ და „ცისფერი ოტელი“, ჯორჯ მურის „მისალმება და გამომშვიდობება“, იეიტსის „ავტობიოგრაფია“, ყველაფერი, რაც საუკეთესო აქვს მოპასანს, ასევე ყველაფერი საუკეთესო კიპლინგიდან, ტურგენევი მთლიანად, უ. გ. ჰადსონის „შორეულსა და ადრინდელზე“, ჰენრი ჯეიმსის მოთხრობები, განსაკუთრებით კი „მადამ დე მოვი“, „ხრახნის შემობრუნება“, „ერთი ქალბატონის პორტრეტი“, „ამერიკელი“.

მაისი: ასე სწრაფად ჩანერა არ შეიძლება. კიდევ რამდენი არიან?

თქვენი კორესპონდენტი: სხვებს სხვა დროს დაგისახელებ. დაახლოებით სამჯერ მეტნი არიან.

მაისი: და მწერალმა ყველა მათი ნაწარმოები უნდა წაიკითხოს?

თქვენი კორესპონდენტი: ყველასი და კიდევ ბევრი სხვისა. სხვანაირად არ იცის, ვის უნდა გაუსწროს.

მაისი: რას გულისხმობთ ტერმინ „გასწრების“ ქვეშ?

თქვენი კორესპონდენტი: ყური დამიგდეთ. რა აზრი აქვს, წერო იმის შესახებ, რაზეც უკვე დაუწერიათ, თუ იმედი არ გაქვს, რომ უკეთესად დაწერ? ჩვენს დროში მწერალმა უნდა წეროს ან იმის შესახებ, რაც აქამდე არ დაწერილა, ან მათივე სფეროში გაუსწროს მათ. და ერთადერთი ხერხი, რათა გაიგო თუ რისი უნარი გაგაჩნია, ეს შეჯიბრია წარსულის მწერლებთან. უმრავლესობა ცოცხალ მწერალთაგან, უბრალოდ, არ არსებობს. მათი დიდება კრიტიკოსებმა შექმნეს, რომელთაც ყოველთვის სჭირდებათ მორიგი გენიოსები, მწერალი, რომლისაც მათ სრულიად ესმით და რომლის ქე-

ბა შეუცდომლად შესაძლებელია. მაგრამ, როდესაც ეს გაბერილი გენიოსები კვდებიან, მათგან არაფერი რჩება. სერიოზული ავტორისთვის ერთადერთ მეტოქედ ის მწერლები რჩებიან, რომლებსაც ის აღიარებს. ეს იგივეა, რაც მორბენალისთვის, რომელიც საკუთარი რეკორდის დამყარებას ცდილობს და არა, უბრალოდ, მეტოქეებს ეჯიბრება ამ გარბენაში. სხვა შემთხვევაში ვერასოდეს გაიგებ, რა შეგიძლია.

მაისი: მაგრამ ამ ბრწყინვალე მწერალთა ნაკითხვამ ადამიანს შეიძლება თავგზა აუბნოს.

თქვენი კორესპონდენტი: რა გაეწყობა, მაშასადამე, ახია მასზე.

მაისი: რა მიგაჩნიათ საუკეთესო დაწყებით სკოლად მწერლისათვის?

თქვენი კორესპონდენტი: გაუხარელი ბავშვობა.

მაისი: როგორ ფიქრობთ, თომას მანი დიდი მწერალია?

თქვენი კორესპონდენტი: დიდი მწერალი იქნებოდა, „ბუდენბროკების“ გარდა სხვა არაფერი რომ არ დაეწერა.

მაისი: როგორ შეიძლება მწერალმა გაივარჯიშოს?

თქვენი კორესპონდენტი: დააკვირდით, ირგვლივ რა ხდება. ახლა თევზს თუ თავს დავესხმით, დააკვირდით, რას გააკეთებს თითოეული ჩვენგანი. თუ თქვენ იმისი სანახაობა სიხარულს განიჭებთ თუ როგორ სხლტის თევზი წყლიდან წყალში, შეეცადეთ, გააანალიზოთ და გაიგოთ, რამ გამოიწვია თქვენი სიხარული – იმან, ვიოლინოს სიმღერით დაჭიმული ანკესი როგორ ამოვიდა წყლიდან ისე, რომ წვეთებიც კი დააჩნდა, თუ როგორ ამოსხლტა თევზი. ყველა ბგერა დაიმასხვრეთ და ვინ რა თქვა. შეეცადეთ, გაიგოთ, რამ გამოიწვია ეს გრძნობები, რომელმა მოქმედებებმა აგაღელვათ განსაკუთრებით. შემდეგ ყველაფერი ეს გარკვეულად და მკაფიოდ ჩაინერეთ, მკითხველმა რომ თქვენსავით თვითონ დაინახოს და იგ-

რძნოს ყოველივე. ეს დანყებითი ვარჯიშია ხუთი თითისთვის.

მაისი: გასაგებია.

თქვენი კორესპონდენტი: შემდეგ სხვა მხრიდან მიუდევით, ეცადეთ, წარმოიდგინოთ, რა ხდება სხვის თავში. მაგალითად, თუ გილრიალებთ, ეცადეთ, წარმოიდგინოთ, რას ვფიქრობ და არა ის, როგორ ვრეაგირებ ამაზე. თუ კარლოსი ხუანს ლანძღავს, ეცადეთ, ორივეს მხარეზე დადგეთ. ოღონდ ნუ იფიქრებთ იმაზე, ვინ არის მათ შორის მართალი. ადამიანურად წარმოიდგინეთ, რა არის კარგი და რა ცუდი. იძულებული ხდებით ხოლმე, მიიღოთ გადანყვეტილება და განახორციელოთ კიდეც. როგორც მწერალს, განსჯის უფლება არ გაქვთ, მხოლოდ უნდა გაიგოთ.

მაისი: გასაგებია.

თქვენი კორესპონდენტი: ყური დამიგდეთ – ყური უგდეთ ლაპარაკს. ნუ ფიქრობთ იმაზე, რის თქმასაც თვითონ აპირებთ. ადამიანთა უმრავლესობას მოსმენის უნარი, დაკვირვების უნარი არა აქვს. ოთახში შესვლისას და გამოსვლისას ყველაფერი უნდა დაიმახსოვროთ, რასაც კი დაინახავთ და არამარტო ყველაფერი. თუ თქვენ ამასთანავე რაიმე გრძნობა გაგიჩნდათ, ზუსტად უნდა განსაზღვროთ, რამ გამოიწვია ის. ივარჯიშეთ ამაში. ქალაქში, თეატრთან დგომისას შეხედეთ თუ რა სხვადასხვანაირად გადმოდის ხალხი ტაქსიდან და საკუთარი მანქანებიდან. ათასი ხერხია პრაქტიკის მიღებისთვის და ყოველთვის სხვებზე იფიქრეთ.

მაისი: როგორ ფიქრობთ, ჩემგან მწერალი გამოვა?

თქვენი კორესპონდენტი: აბა, საიდან ვიცი. შეიძლება ნიჭი არ გეყოთ ან სხვების მაგივრად ვერ შეძლებთ რისამეს შეგრძნებას. მასალა გაქვთ კარგი მოთხრობებისთვის, თუკი წერას შეძლებთ.

მაისი: მაგრამ როგორ?

თქვენი კორესპონდენტი: წერეთ. ერთი ხუთი წელი იმუშავეთ და თუ მიხვდებით, რომ თქვენგან არაფერი გამო-

ვა, თავის მოკვლას ყოველთვის მოასწრებთ!

მაისი: არა, თავს არ მოვიკლავ.

თქვენი კორესპონდენტი: მაშინ აქ ჩამოდით და მე გესვრიეთ.

მაისი: გმადლობთ.

თქვენი კორესპონდენტი: არაფერს, მაის. ახლა, იქნებ, სხვა რამეზე ვისაუბროთ.

მაისი: რაღაზე?

თქვენი კორესპონდენტი: რაზედაც გნებავთ, მაის, რაზეც გნებავთ, ბერიკაცო.

მაისი: მაგრამ...

თქვენი კორესპონდენტი: არავითარი „მაგრამ“, მორჩა. ერთი სიტყვაც კი არ დაძრათ მწერლებზე, დღეისთვის კმარა. წერტილი. დუქანი დაიკეტა. მეპატრონე სახლში წავიდა.

მაისი: კეთილი. ხვალ კიდეც რაღაცას გკითხავთ.

თქვენი კორესპონდენტი: წარმომიდგენია, წერა როგორ სიამოვნებას მოგანიჭებთ, როცა ზუსტად გაიგებთ თუ როგორ ხდება ეს.

მაისი: რას გულისხმობთ?

თქვენი კორესპონდენტი: როგორ თუ რას?! სასიამოვნოა. მსუბუქად გრძნობ თავს, მხიარულ გუნებაზე ხარ, მიდგები, მოდგები და ძველი ოსტატის შედეგრიც მზად არის.

მაისი: მაგრამ თქვით...

თქვენი კორესპონდენტი: საკმარისია!

მაისი: კარგი, მაგრამ დანარჩენი – ხვალ...

თქვენი კორესპონდენტი: დიახ, კეთილი, რა თქმა უნდა, ოღონდ მხოლოდ ხვალ.

1935 წელი.

*ინგლისურიდან თარგმნა  
ქეთევან თუხარელმა*

გიორგი ყაჯრიშვილი

„ან სვალინდელი დღე რას მპირდება“

სპექტაკლი რომ ცოცხალი ორგანიზ-  
მია, რომელსაც მზრუნველობა, შენახვა,  
გაფრთხილება და ყურადღება სჭირდე-  
ბა, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა  
რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე  
დადგმულმა ჟ. ბ. მოლიერის „მიზან-  
თროპმა“, რომლის პრემიერაც წინა სე-  
ზონში გაიმართა. ეს წარმოდგენა უკვე  
მეორედ ვნახე და ჩემდა გასაკვირად,  
პირველად ნანახი მეორისგან ისე გან-  
სხვავდებოდა, როგორც ცა და დედამი-  
წა – მიზეზი შეიძლება უამრავი იყოს,  
მაგრამ ისინი ვერ ამართლებენ ვერც  
რეჟისორს და რაც მთავარია, ვერც  
მსახიობებს, მით უმეტეს, რომ გიყვარს  
და პატივს სცემ მათ. ეს პრეამბულა ან  
შესავალი, ან თუნდაც შემჩნევა, რასაკ-  
ვირველია, ყველა მათგანს არ ეკუთ-

ვნის, მაგრამ, ერთის გადაცდომაც რომ  
მთელ წარმოდგენას აზიანებს, ეს ხომ  
ყველასთვის ცნობილია. განსხვავება  
იმდენად დიდი და თვალშისაცემი იყო,  
ვერც კი დამეჯერებინა, რომ პირველი  
წარმოდგენა მომეწონა და მან ჩემზე  
კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ  
ვეცდები, მაინც პირველი წარმოდგენის  
შესახებ მოგიხსროთ.

მოლიერის ეს პიესა იმთავითვე იწვევ-  
და თანამედროვეთა გაოცებას – ალცეს-  
ტი, ზოგადად და სავარაუდოდ, ავტო-  
პორტრეტული პერსონაჟი ამავდროულად  
ტრაგიკულიცაა და ნევრასტენიულიც  
(მიზანთროპი – კაცთმოძულე – ასოცი-  
ალური). მაგრამ, ამავე დროს, ჭკვიანი,  
გონიერი, თუ გნებავთ, ინტელექტუალიც  
კი. მის პირველსავე რეპლიკაში ფილინგის  
მიმართ ირკვევა, რომ  
მეგობართან კონფლიქ-  
ტი გარდაუვალია. რე-  
ჟისორს, დრამატურგის  
მსგავსად, დასაწყისშივე  
შემოყავს ეს ორი მეგო-  
ბარი სცენაზე და დასა-  
ბამს უდებს ალცესტის  
„მოგზაურობას“ დან-  
ტესეულ წრეებზე. ალ-  
ცესტი (გოგა ბარბაქაძე)  
ირეალისტია, რომელიც  
თითქმის სხვა სამყარო-  
დან აღმოჩნდა, ვერ პო-



ულობს თავის კუთვნილ ადგილს. ჯერ გამართლებული და შემდგომ კი გამტყუნებული სასამართლოს მიერ, უარყოფილი საცოლისა და მეგობრისაგან, ნაჩხუბარი ყველასთან, სპექტაკლის ბოლოს სულ მარტო რჩება.

რეჟისორი გომა გორგოშიძე, რომელიც უკვე მეოთხე სპექტაკლს დგამს ამ თეატრში, თავის ნამუშევრებში, ძირითადად, ერთსა და იმავე მსახიობებს აკავებს (ჰ. ფ. კლაისტის „პრინცი ჰომბურგი“, ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ე. ე. შმიტის „სტუმარი“). მან მიზნად დაისახა, შემოეთავაზებინა ამ პიესის დღევანდელი ვერსია: თანამედროვე კოსტიუმებით, მობილური ტელეფონებით, მესიჯებით, ლეპტოპებით და მეილებით, ვიდეოკამერითა და მიკროფონებით. შეელამაზებინა იტალიური კომედია დელ'არტეს ნიღბებით. რეჟისორის მიერ ტექსტური მასალის ასეთი გადაწყვეტა ადასტურებს ჟ.ბ. მოლიერის მუდმივ თანადროულობას და იმას, რომ თითქმის ოთხი საუკუნის მერე ადამიანთა ბევრი მანკიერი თვისება, საზოგადოების პიროვნებასთან დაპირისპირება, რაც დრამატურგის სარკაზმისა და სატირის საბაზი იყო, დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც XVII საუკუნის საფრანგეთში. დიახ, ეს არის მოლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატირული კომედია, ოდნავ მისტიკურიც, რადგან ძნელი მისახვედრია, როგორ უყურებს თვით მოლიერი თავის მთავარ გმირს. აქ მხოლოდ რეჟისორზეა დამოკიდებული, როგორი იქნება, ვიმეორებ, ინტელექტუალი ალცესტი – მარტოხელა გმირი, რომელიც იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ (მის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი) – ტრაგიკული (დრამა – შეყვარებულის დაკარგვა) თუ კომიკურ-სატირული. რეჟისორ გომა გორგოშიძის გადაწყვეტაში ალცესტი უფრო სენტიმენტალური კომედიის პერსონაჟს ჰგავს, დაღლილს, ცხოვრე-

ბისაგან განამებულს და არა ტრაგიკომიკურ მარტოხელა გმირს. იგი სულაც არ ინვეს სიცილს (რასაც ამტკიცებდა დღევანდელი მაყურებლის რეაქცია). ამ როლში, როგორც ნიკოლა ბუალო წერს, მხოლოდ თვითონ მოლიერი იყო სასაცილო (1666 წ.). ამ პიესას სცენაზე ძალიან იშვითად დგამდნენ, რისი მიზეზიც სწორედ ის უნდა იყოს, რომ კომედია სასაცილო არ გამოდის ხოლმე (გავიხსენოთ თუნდაც ა. ეფროსის დადგმა ვ. ზოლოტუხინით მთავარ როლში). არც დრამატურგის სამშობლოში წყალობდნენ ამ ნაწარმოებს. ბოლოს ეს პიესა, 2014 წელს, კლემან ერვიე-ლეჟემ დადგა კომედი ფრანსეზში.

სცენაზე მინიმალური აღჭურვილობაა: რამდენიმე მომწვანო, პასტელის ფერებში გადაწყვეტილი სავარძელი და ბალიშები (მხატვარი ნინო თათარაშვილი), ვარდი (სავარაუდოდ, სიყვარულის, გულის სიმბოლო), პირველი სპექტაკლის მსვლელობისას ასე რომ ამშვენებდა ავანსცენას, მეორე სპექტაკლში სადღაც გაქრა. ნიღბებაფარულ მთავარ მოქმედ პირთა – ალცესტისა (გიორგი ბარბაქაძე) და ფილინგის (ბაჩო ჩაჩიბაია) საუბარი ძალიან მდორედ მიედინება. ალცესტი „ფილოსოფოსობს“, ფილინგი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს, ცეკვის ილეთების მსგავს მოძრაობებსაც კი აკეთებს (ქორეოგრაფები – კოტე ფურცელაძე და ცისია ჩოლოყაშვილი), თუმცა დაძაბულობა მათ შორის მაინც იგრძნობა. ორონტის (პაატა გულიაშვილი) გამოჩენა მეტ სიხალისეს მატებს სპექტაკლს. ის იტალიელი მაფიოზივით ყვითელ კოსტიუმში გამოწყობილი, ადამიანთა ჯგუფის და ვიდეოკამერის თანხლებით შემოდის სცენაზე. ორონტი ტელევარსკვლავით პოზიორობს კამერის წინ – მისი კლოუნადა მიმართულია სელიმენას მოსახიბლად – იგი ხომ ხელის სათხოვნელადაა მოსული. არც შექსპირის სონეტების ტექსტია დავინყებუი. სპექ-

ტაკლში დროდადრო ჩართულია მეოცე საუკუნის ჰიტები ცნობილი მომღერლების (მაგ. ჯანის ჯოპლინი) შესრულებით (მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძე).

სელიმენა (ქეთი სვანიძე), ისევე, როგორც ელიანტა (ლელა ახალაია), არსინოა (მანანა აბრამიშვილი) და აკასტი (ლაშა ჯუხარაშვილი), თანამედროვე კოსტიუმშია გამოწყობილი და თანამედროვე აქსესუარებს ატარებს (მხატვარი ნინო თათარაშვილი). სელიმენა – მედიდური, თავმომნონე, ხელის მთხოვნელებისგან განეზღვრებული; ელიანტა – მისი ერთგული ნათესავი, ყველაფერში რომ ეთანხმება და მხარს უჭერს; არსინოა – მაღალი საზოგადოების, ელიტის წარმომადგენელი, ფარისეველი, ქორების გავრცელებისა და მოყლის ოსტატი, რომელიც ღალატის დამადასტურებელი წერილით ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ალცესტი და სცენაზე თამაშდება ჩვეულებრივი ინტრიგა, ძირითადად მიმართული ალცესტის წინააღმდეგ (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ა. გრიბოედოვის ჩაცკი კომედიიდან „ვაი ქკუისაგან“, მიზანთროპის პროტოტიპად რომ არის მიჩნეული; და ამ პიესის ფინალი, რომელიც ასე ჰგავს მოლიერისეულს).

იმდროინდელი საზოგადოება შეურაცხყოფითა და დაცინვით ცდილობს, თავისნაირად აქციოს ალცესტი, მაგრამ იგი მაინც იმარჯვებს – ის ყველაფრისგან და ყველასგან თავისუფალია და ვერავინ ვერ შეძლებს მის დამორჩილებას. იკვთება თუ არა ეს ყველაფერი იმ სპექტაკლში, რომელიც ვნახე? ნაწილობრივ კი და ჩემი აზრით, ამით არის ის საინტერესო. ესაა რეჟისორის მცდელობა, მიუახლოვდეს ფ. ბ. მოლიერის შესანიშნავ დრამატურგიულ ტექსტსა და ქვეტექსტებს, მაყურებელს უჩვენოს ადამიანის სულის ტრანსფორმაცია და ამაღლება იმ გარემომცველ სამყაროზე, იმ საზოგადოებაზე, გარს

რომ არტყია, რომელიც შესაძლოა დამანგრეველი გახდეს პიროვნებისთვის, მისი თვითშეგნებისთვის.

კიდევ ერთი ახალგაზრდა რეჟისორის, ნიკა ჩიკვაიძის ახალი ნამუშევარი (მის შესახებ უკვე ვწერდით ჟურნალის წინა ნომრებში) ვიხილეთ თავისუფალი თეატრის სცენაზე. დავით კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება“ არცთუ ისე ხშირად იდგმება თანამედროვე ქართულ სცენაზე, სამაგიეროდ, უნდა ითქვას, რომ მის განხორციელებას ყოველთვის თან ახლავს ღრმა ექსპერიმენტული ძიებები და ამიტომ მას საინტერესო სცენური ისტორია აქვს. ასე მაგალითად: რობერტ სტურუასა და ანდრო ენუქიძის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლს ის თავისებურება ჰქონდა, რომ რეჟისორებმა მაყურებელი სცენაზე აიყვანეს და აქტიურად ჩართეს ქმედებასა და „ირინეს სასამართლოში“; დიმიტრი ხვთისიაშვილმა კი სცენაზე მრავალი მანეკენი განათავსა, რომელიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში სოფლის საზოგადოებას წარმოადგენდა, თვალს ადევნებდა, კიცხავდა და უპირისპირდებოდა იქ მიმდინარე მოვლენებს და მთავარ პერსონაჟებს, ხოლო სპექტაკლის ბოლოს ირინე თავს იკლავდა. თავისუფალ თეატრში ამ სეზონში დადგმული სპექტაკლი დ. კლდიაშვილის ამ შესანიშნავი პიესის კიდევ ახალი ინტერპრეტაციაა.

სპექტაკლის რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე უცვლელად ტოვებს დრამატურგის მიერ დასმულ პრობლემებს: გვიჩვენებს გაკოტრებულ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ქალიშვილების ხეირიანად გათხოვებით ცდილობენ თავის გადარჩენას; უფლებააყრილ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რომელთა მიმართაც გრძელდება უდიერი მოპყრობა და მათზე ძალადობა (ეს თემები გამუდმებით ჩნდება დავით კლდიაშვილის სხვა პიესებშიც: „უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“).

რეჟისორმა ამ პიესის პერსონაჟები პროვინციიდან დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ჩამოიყვანა და ცხოვრების ახლანდელ მორევში ჩაძირა: უამრავი ცდუნებით, ჭარბი ბახუსით, სექსით, სხვადასხვა კომპლექსითა და მანკიერებით რომ არის სავსე: ფილიპე (არჩილ ბარათაშვილი) ქალთმოძულე და საკუთარ შვილზე მოძალადე, გაკოტრებული უზომო ფულის ფლანგვით; ვიქტორი (ტატო გელიაშვილი), არაფრისმქონე, მოსამსახურედ ქცეული, ჩაცმა-დახურვით, სავარაუდოდ, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს რომ ჩამოჰგავს; ეკა (თამარ ნიკოლაძე), სამსონ სალამთაძის ქვრივი, ახალგაზრდობაში დრონატარები, არცთუ ორაზროვანი გა-

რეგნობით და ჩაცმულობით, ქალი-ვამპირი, რომელმაც, სავარაუდოდ, არაერთხელ დაადგა რქები მეუღლეს და ნაადრევად გაუყენა საიქიოს გზას, თანამედროვე ბიზნეს-ვუმენი გასაღებების ხელში

ტრილით – ერთგვარი ვასა ჟელენოვა მაქსიმ გორკის ამავე სახელობის ნაწარმოებიდან; მისი შვილი აბესალომი (ბექა ბელქანია) – მოძალადე, მატყუარა, ლოთი და უზნეო; ამავე მანკიერებებით სავსე მისი ძმაკაცი (ოთო ლასხიშვილი) და თვით ირინეც (თათა თავდიშვილი), ერთი შეხედვით, უმანკო, მაგრამ ამავე დროს უარს არ ამბობს ეროტიკულ ცეკვა-თამაშზე, სასმელზე და ბოთლის ყელიდაც კი მიირთმევს. მხოლოდ პავლე როდამაშვილია (მიშა გავაშელი) მათგან ოდნავ გასხვავებული, ირინეზე შეყვარებული. ის ეჭვის თვალით და უნდობლო-

ბით უყურებს ყოველივეს, დაჭერობანას თამაშისას თვალახვეული, იგი ველარასოდეს მიაგნებს ირინეს, იგი მისთვის სამუდამოდ დაკარგულია და ტყუილად კი არ ვარდება სცენის ორმოში – იგი სანაგვეში მოისროლეს და ზედ დაარწყიეს კიდევაც. პავლე მხოლოდ სპექტაკლის ბოლოს თუ გამოავლენს თავის გუნება-ხასიათს და აღშფოთებას გამოხატავს, თუმცა უკვე ძალიან გვიანია.

პირველი სასცენო ნამუშევრებიდან დაწყებული, გამოვლინდა ახალგაზრდა რეჟისორის, ნიკა ჩიკვაიძის მიდრეკილება განსხვავებული თეატრალური ფორმებისა და ესთეტიკისკენ, ის, რაც არცთუ ასე ხშირად ხდება რეალისტური მიმართუ-



ლების ქართული თეატრის სცენებზე. ეს, პირველ რიგში, გაცხადდა დრამატული ნაწარმოებების შერჩევაში, ხოლო შემდგომ მათ რეალიზაციაში და სცენაზე წარმოდგენაში გამოვლინდა. ასე მაგალითად: დ. გაბუნias „რამდენიმე დამძიმებული გარემოება“ (რაზეც უკვე ვწერდი ამ ციკლის მეოთხე სტატიაში), ნეორეალისტურ, ეტორე სკოლას ფილმის „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“ მიხედვით შექმნილი და ბოლოს – დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ (სამივე თავისუფალი თეატრის სცენაზე), რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, რო-

გორც ნატურალისტური დრამის ნიმუში.

ემილ ზოლა თავის სტატიაში „ნატურალიზმი თეატრში“ წერდა: „აიღეთ თანამედროვე გარემო, დაასახლეთ ის ცოცხალი ადამიანებით და მიიღებთ შესანიშნავ (დრამატურგიულ – გ. ყ.) თხზულებას“, რაც ნამდვილად გააკეთა რეჟისორმა ნიკა ჩიკვაიძემ და სცენაზე გვიჩვენა, თუ ისევ ნატურალისტების მონოდებას და ემილ ზოლას მოვუხმობთ „... სიმართლე მთელი სიშიშვლით, სიმართლე, რომელსაც არ სჭირდება დაპირება“. ასეთი „გაშიშვლებული“ პერსონაჟები არიან მის სპექტაკლში „საზიზღრები, ბინძურები, ბოროტები“. „ერთი შეხედვით მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალური დრამაა. რეჟისორი უკიდურესი ნატურალური ფორმით ცდილობს, წარმოგვიდგინოს ყოფიერებაში ჩაძირული ადამიანების ცხოვრების სიმახინჯე... რეჟისორი ისეთ მტკივნეულ თემებს ეხება, როგორცაა სექსუალური უმცირესობების უფლებები, ძალადობა ოჯახში თუ მის გარეთ, უმოტივაციო და უპერსპექტივო ახალგაზრდები, ზღვარს გადასული აღვირახსნილი ცხოვრების წესი, ადამიანებს შორის დაკარგული და ნაშლილი ზნეობის განცდა. ის არ ცდილობს შეაღამაზოს, ან თუნდაც დაიცვას რომელიმე მხარე, უბრალოდ ღიად და დაუფარავად უჩვენებს მყურებელს ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის რეალურ ყოფას“, – წერს გ. გულიაშვილი. სრულიად ვეთანხმები კოლეგის ამ მოსაზრებას, გამოთქმულს კრიტიკოსის მიერ ამ სპექტაკლისადმი მიძღვნილ რეცენზიაში და რა არის ეს თუ არა ნეორეალიზმის მასალაზე აგებული ნატურალიზმი ქართულ თეატრში – ეს მხატვრული მიმართულებები ხომ ასე ახლოს დგანან ერთმანეთთან.

გარემო, სადაც დავით კლდიაშვილის პიესის „ირინეს ბედნიერება“ თამაშდება (მხატვარი თამარ გურგენიძე), სულაც არ ჰგავს დრამატურგის მიერ

აღწერილ ფილიპე ბარბაქაძის კარმიდამოს. სცენის მარჯვნივ ოდა-სახლის ვერანდა კაფე-ბარს წარმოადგენს, სადაც ჯერჯერობით ყველაფერს ამ ბარის მეპატრონე და ირინეს მამა ფილიპე (არჩილ ბარათაშვილი) განაგებს – დროსტარებაში, ღრეობაში, ღვინოში და მხიარულებაში ჩართულია ყველა: ფილიპე, ვიქტორი (ტატო გელიაშვილი), თვით ირინეც (თათა თავდიშვილი), აბესალომიცა (ბექა ბელქანია) და ქალაქის ახალგაზრდობაც (ნინა გორგასლიძე, ნინი სირაძე, ნინი ერქომაიშვილი, თამარ ხუჭუა, ანა ჭილაძე, მარეხ ბლიაძე, ოთო ლასხიშვილი, გიორგი ედიშერაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, გიორგი ზვიადაძე).

ვერანდა – სცენითი ქმედების დამატებითი არეალი მნიშვნელოვანი მოვლენების მოწმე ხდება. აქ მიმდინარეობს სპექტაკლის ყველაზე დრამატული მომენტები: კონფლიქტი ირინესა და მამამისს შორის, ვიქტორისა და ფილიპეს ანგარიშსწორება და ვიქტორის „განდევნა-გაშიშვლება“, ეკას (თამარ ნიკოლაძე) და ვიქტორის „შეთქმულება-გარიგება“, როდესაც ეკა წერილს წერს აბესალომის „გონზე მოსაყვანად“ თუმცა „ხელები აქვს შეკრული“, იმდენად უჭირს ასეთი ქმედების ჩადენა და ბოლოს აბესალომის თავდასხმა ირინეზე იარაღით ხელში. ვერანდაზე გამართული სცენები რეჟისორულ-მხატვრული მიგნებაა, რაც პიესის კონფლიქტის ხაზგასმად გვესახება და მთლიანობაში, ზემოთ დასახელებულ მომენტებში დრამატული კვანძის გახსნად იქცევა.

სცენის მარცხენა კუთხეში თავმოწონეობს სამი უძვირფასესი უნიტაზი, ჭუჭყის, უსირცხვილობის, გარყვნილებისა და სახალხო თავაშვებულობის სიმბოლო, სადაც ღრეობაში ჩართულმა „საზოგადოებამ“ შეიძლება საქვეყნოდ მოისაქმოს, არწყოს და სექსუალური სცენებიც კი გამართოს – ასეთია ის გარემო და ის სამყარო, სადაც ირი-

ნეს ბედი მამამისმა – ფილიპემ უნდა გადაწყვიტოს, ჯერ უხვად დაასაჩუქროს და მოისყიდოს, შემდეგ კი, წინააღმდეგობის განწევას, უგულბელყოს ქალიშვილის ახალგაზრდული გატაცება-სიყვარული, ფსიქოლოგიურად იძალადოს თავის შვილზე – ძალით გაათხოვოს აბესალომ სალამთაძეზე.

რეჟისორი უხვად სარგებლობს მეტაფორული გადახვევებით და სიმბოლოთა გამოყენებით, რომლებიც გამოიხატება მიზანსცენებში, მსახიობთა თამაშში, სცენოგრაფიასა და თვით მსახიობთა კოსტიუმებშიც – ასე მაგალითად, პავლე რომელაშვილის ყელამდე შეკრული პერანგი, ირინეს გიპიურის გამჭვირვალე კოფთა, რომლის შიგნითაც შიშველი სხეული მოუჩანს, ეკას პირველი გამოსვლის და მისი თითქმის ყველა კოსტიუმი და რაც მთავარია, ვიქტორის ჩაცმულობა და აკაზმულობა, თვით ნაფლეთებად ქცეული ქვედა საცვალიც კი. ყოველივე ამას ამკობს არცთუ ორაზროვანი ფრაზები, რომლებიც თანამედროვე ენით და თანამედროვე ჟარგონული გამონათქვამებით „ამდიდრებს“ დრამატურგიულ ტექსტს და ცხოველ რეაქციას იწვევს მაყურებელში. ეს ყოველივე პერსონაჟთა ხასიათთა გამოკვეთისა და სწორად მოწოდების მიზანს ისახავს. მრავლისმეტყველია აგრეთვე ვიქტორისა და ირინეს სცენა, რომელთა „თამაში“ ირინეზე ძალადობის მცდელობაში გადაიზრდება. ირინე, რომელიც თვით უმანკოების სიმბოლოდ უნდა გვესახებოდეს, სექსუალურად იმდენად მიმზიდველია ან ასეთად ცდილობს აჩვენოს თავი, რომ ისეთ პერსონაჟში, როგორც ვიქტორია, მამაკაცურ ჟინს ბადებს, იმას, რაც ასეთი ვიქტორისთვის „უცხო ხილი“ უნდა ყოფილიყო მისი გამოკვეთილი სექსუალური ორიენტაციის გამო. არანაკლებ მეტყველია ვალსი, შესრულებული ქოროს, ირინეს და აბესალომის, ირინეს და ფეხმოტეხილი

პავლეს მიერ. ცეკვის სცენები (ქორეოგრაფი ტატო გელიაშვილი) ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფურ სექსში გადაიზრდება – ირინე გზააბნეული ცდილობს, თავი დააღწიოს ამ უნიტაზებზე სექსით დაკავებულ წყვილებს შორის გამართულ ავხორცულ ღრეობას, მაგრამ უშედეგოდ; პლასტიკურ-გამომსახველია აბესალომისა და როდამიშვილის „დუელი“ ვედროს მეშვეობით; ეკას და აბესალომის სცენა, რომელიც მშობიარობის მსგავსი მოძრაობებით იწყება, დედის კალთაში მოქცეული აბესალომის ტირილით გრძელდება და მშობლის მიერ მისი მიბერტყვით თავდება.

ბარში ეკას გამოჩენით, რომელსაც ნებსით თუ უნებლიეთ ფილიპესთან შეხვედრისას ბევრი ფული დაეხვევა, რეჟისორი ნ. ჩიკვაძე სიუჟეტის სხვაგვარ გაგრძელებას გვთავაზობს – ფილიპეს ბარს გაკოტრებული მეპატრონისნაირი ელფერი შეჰპარვია, აქა-იქ, წვიმის დროს, წყალიც ჩამოდის, ბარის დახლზე ჩნდება ნარნერა „Sale“, ეკაც დროულად მიუსწრებს – მისი ვაჟი ირინეს დაეპატრონება, დედამისი კი ფილიპეს ბარს.

გაკოტრებული „მცირე მენარმის“ ქონებას ბიზნესუმიენი ეკა დაისაკუთრებს – კლდიაშვილსეული „კლასთა ბრძოლა“ გრძელდება.


სპექტაკლში გამოყენებული მუსიკა ორიგინალურადაა შერჩეული თვით რეჟისორის მიერ და ერწყმის ქმედებას. დები იშხნელების სიმღერებს თანამედროვე ცნობილი ჰიტები, ვალსი და „ძილისპირულის“ ყველასთვის ცნობილი იავნანა ანაცვლებს, ხოლო ქოროს პლასტიკა და ოსტატურად დადგმული ცეკვები და მასობრივი სცენები მატებს სცენურ გამომსახველობას და სრულ სინთეტურობას ანიჭებს წარმოდგენას.

ნოდარ დუმბაძე

HELLADOS

- ჯემალ, სკრიპკა!
- იანგული, ლანირაკო!
- ჯემალ, ქამო!
- იანგული, ნუნკო ბერძენო!
- ჯემალ, ნირპლიანო!
- პატარების ყოჩო!
- ვირისთავო!
- ვირის მწყემსო!
- გოგოების მაჩალკა!
- ხულიგანო!
- თბილისელო ჰარიფო!
- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

●  
სოხუმელი ბერძნის ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო იანგული. ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა, მუხლებამდე ნვდებოდა უზარმაზარი ტორები. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, ორ-სამ ბიჭს ერთად ისე გაასილაქებდა, ხელს არ გაანძრევინებდა. კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით



მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის თხელი ხალათით დადიოდა, მკერდგაღელილი.

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად. დედა ისე პატარას გარდაცვლოდა, არც კი ახსოვდა. მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მანონს და მწვანის ჰყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში, იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა მეურნეობაში და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთან იდგა ხოლმე, სკო-

ლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა, მერე თავიანთსავე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ამ თოთხმეტი წლის დიქტატორს ყურმოჭრილ მონებად ჰყავდა მთელი ვენეციის გზატკეცილის ბიჭები და მათ შორის ჩემი დეიდაშვილი კოკაც.

უბნის ყოჩი იყო იანგული.

ჩვენი ნაცნობობა 1938 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, თბილისიდან ჩასული მეორე დღესვე მთელ სოხუმში სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიასთან მიმიყვანა და მუხლებში ჩაუფარდა:

– ობოლია, დედამისი ვიოლინოზე ატარებდა, უდებობა და ობლობა რომ არ იგრძნოს, უარს ნუ მეტყვით; სხვას რომ ახდევინებთ, ორი იმდენი გამომართვით, ოღონდ აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების კითხვაში გამომცადა, თითებზე დამხედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჯრი მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და აანყვეო, მითხრა. დეიდაჩემი შეშინებული მიყურებდა და, როდესაც ვიოლინო ავანყვე, შვებით ამოისუნთქა.

– აბა, ახლა ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დაუკარი! – მითხრა ელენა მიხაილოვნამ, სავარძელში ჩაჯდა და მოსასმენად მოემზადა. ბეთჰოვენის ხსენებაზე დეიდაჩემს საქციელი ნაუხდა.

– პატივცემულო ელენა მიხაილოვნა, იქნებ სხვა, უფრო პატარა კომპოზიტორი გეკითხათ?! – სთხოვა ნავროდსკაიას და ცხვირსახოცით შუბლზე გამოცვარული ოფლი დაიმშრალა.

– როგორ, „ზაზუნას“ არ უკრავს? – ჰკითხა გაკვირვებულმა ნავროდსკაიამ დეიდას და ნარბები აზიდა.

მე მივხვდი, რომ დადგა ის სანატრელი ჟამი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც საშუალება მეძლეოდა, თავი დამეხსნა მუსიკის მონობის უღლისაგან, რომელშიც ექვსი წლისა შემება დედაჩემმა და უმოწყალოდ მხედნიდა. საკმარისი იყო ახლა, ამ წუთში, მეთქვა ერთი მაგიური სიტყვა – „არა“, და ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ არ ვიცი, დეიდაჩემის ტანჯულმა სახემ, ნავროდსკაიას გაკვირვებულმა გამოხედვამ, ცამეტი წლის ბავშვის განუზომელმა პატივმოყვარეობამ თუ ჩემთვის გაურკვეველმა კიდევ რაღაც ძალამ ხელში ამაღებინა ვიოლინოს ხემი და ოთახი „ზაზუნას“ მარტივი და გენიალური მელოდიით აივსო.

როდესაც დაკვრა დავამთავრე, დეიდა ნინას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ნავროდსკაიას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

...და ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიამ ამიყვანა.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით და რკინიგზის გადასასვლელს მივუახლოვდით, იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხმული და კაკალს ამტვრევდა აგურის ნატეხით.

– გამარჯობა, ნინა ივანოვნა! – მიესალმა იგი დეიდას, როდესაც ჩაუფარეთ.

– გაგიმარჯოს! – მოკლედ უპასუხა დეიდამ.

– კოკა სადაა? – ჰკითხა იანგულიმ.

– კოკა შენსავით უსაქმო კი არ არის, სკოლაშია! – უპასუხა დეიდამ.

– ეგ ვინლაა?

– შენი საქმე არ არის! – თქვა დეიდა ნინამ და წინ გამიგდო.

იანგულიმ გაბმულად დაუსტვინა. ჩვენ გზა განვაგრძეთ.

– ეეე, სკრიპკა! – მომესმა უცებ. გაკვირვებულმა მოვიხედე.

იანგულის ცალი თვალი მოეჭუტა, კისერი მოეღრიცა, ენა გამოეყო და

მარჯვენა ხელს მარცხენაზე ხერხივით ისვამდა. მივხვდი, მე მაჯავრებდა ვიოლინოს დაკვრაში. ბრაზისაგან გული ყელში მომეჭვინა.

– მაიმუნო! – დავუძახე და მუშტი მოვუღერე.

– ხვალ გამოიარე, შეშა მაქვს დასახერხი! – მიპასუხა სიცილით.

– შენ არ მოიძალე ხულიგნობა? – უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი დეიდაჩემმა.

– ვინ არის? – ვკითხე მე.

– ბერძნის ბიჭია, იანგული, მამამისს რძე დააქვს ჩვენთან. არ დაგინახო მაგასთან გავლილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში აგდია.

მე ისევ მოვიხედე უკან, იანგული დამტვრეულ კაკალს არჩევდა, თან გამომწვევად მიცინოდა.



მეცამეტე სკოლაში სიარული, რომელშიც დეიდაჩემმა მომანყო, რკინიგზის ლინდაგზე გავლით მიწვედა, ასე რომ ჩემი და იანგულის ყოველდღიური შეხვედრა თითქმის გარდაუვალი შეიქმნა.

დაახლოებით ერთი თვე ყურადღებას არ მაქცევდა. იდგა უბნის ბიჭებში და, როგორც ყოველთვის, კოჭობანას ან პაჭარობანას თამაშობდა.

ერთი კი იყო, როგორც კი თვალს მომკრავდა, იმავე წუთში, ჩემს დასახანხად, ვინმეს ან ქუდს ჩამოაფხატავდა თვალებზე, ან პანლურს ამოჰკრავდა, თან ირიბად გამომხედავდა.

მეც ისე ჩავუვლიდი, თითქოს ფეხებზე მეკიდა იანგულიცა და მისი მრევლიც. ისე კი ერთი სული მქონდა, ბიჭებში გავრეულიყავი და იანგულის მსგავსად მეც მეჩვენებინა ჩემი შნო და მარიფათი, მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავი, გვერდით ჩემი უმცროსი დეიდაშვილის, კოკას გარდა არავინ მომდეგდა, და ამიტომ მისვლას ვერ ვბედავდი, ერთს კი ვგრძნობდი, ჩვენი ურთიერთობა ლალუმის პატრუქივით

თანდათან იწვებოდა, პატარავდებოდა, ფისტონს უახლოვდებოდა, და ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებდა.

...და ზუსტად ერთი თვის თავზე ეს დღეც დადგა.

ელენა მიხაილოვნას მოწაფე ჰყავდა. მე მოსაცდელში ვიჯექი და ჩემს რიგს ველოდი.

მრგვალ მაგიდაზე აკვარიუმი იდგა და შიგ წყალმცენარეებსა, ლამაზ ნიჟარებსა და ქვებს შორის მაროსავით ფარფლებგაშლილი ოქროს თევზები დასრიალებდნენ, თან პირს სასაცილოდ აფჩენდნენ და ჰაერის ბუშტებს უშვებდნენ. რატომღაც მომეჩვენა, რომ თევზებს სასტიკად შიოდათ და ამიტომ წრიალებდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან გაზეთში გახვეული შავი პურისა და ყველის ბუტერბროდი, წვრილწვრილად დავფშვენი და აკვარიუმში ჩავყარე, წყლის ზედაპირი შავი პურისა და ყველის ნაფხვენებით დაიფარა. თევზები ჯერ დაფრთხნენ, ქვებსა და ნიჟარებს ამოეფარნენ, შემდეგ, თითქოს მიხვდნენო ჩემს კეთილ განზრახვას, საფარიდან გამოცვივდნენ და გამამაგებით შეესივნენ საჭმელს.

უზომო კმაყოფილებით ვუცქერდი ოქროს კორიანტელს. აკვარიუმი პატარა ოკეანესავით ღელავდა და ბობოქრობდა. თევზები თავდავინყებით ტრიალებდნენ და ცეკვავდნენ. მერე თანდათან უკლეს თამაშს. აკვარიუმი დაწყნარდა და დამშვიდდა. ახლა მუცელდაბერილი და დამძიმებული ოქროს თევზები ზანტად დაცურავდნენ მინანქრის ნიჟარებსა და ქვებს შორის, რიგრიგობით მოდიოდნენ მინის კედელთან და თითქოს მადლობას მეუბნებიანო, კუდის ოდნავი მოძრაობით ტოკავდნენ ჩემ წინ, უცებ ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო დიდი იყო, გულალმა ამოტრიალდა და ზურგზე იწყო ცურვა. გაკვირვებული მივჩერებოდი ამ უცნაურ სანახაობას. მალე სხვა თევზებმაც მიბაძეს. აკვარიუმი თითქოს თავდაყირა

გადმოატრიალესო, ახლა ყველა თევზი გულაღმა ცურავდა შიგ, თან გამალე-ბით ამუშავებდნენ ლაყურებს... წყალ-ში ხელი ჩავყავი და თევზების წაღმა გადმობრუნება ვცადე, მაგრამ ამაოდ, ისინი კვლავ გულაღმა წვებოდნენ, შე-შინებულმა სასწრაფოდ ამოვიღე ხელი წყლიდან. მივხვდი, რომ მოხდა რაღაც საშინელება. მალე აკვარიუმში სიცოც-ხლე ჩაკვდა. მონამლული ოქროს თევ-ზები უსულოდ ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე. ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა, ვიოლინოს ბუდეს ხელი ვტა-ცე და გასაქცევად მოვემზადე. მაგრამ უცებ კარი გაიღო და ოთახიდან ელენა მიხაილოვნა გამოვიდა. იგი ჩემზე ადრე მოსულ მოსწავლეს მოიაცილებდა, თან რაღაც დარიგებებს აძლევდა.

– შემოდი! – მითხრა მან, როდესაც მონაფე გააცილა. მე გაშეშებული ვიდექი.

– შემოდი, შემოდი! – გამიმეორა მან, მხარზე ხელი დამადო და მსუბუ-ქად მიბიძგა ოთახისაკენ, ადგილიდან არ დავძრულვარ.

– გაკვეთილი არ იცი? – მკაცრად მკითხა ელენა მიხაილოვნამ და კვლავ რომ არ გავეცი ხმა, გაკვირვებულ-მა თვალი გააყოლა ჩემს გაშტერებულ მზერას... და მოხდა ის, რისი წარმოდ-გენაც მხოლოდ იქთიოლოგებს შეუძ-ლიათ. მუხლმოკვეთილი ელენა მიხაი-ლოვნა სავარძელში ჩაეშვა, ტურები გა-ულურჯდა და ხმის კანკალით მკითხა:

– Ты что наделал, паршивый маль-чишка?!

– მე არ მეგონა, ელენა მიხაილოვნა, მე მხოლოდ შავი პური და ყველი ჩავუ-ყარე...

– Отравил! – ამოიგმინა მან სასო-წარკვეთით. მერე თავი ხელებში ჩარგო და შვილმოკლულივით აქვითინდა. მახ-სოვს, როგორ ვლულულულებდი, თავს ვიმართლებდი და ვცდილობდი, რო-გორმე დამემშვიდებინა მუსიკის მას-წავლებელი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო... იგი ადგა, აკვარიუმთან მივიდა,

სათითაოდ იღებდა წყლიდან უსულო თევზებს, ჰკოცნიდა, კვლავ აკვარიუმ-ში აბრუნებდა, თან საოცარი სიტყვე-ბით ეალერსებოდა.

– Милые мои, золотые, ненаглядные, отравили, убили вас.

მერე ჩემკენ შემოტრიალდა, სახე შეშლილი ჰქონდა, ნიკაპი უკანკალებდა და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი. უცებ გაშლილი ხელი მოიქნია და ისეთი სილა გამანწა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავექცეულიყავი.

– Вон из моего дома, варвар. Чтоб твоей ноги не было больше здесь! Вон!

მე სილა და ცრემლი ერთად გადაე-ყლაპე, ვიოლინო ილიაში ამოვიჩარე და უხმოდ გამოვიხურე კარი.

თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მოვაბიჯებდი სახლისაკენ.

რკინიგზის გადასასვლელთან იან-გული და მისი დამქაშები პაჟარობანას თამაშობდნენ. გულმა მათკენ გამინია. შინ მაინც არ მიმესვლებოდა. ბიჭებს რომ დავუახლოვდი, ფეხი ავითრიე, მე-რე განგებ გავჩერდი და დავიხარე, ვი-თომ ფეხსაცმლის თასმას ვისწორებდი.

– ეეე, სკრიპკა! – იანგულის ხმა ვი-ცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.

– რა გინდა? – ვკითხე.

– მოდი აქ! – მიმიხმო თითით.

– თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! – ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და წელი ნაბიჯით წა-მოვიდა ჩემკენ.

– შენ არ იცი, მე ვინა ვარ? – მკითხ-ხა ამაყად.

– ვიცი! – ვუპასუხე მე.

– მერე, რომ გეძახი, რატომ არ მო-დისარ?

– შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? – ვუთხარი აგდებით და ყოველი შემ-თხვევისათვის ვიოლინო მიწაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა

თავის ბიჭებს, რომლებსაც თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ჩვენს გარშემო წრე შეეკრათ.

– იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! – დაუძახა ვილაცამ წრიდან.

– მიდი, უთაქე, იანგული!

– ერთი შენებური სილა აჭამე!

– ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! – თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

– ნუ ბანაობ! – ვუთხარი და თავი გავნიე.

– უყურე შენ?! – გაუკვირდა იანგულის.

– მიყურე! – ვუპასუხე მე.

– პაპიროსი! – ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.

– არ ვენევი!

– ფული!

– არ მაქვს!

– ჯიბეები ამოიტრიალე!

– შენ თვითონ ამოიტრიალე!

ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ვიოლინოსკენ დაიხარა.

– ხელი აიღე! – ვუთხარი მე და ვიოლინოსაკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, გამომიწოდა:

– მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!

– არ ვუკრავ!

– მაშ, რას დაათრევე, მუქთა ვირი ხარ?

არაფერი ვუპასუხე, ვიოლინოსაკენ გავინიე, რომ გამომერთმია, იანგულიმ უკან გადადგა ნაბიჯი და ვიოლინო ზურგს უკან დამალა.

– პეტია, ფემა, კურლიკ, პანჩო, გენა, სკრიპკის ხმა გაგიგიათ როდესმე? – ჰკითხა ბიჭებს. ბიჭებმა კვიციებივით დაიჭიხინეს.

– მარტო რადიოში! – თქვა პეტიამ და ისევ დაიჭიხინა.

– მიდი, იანგული, გაგვაგონე!

სხვაზე ადრე ჩემი ვიოლინოს ხმა მე გავიგონე: იანგულიმ იგი მსუბუქად მოიქნია და ბრტყლად დამამხო თავზე. –

ზზრრრ, წკრრრ... – დაიკვნესა ვიოლინომ და შუაზე გადაიხსნა, ქვედა ნაწილი მოწყვეტილი მკლავივით დაეკიდა ზედას და ერთხანს კიდე გამოსცემდა ამაზრზენ ხმას. ბიჭები მიწაზე გაგორდნენ. გული გამიჩერდა, სისხლი თავში ამივარდა და ყურები დამიგუბდა. აღარაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ მიწაზე გაგორებულ ბიჭებს, წელში განწყვეტილ ვიოლინოს და იანგულის ოდნავ წინ გამონეულ გამხდარ ყბას და უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავკარი ამ ყბას გაციებული მუშტი.

როდესაც კვლავ დამიბრუნდა სმენა და ცნობიერება, იანგული ქვაფენილზე იჯდა, გაკვირვებული მიმზერდა და ყბას მარჯვენა ხელით იზელდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მე უხმოდ შევტრიალდი და შინ წავედი.

სალამოს დამტვრეული ვიოლინოცა და მისი ყუთიც ჩვენმა მეზობელმა და იანგულის მარჯვენა ხელმა, პეტიამ მოგვიტანა, შემოსასვლელთან დაყარა და გაიქცა.

დეიდაჩემმა ჯერ პეტია შეიცხადა, მერე ვიოლინო, მერე იანგული ალექსანდრიდი, მერე მე და სულ ბოლოს დედაჩემი.

ახლა რომ ვიხსენებ, დეიდაჩემი დაახლოებით ასე მოსთქვამდა:

– როგორც ხარ დაგვაჯული, ისე არგასაზრდელო პეტიაა... შენ და მემწვანილე მამაშენს რას გერჩით, თქვენ რა იცით ამ ვიოლინოს ფასი, სტრადივარიუსი და პაგანინი მხერხავეები გგონიათ... იანგული ალექსანდრიდი მყავს მოსაკლავი, მაგრამ ვირის ყროყინზე გაზრდილ ჩოჩორს მუსიკის რა მოეთხოვებაა... ჩემს ოჯახში ჩამოსახლებული ეს ახალი ხულიგანი მყავს მოსაკლავი... სულნაწყმედილო და უბედურო დაო ანიკო, მე შენი გაჭირვება არ მეყოფოდა, ეს ყაჩალი რომ არ დაგეტოვებინა ჩემდა სამწყესარად. ვაი, შენს დღეს და უი, ჩემს გაჩენას...

ამ დღეს დასრულდა ჩემი მუსიკა-

ლური ოდისეა და დაინყო ახალი ერა ჩემს ცხოვრებაში – ბრძოლა არსებობისათვის.



მეორე დღეს იანგული და პეტია სკოლის ალყაფთან დაგვხვდნენ მე და ჩემს დეიდაშვილ კოკას. ერთი კი შემიქანდა გული, მაგრამ ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი არ მომხდარიყოს.

– სკრიპკა! – ხმა პეტიასი იყო, მე გავჩერდი.

– უნდა გელაპარაკო! – მომიახლოვდა იანგული.

– რაზე?

– აქ უხერხულია! – თქვა მან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს და მასწავლებლებს გახედა.

– აბა, სად? – ვკითხე მე.

– რკინიგზის გაღმა, ხიდის ქვეშ.

– სადაც გინდა! – ვუპასუხე და გავყევი.

იანგული წინ მიდიოდა. მერე მე და კოკა. პეტია უკან მოგვდევდა მოშორებით. ალბათ იმიტომ, რომ არ გავქცევულიყავით.

– დავიღუპეთ! – თქვა საქციელწამხდარმა კოკამ. კოკა ორი წლით პატარა იყო ჩემზე და არაერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის ალიყური.

– ნუ გეშინია! – დავამშვიდე, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, მეც მემშინოდა. რკინიგზის მიწაყრილზე რომ ვეშვებოდით, კოკამ გაქცევა დააპირა, მაჯაზე ჩავავლე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუჭირე:

– არ გაიქცე, ბიჭო, სირცხვილია!

– შენ არ იცი მაგის ამბავი, დაგვასიებს ორივეს, – ამოიკვნესა კოკამ.

– რა მოხდა მერე, ხომ არ მოგვკლავს, – ვუთხარი მე. კოკა დასაკლავად განწირული ხბოსავით გამომყვა.

იანგული რკინიგზის ხიდის ქვეშ დადგა. აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ჩვენც გავჩერდით.

– აჰა, მოვედი, რა გინდა? – ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩალუნა, ერთხანს ასე იყო, რალაცას ფიქრობდა. უცებ თავი ასწია.

– შენ გუშინ უბანში შემარცხვინე. ერთი დარტყმით დამსვი... არ ველოდი და იმიტომ დამსვი, პასუხი იმიტომ არ მიიღე, რომ ვერ ავდექი. მინდოდა ადგომა, მაგრამ ვერ ავდექი. – მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა. – მე ამ უბნის ყოჩი ვარ და ყოჩად დავრჩები... – განაგრძო მან.

– მე არ მინდა შენი უბნის ყოჩობა, თავი დამანებე! – გულწრფელად ვუთხარი მეც.

– შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ, ამიტომ ვერ დაგანებებ თავს. უბანში ორი ყოჩი არ შეიძლება, ან შენ უნდა იყო, ან მე...

– აკი გითხარი, არ მინდა ყოჩობა-მეთქი! – გავუმეორე.

– ეგრე არ გამოვა, უნდა ვიჩხუბოთ!

– ვიჩხუბოთ! – დავთანხმდი მე.

– პატიოსნად ვიჩხუბოთ! – თქვა იანგულიმ.

– პატიოსნად რას ჰქვია? – გამიკვირდა მე.

– არც პეტია, არც კოკა ჩხუბში არ უნდა ჩაერიონ. გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, ნაქცეულის ცემა არ იყოს!

– ეგრე იყოს!

– თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვები! – გამაფრთხილა.

– ცემა მორევაზეა! – ვუთხარი მე.

არაფერი არ მიპასუხა, შავი სატინის ხალათი გაიხადა და მიწაზე დააგდო. რომ გაიხადა და შევხედე, გულმა რეჩხი მიყო: იმხელა გაშლილი მკერდი ჰქონდა, თან მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯი ლათინური ასოებით დასვირინებული ჰქონდა სიტყვა HELLADOS, რომელმაც შემაკროთო უცებ.

იანგულიმ რალაც უთხრა პეტიას ბერძნულად. პეტია შეყოყმანდა. იან-

გულიმ ბრძანება გაუმეორა. პეტია მორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა. იანგულიმ ახლა კოკას შეხედა, კოკამ ცარიელი ჯიბეები ამოიტრიალა.

– დავიწყოთ! – თქვა იანგულიმ.

– დავიწყოთ! – ვთქვი მე და ჩანთა მინაზე დავაგდე.

ჩხუბი ორ-სამ წუთს გაგრძელდა. მე შეკრული მუშტებით ვჩხუბობდი. იანგული – გაშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა: ისეთი ლანა-ლუნი გაუდიოდა ჩემს ყბებზე.

პეტია ბერძნული შეძახილებით ამხნევებდა იანგულის, კოკა კი ქართულად მკარნახობდა:

– თავი, თავი აჭამე, ჯემალ!

ვიცოდი, რომ ახლოს მისვლა და თავის ჭმევა იყო საჭირო, მაგრამ წელს ზემოთ გახდილს რამდენჯერაც წავავლე მკლავში ხელი, იმდენჯერ დამისხლტა ოფლით დაპოხილი, კიდევ ერთი სილა და ვიგრძენი, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

ვიდრე ცხვირიდან წამსკდარ სისხლს ვიხოცავდი, იანგულიმ კიდევ ერთი სილა მაჭამა და ზუსტად ისე დავჯექი მინაზე, როგორც გუშინ იანგული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იანგულის გუშინ არ შეეძლო ადგომა, მე კი შემეძლო, შემეძლო, მაგრამ ჩემს ადგომას ფასი აღარ ჰქონდა – ჩხუბი წაგებული იყო.

იანგულიმ ერთხანს მაცალა და რომ აღარ ავდექი, ხალათის ჩაცმა დაიწყო, და მე ისევ წავიკითხე მის მკერდზე ამოსვირინგებული HELLADOS.

– ხვალამდის! – მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესიებული ჰქონდა და მარჯვენა წარბი – გახეთქილი.

– ხვალამდის! – ვუპასუხე და წამოვდექი.

იანგული და პეტია მინაყრილზე ავიდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაჰ-

ყვნი. მე და კოკა ხიდის ქვეშ დავრჩით.

– არა უშავს, მაგასაც ბევრი მოხვდა! – დამამშვიდა კოკამ.

– სულერთია, ხვალ ვცემ! – ვთქვი მე.

– ნეტავი სარკეში ჩაგახედა! – თქვა კოკამ.

– ძალიან ვარ დასიებული? – ვკითხე.

– ბულკივით! – მიპასუხა და თვალი ამარიდა.

– მაგის დედა ვატირე!

ამჯერად დეიდაჩემს არ შევეუცხადებოვარ. ცივი კომპრესები დამადო სახეზე. დილით კი იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვნა მანვინის ქილა თავზე, როგორც იანგულიმ მე ვიოლინო და ციხეში ამოლპობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ხულიგან შვილს საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის.



მეორე დღეს სკოლაში არ წავსულვარ, ჭრილობებს ვიშუშებდი. მესამე დღეს რკინიგზის გადასასვლელი სავსე იყო უბნელი ბიჭებით. მე და კოკა რომ მივედით, სტვენით შეგვხვდნენ.

– სკრიპკა, გაზიარეს?

– სანამ არ მოგკლავს, არ მოეშვები?!

– შენ აქ თბილისი ხომ არ გგონია?!

მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი.

ყველა აქ იყო იანგულის გარდა. არავისთვის ხმა არ გამიცია, ჩანთა ფილაქანზე დავაგდე, ზედ დავაჯექი და იანგულის მოსვლას დაველოდე.

– იანგული მოდის! – დაიძახა უცებ ვილაცამ.

– ახლა დაიწყება ცირკი! – თქვა მეორემ.

– გამარჯობათ! – თქვა საერთო სალაში იანგულიმ და მე რომ დამინახა ფილაქანზე ჩამომჯდარი, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

– იანგული, თავისი ფეხით მოვიდა ბულკი, მიდი ერთი, შეჭამე! – უთხრა პეტია.

– კარაქს წაუსვამ, იანგული, თუ ხი-ზილალას?!

იანგულიმ ლაზღანდარებს ყურად-ღება არ მიაქცია, ტრიბუნივით ასწია ხელი, ბრბო დაანყნარა და ისტორი-ული სიტყვით მიმართა თავის ხალხს, ისე, როგორც ტომის ბელადებს სჩვე-ვიათ ხოლმე.

– ბიჭებო! – დაიწყო მან. – ეს მე მოგმართავთ თქვენ, ვენეციის გზატ-კეცილის ტომის თავისუფალ შვილებს, მე, თქვენს მიერ არჩეული ბელადი, იანგული ალექსანდრიდი! თქვენ ნი-ნაშე დგანან მკრთალსახიანი თბილი-სელი ჰარიფი და მისი დეიდაშვილი, ჩვენი ტომის გამყიდველი და სამშობ-ლოს მოღალატე, წკვინტილიანი კოკა. ამ მკრთალსახიან გადამთიელს, იმის ნაც-ვლად, რომ ესარგებლა ჩვენი სტუმარ-თმოყვარეობით, დიდსულოვნებითა და სულგრძელობით, სურს მიისაკუთროს ჩვენი კურთხეული მიწა, ზღვა, მდინა-რე, ოქრო, ვერცხლი, საძოვრები და გა-ზონები...

– მორჩი ლაზღანდარობას! – შევან-ყვეტინე სიტყვა. – უნდა მეჩხუბო!

იანგული შეჩერდა და თვალი თვალ-ში გამიყარა.

– მე თქვენ გაჩვენებთ ახლა, როგორ კეთდება მკრთალსახიანებისაგან კატ-ლეტი... – განაგრძო ისევ.

– ნუ მაიმუნობ, დავიწყობ!

– შენ ეი, წკვინტილიანო, – მიუბრუნ-და იგი კოკას, – ნადი, სასწრაფოში და-რეკე, უთხარი ხუთ წუთში მოვიდნენ და შენი დაინვალიდებული დეიდაშვილი წაიყვანონ! – ბიჭებში ხარხარი ატყდა.

– დღეს შენ მოგიწევს სასწრაფოთი წაყვანა. – ვუთხარი მე და ავდექი. ბი-ჭებმა წრე შეკრეს. იანგულიმ ისევ რა-ღაც უთხრა პეტის ბერძნულად, პეტია შეიშმუშნა და ქამრის შესხნა დაიწყო. განცვიფრებული ვუყურებდი პეტის თითის სიმსხო ღვედის ქამარს – „ნუ-თუ ქამრით უნდა მცემოს?“ – გამიელვა თავში. პეტიამ ქამარი გადასცა იანგუ-

ლის და ისევ წრეში ჩადგა. იანგულიმ ამაყად მიმოიხედა გარშემო და საჯა-როდ განაცხადა:

– მე მკრთალსახიანს ორი ხელით არ ვეჩხუბები. იგი დღეს ცალი ხელით უნ-და გაილახოს. პეტია, გამოდი და შემი-კარი ხელი!

ბიჭებში აღტაცების ყიჟინი გაისმა. მე ელდა მეცა. იანგულიმ გაჭიმული მარცხენა ხელი თეძოზე მიიღო. პეტია გამოვიდა, ქამარი წელზე შემოარტყა, ისე რომ ის მარცხენა ხელი შიგ მოა-ყოლა, და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაუკრა.

– ნუ არტისტობ, ხელი ამოიღე და ისე ვიჩხუბოთ, – ვუთხარი დაკარგული ხმით.

– მე შენთან ორი ხელით ჩხუბს არ ვიკადრებ, – თქვა იანგულიმ. ბიჭებს კვლავ აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.

– მაშინ არ მინდა! – ვთქვი მე და ჩანთა ავიღე.

– გეშინია? – მკითხა იანგულიმ.

– კი არ მეშინია, არ მინდა. ხელი ამოიღე და ისედაც გცემ!

– მეჩხუბე, თორემ გცემ! – თქვა გა-ლიზიანებით იანგულიმ.

– მიდი, დასვი! – წამჩურჩულა კო-კამ. მე ჯიუტად გავიქნიე თავი. მაშინ იანგული მომიახლოვდა და სილა გა-მანწა. სახეზე ისე წამეკიდა ცეცხლი, თითქოს მდულარე შემასხესო, მაგრამ ხელი არ შევუბრუნე. იანგულიმ მეო-რედ გამანწა სილა, მერე – მესამედ, შევატყვე, გამეტებით არ მირტყამდა, ეს უფრო გასილაქებას ჰგავდა, ვიდრე ჩხუბს. და მაინც რომ არ შევუბრუნე ხელი, იანგული გაჩერდა. მე შევტრი-ალდი და წრიდან გავედი, ბიჭები უხ-მოდ ჩამომეცალნენ.

– ეე, სკრიპკა! – მომესმა ზურგს უკან პეტის ხმა, და უცებ გავიგონე გაშლილი ხელის საშინელი ლანანი: ეს უკვე პეტის ყბაზე გაღებული იანგუ-ლის ხელის ხმა იყო.

უკან არ მიმიხედავს, რადგან ვტი-

როდი და არ მინდოდა ბიჭებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ერთს კი მივხვდი – დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წააგო.

●  
მეორე დღეს, სისხამ დილით, ალექსანდრიდების ეზოს ჭიშკართან ვიდექი. ხრისტო ალექსანდრიდი ვირს კაზმავდა პატარა თავლასთან. იანგული ეხმარებოდა, რომ დამინახა, ვირი მიატოვა და ჭიშკარს მოადგა.

– საჩივლელად მოხვედი? – მკითხა მან და თვალი მამისკენ გააპარა. მამამისი ზურგშემოქცეული იდგა და ვერ მხედავდა.

– საჩხუბრად! – ვუპასუხე მე.

– ვინ არის? – დაუძახა მამამისმა, ისე რომ არ მოუხედავს.

– ამხანაგია ჩემი.

– იანგულის არ სცალია, ბაზარში მიდის! – მოიხედა ხრისტომ. უცებ მიცნო და გაუკვირდა: – შერიგდით?

– შევრიგდით! – ვუპასუხე მე.

– ეგრე არ ჯობია? ორივე კარგი ბიჭები ხართ! – გაუხარდა ხრისტოს და ეზოში შემიპატიჟა.

– მეჩქარება, – ვუპასუხე, მერე იანგულის მივუბრუნდი: – როდის დაბრუნდები ბაზრიდან?

– საღამოს!

– რკინიგზის ხიდის ქვეშ დაგელოდები! – ვუთხარი და წავედი.

●  
საღამოს ხიდის ქვეშ ველოდი იანგულის. იგი მოვიდა. ხმა არ გაუცია ჩემთვის, ვირი ადამიების ლობეს მიაბა, ხალათი გაიხადა, ვირის კეხზე გადაჰკიდა და მე კვლავ წავიკითხე მის გაშლილ მკერდზე მაგიური სიტყვა HELLADOS.

დღეს ჩვენი ჩხუბის მოწმე მხოლოდ ვირი იყო.

ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. პირველმა იანგულიმ დამარტყა, როგორ არ ვეცადე, მაგრამ მაინც დამასწრო. არ წავქცეულვარ,

მხოლოდ წავიფორთხილე. მეორე რომ მომიქნია, თავი უკან გადავწიე და მისმა გაშლილმა ხელმა შხუილით ჩამიქროლა ცხვირწინ. მოქნეული ისე ძლიერად იყო, იანგულიმ თავი ვერ შეიკავა, ინერციამ ოდნავ შეატრიალა და ახლა იგი გვერდულად იდგა ჩემს წინ, მისი ყბა ზუსტად ისე დაეკიდა ჰაერში, როგორც მაშინ, პირველი ჩხუბის დროს; და ვიდრე კვლავ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ყბაში მოვდე. იანგული სახით სილაში ჩაემხო. ერთხანს გაუნძრევლად იყო. არ მეგონა, თუ ადგებოდა, მაგრამ უცებ წამოხტა და საოცარი სისწრაფით გამოქანდა ჩემკენ. მისი გაშლილი ხელი და ჩემი მუშტი ერთდროულად მოხვდა მიზანს, მე დავრეტიანდი, ცალ მუხლზე დავიჩოქე და უნებურად სახეზე ხელები ავიფარე. ხელები რომ მოვიცილე და თვალი გავახილე, იანგული ზუსტად ისეთივე პოზაში იყო ჩაჩოქილი, როგორც მე, და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იხოცავდა. ხელებზე დავიხედე და მივხვდი, რომ მეც მყოწავდა სისხლი ცხვირიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. წამოდგა იანგულიც.

დიდხანს ვუცქერდით ერთმანეთს უხმოდ. მე მისი მძიმე და ღრმა სუნთქვა მესმოდა, ალბათ იმას – ჩემი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. მაგრამ საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი. რალაც შინაგანი კმაყოფილება დამეუფლა. მივხვდი, რომ დღეიდან იანგული ველარასოდეს დამჩაგრავდა.

– გვეყოფა! – თქვა უცებ იანგულიმ და მკლავები ჩამოუშვა.

– გვეყოფა! – ვთქვი მეც და შვევით ამოვისუნთქე. – ოღონდ ხვალ ბიჭებთან უნდა ვიჩხუბოთ! – დავაყოლე ყოველი შემთხვევისათვის.

– არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარ, ოღონდ ყოჩობას ვერ დაგიტომობ. – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

– არც მინდა! – ვუთხარი მე.  
– თუ გინდა, მეორე ყოჩი იყავი! – შემომთავაზა მოადგილეობა.

– არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის! – ვიუარე ისევ, შემოვტრიალდი და წამოვედი.

– მოიცა! – მითხრა მან. მე გავჩერდი. – ასე არ ივარგებს, ყოველდღე ხომ არ ვიჩხუბებთ, მოდი, ხვალიდან ვაგინოთ ერთმანეთს, ვინც აჯობებს, იმის იყოს!

– იმისი იყოს! – დავთანხმდი.



მეორე დღეს მე და იანგული კვლავ ბიჭების წრეში ვიდექით და უშვერი სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს.

- ჯემალ, ვირისთავო!
- იანგული, ბერძენო მემწვანილე!
- თბილისელო სირისტიანო!
- ლანირაკო!
- ვირის მწყემსო!
- ჩოჩორო!
- მჟავე კიტრო!
- კამბოლა!
- ღორჯო!
- მედეუზა!
- კრეტინო!
- პაგანიო!

სალანძრავი სიტყვების არსენალი შეუმჩნეველად შემომეღია და გავჩერდი, იანგული მელოდებოდა, რადგან ჩემი ჯერი იყო.

– მიდი, თორემ წააგე! – იდაყვი გამკრა კოკამ.

- გამითავდა! – ვუთხარი მე.
  - დედა შეაგინე! – შემახსენა მან.
  - დედის გინება არ მოდის.
  - „დედა ვატირე“ რა გინებაა?
  - ეგ რუსულად არ ვიცი!
  - ქართულად შეაგინე, ვერ გაიგებს!
- არ მომეშვა კოკა და შემაცდინა.

– იანგული, შენი დედა ვატირე! – ვთქვი ქართულად და პასუხის მოლოდინში გული შემეკუმშა.

– იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა,

ჯემალ! – მიპასუხა იანგულიმ. მივხვდი, რომ ისიც დედას მაგინებდა, მაგრამ ისე ლამაზად ამბობდა, ავე-მარიასავით მეყურებოდა და გინება გავიმეორე:

- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! – გაიმეორა მან სიმღერასავით.



ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი წელიწადი, მერე ვნებები დაცხრა. მე და იანგულიმ გინებათა არსენალი თითო ყველაზე მნიშვნელოვან გინებამდე დავიყვანეთ და შეხვედრისას, თითქოს ვესალმებითო, ხელის აწევით გავძახოდით ერთმანეთს:

- მე: – შენი დედა ვატირე, იანგული!
- ის: – იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ.



მზიანი დღე იყო. მე და კოკა სკოლიდან ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან რომ მივედით, იანგული, როგორც ყოველთვის, უბნის ბიჭებს პაჟარობანას ეთამაშებოდა. დამინახა თუ არა, თამაშს თავი დაანება და ჩემსკენ წამოვიდა, არ დამასწროს-მეთქი და გინება გზაზე შევაგებე.

– იანგული, შენი დედა ვატირე! – იანგული მონუსხულივით შედგა და თვალეებში შემომხედა. დიდხანს ველოდი პასუხს, მაგრამ იანგული ხმას არ იღებდა.

– შენი დედა ვატირე, იანგული! – გავიმეორე მე.

იანგულიმ თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი ნელი ნაბიჯით წავიდა. მე გაკვირვებული ვუცქერდი სახლისკენ მიმავალ იანგულის.

– ნახე, როგორ გაიძურნა, გათავდა მაგის ყოჩობა! – ვუთხარი კოკას.

- გათავდა კი არა, ახლა დაიწყო! – მიპასუხა კოკამ და ცალყბად გაიღიმა.
- როგორ?

– გაჯობა და ისე.  
 – მაშ, რატომ არ შემაგინა?  
 – გუშინ მკითხა, ჯემალის დედა სად არისო. მე ვუთხარი, აღარ არის-მეთქი, იმიტომ არ შეგაგინა, – თქვა კოკამ.  
 ელდა მეცა.  
 – რატომ გუშინ არ მითხარი, ლანი-რაკო!  
 – მე რა ვიცოდი!.. – თავი ჩაღუნა კოკამ.  
 – იანგული! – დაფუძახე მე, მაგრამ იანგული უკვე შორს იყო და ვერ გაიგონა ჩემი ძახილი, ან გაიგონა და არ მოიხედა.  
 იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში. ჩვენს შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობა, მაგრამ მე და იანგული დიდი მეგობრები მაინც არ გავმხდარვართ. შეხვედრისას უბრალოდ ხელის აწევითა და ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს და თუ მამამისის მაგივრად რძეს ან მანონს მოგვიტანდა ხოლმე ვირით, მაშინ თუ გავესაუბრებოდით ერთმანეთს უნებურად ან რძის და მანვნის ფასის, ან მამამისის, ან მწვანის, ან ვირის თაობაზე. ეს იყო და ეს.



ერთ დღეს იანგულიმ რძე მოიტანა, მე ეზოში შევეგებე, რომ შევხედე, ძლივს ვიცანი, ისე ჰქონდა სახე შეშუპებული და თვალის უპეები ჩალურჯებული.  
 – რა მოგივიდა? – ვკითხე გაკვირვებულმა.  
 წარმოუდგენელი იყო, იანგული ასე ეცემა უბანში ვინმეს, აშკარად მასზე უფროსის ნახელავი იყო.  
 – არაფერი! – მიპასუხა მან და თვალი ამარიდა.  
 – მაგარი ნაცემი ხარ! – ვუთხარი მე.  
 – არა უშავს! – თქვა მან და გაიღიმა.  
 – თქვი, ვინ არის, თუ მარტო ვერ მოერიე, მე წამოგყვები! – ვუთხარი. იანგულიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– ვირი აქ დააბი და ახლავე წავიდეთ, – არ მოვეშვი მე. რძიანი ქილა კიბეზე დავდგი და გასაყოლად მოვემზადე.  
 – არ გინდა, ვერ მოვერევი! – მწარედ გაიღიმა მან.  
 – ვინ? მე და შენ ვერ მოვერევი?! – გავიქაჩე მე.  
 – ვერც მე და შენ, და ვერც მთელი ვენეციის გზატკეცილი...  
 – ასეთი ვინ არი? – შევცბი.  
 – მამაჩემი! – თქვა იანგულიმ.  
 – მამაშენი?  
 – ჰო, მამაჩემი.  
 – ასე როგორ გაგიმეტა? – ვკითხე გაკვირვებულმა და შეშუპებულ ლოყაზე ხელი დავადე.  
 – ჩემი ბრალია!  
 – რა დააშავე?  
 – სამ დღეში სოხუმში საბერძნეთიდან გემი ჩამოდის. ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... – იანგული გაჩუმდა.  
 – მერე? – ვკითხე მე.  
 – მერე არაფერი, მე არ მივყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო.  
 – მერედა რატომ არ მიყვები? – გულწრფელად გამიკვირდა მე.  
 იანგული დიდხანს დუმდა თავჩალუნული და ვირს აცქვეტილ ყურებს უუთოვებდა. ყურები იანგულის ხელის ყოველ დასმაზე მორჩილად წვებოდნენ, მაგრამ შემდეგ უცნაური სიჯიუთით კვლავ წამოხტებოდნენ და ცქვიტად დგებოდნენ. თითქოს ჩვენს საუბარს უგდებდნენ ყურს და ეშინოდათ, რაიმე სიტყვა არ გამოგვრჩესო.  
 – როგორ აგისხნა... – თქვა ბოლოს იანგულიმ. – მე ჩემი დედა არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელადა, ჩემი

სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... – იანგული ცოტათი შეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: – მიდა... მიდა და შენც... – სახელი „მიდა“ იანგულიმ პირველად ახსენა ჩემთან, მაგრამ არ მიკითხავს, მიდა ვინ არის-მეთქი, რადგან კოკასაგან ვიცოდი: მიდა აფხაზზე გათხოვილი ბერძენი ქალის შვილი იყო. მიდაზე ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა და ეს გოგო იანგულის უყვარდა.

– გაიგე ახლა? – მკითხა იანგულიმ და თვალეებში შემომხედა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი სიტყვები ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმოდა.

– კი მაგრამ ეგ რაღაა? – ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუნეი და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS ნავიკითხე ხმამალლა.

– ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით... – თქვა იანგულიმ და ხელი მკერდზე დაიდო. მე ყელში გარხერილი ბუშტისოდენა ბურთი გადავყლაპე და ვიდრე რამეს ვუპასუხებდი, იანგულიმ ვირს ხელი მოჰკიდა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდა.

●  
მესამე დღეს, სისხამ დილით, იანგული ჩვენს ეზოში იდგა, თან უბელო ვირი მოეყვანა.

– მამამ ყველაფერი გაყიდა: ძროხა, სახლი, კარი. ვირს არავინ არ ყიდულობს. თქვენი ხალხი ვირის ყოლას სამარცხვინოდ თვლის, ვირი კი ძალიან საყვარელი ცხოველია... მუშა, უწყინარი... ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, ან ვის დავუტოვო, ბერძნები ყველანი მივდივართ... ძალიან ადვილი მოსავლელია, ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თან ვირს ყელზე უსვამდა ხელს და ცრემლებს ყლაპავდა.

– მიდიხარ?  
– მივდივარ. ხომ დაიტოვებ?  
– დავიტოვებ!  
– არ გააგდო სახლიდან!  
– არა, იანგული!  
– ნინა ივანოვნას სთხოვე, არ გააგდოს!

– ვთხოვ, იანგული!  
– კოკა მოგეხმარება, ამის მოვლას რა უნდა...

– არაფერი, იანგული.  
– სულ ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის.  
– ჰო, იანგული!  
– აპოლონი ჰქვია!  
– ვიცი, იანგული!  
– მოეფერე ხოლმე!  
– კი, იანგული!  
– ნავედი ახლა, გემი სალამოს გადის!

– ნადი, იანგული.  
– მშვიდობით, ჯემალო!  
– პორტში მოვალ, იანგული!  
იანგული გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მერე უცებ ხელი გამიშვა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გაიქცა უკანმოუხედავად, ისე, თითქოს რაღაც საშინელსა და შემზარავს გაურბოდა.

●  
სალამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული.

იყო ბევრი ყვავილები, ორკესტრიც, ტამ-ფანდურიც, ცხვირსახოცების ფრიალიც, მადლობა, ნახვამდის, მშვიდობით, მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო.

სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს – ბერძნებს აცილებდნენ. ბერძნები უკვე ასულიყვენ გემზე, ღრუბელივით თეთრ და ქათქათა „პოსეიდონზე“ და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს ბერძნულად, ზოგს რუსულად, ზოგს აფხაზურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად... უზარმაზარად...

რი თეთრი „პოსეიდონი“ კიჩოთი ნაპირისკენ იდგა. ზღვა ოდნავ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს, თითქოს თვითონაც გვემშვიდობებოდა.

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირსის მოაჯირს მიჭყლეტილი, თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბერძნებში იანგულის დავეძებდი. უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გაღელილი. იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა, რომ მამამისს ხელით ეჭირა.

– იანგული! იანგული! – ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავიწყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს ეტყობა ხმით მომაგნო და რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა.

– იანგული, იანგული, მშვიდობით!

– ჯემალო, ელო ალაპო ი მანა სუ!

ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი! – მეძახდა იგი ბერძნულად და მე კვლავ მომეჩვენა, რომ იგი მღეროდა, მე ვერ გავუძელი მის ხმასა და ცქერას, გემს ზურგი შევაქციე და ატირებული შინ წამოვედი.

●

მესამე დღეს მდინარე კელასურის შესართავთან ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამოორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მეზადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მობანავე ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე, მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLDOS წავიკითხე. უკანმოუხედავად და სულმოუთქმელად გავიბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევევარდი სახლში...

– რა მოგივიდა, ბიჭო? – მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა.

– დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა... – ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი.





длырныкэон, аныдарей'абыдарей  
илапымеырц азы мап сабымхэн,  
егырт идбыршэо атккыс ыымтэ еиханы  
исымх, аха мап сабымхэан, дбыдкыл.

Навродскаиа зны дысзыфрит,  
нас анотакэа сзырпхьоз гэалтит,  
снацккыскэа дрыхэапшит, лне  
апы сыцлымхэа ата, сыхэда инатые  
лшыт, зны мап лкит, нас еигы ауатах  
дыфналит. Авиолино дэылылган,  
арахэыц лыркэадан, еикэыршэа  
лхэан инасларкит. Санлахэшьа  
дшэаны дсыхэапшуан, авиолино  
анейкэсыршэа, лыпсып аавылгеит.

«Ахы, уаины уажэы азы Бетховин  
иаптамта “Хомиак” архэы лхэан Елена  
Наводворскаиа, акресло дынтатэан,  
сзыфрра леазылкит. Бетховин ихыыз  
анлаха санлахэшьа лгэы кахаит.

«Хатыр зкэу Елена Михайловна, дае  
акы, ускак ицэгьам, имачу композицие  
ак шэимазцаауаеБ длыхэеит уи Наве  
одворскаиа, лчабрала лылахь иалтыз  
апхзы аарбо.

«Ишпкэ, “Хомиак” аимырхэазоиБ  
уамашэа ибаны Наводворскаиа лыц  
ыымшькэа ааимарцыхэаны санлахэшьа  
длазцааит.

Сара иаразнак ала издырит, иааит  
акыр шыкэса сзызпшыз аамта,  
сыпстазаара апсахрей, фышыкэса  
сан сызталтаз амузыкатэ ауыбэ аттра  
алшарей шсоуыз, шыарада сыбжьара  
ужэшьта иазхон, уажэыцкэа исхэар  
зегы зылшоз ажэа затэык –“мап”, уи  
ала зегы иаразнак ртыхэ нтэон, аха  
исыздыруам санлахэшьа лыпшра аума,  
Наводворскаиа уамашэа ибаны лыпше  
ышьа аума, жэаха шыкэса зхытуаз  
ахэчы ихзыргара аума, сара исзеилые  
мкаауаз даеа мчык авиолино абжы  
аатнаргеит, ауатах акны зеипш дыкам  
Бетховин имузыка абжы ааонафит.

Ахэмарра санаалга, санлахэшьа  
Нина лыблакэа алабьырз рхыжжыла  
икан, Наводворскаиа лакэзар, лхы'лэы

апшышэырччара ыкэын.

...Елена Михайловна Наводворе  
скаиа слыдылкылит.

Аоныка ханыхэнхэуаз, аихамэа  
ахысырта хнадгылит, Иангули ахахэ  
дыкэтэан, ишыапкэа еишыкларшэны,  
акакан пиеуан акылымтэ пехала.

«Мшабзиа, Нина Ивановнае  
апсшэа ихэит уи ханынивс.

«Бзиара убааитбэ иаапцэаны атак  
наилтит санлахэшьа.

«Како дабакоуБэ дтааит Иангули.  
«Кока уара уеипш амш зго иакуе  
зам, ашкол акны дыкоупе атак наиле  
